გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

# ვერსია

№66 (822) 14 - 16 ივნისი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

**მხოლოდ 40 თეთრი**

# ტენდერების სკანდალი თავდაცვის სამინისტროში



## გია ყარყარაშვილი ნაციონალების ბრალდებებს პასუხობს

გვ. 3

„ვერსიამ“ სკანდალის გაუხმაურებელი დეტალები გაარკვია

## „პარლამენტის შენობა უკანონოდ აშენდა... არც დასკვნა არსებობს, რომ შენობა მდგრადია!“

ვინ როგორ იხეირა საკანონმდებლო ორგანოს ქუთაისში გადატანით და რატომ რთულდება დეპუტატების უსაფრთხოების დაცვა



გვ. 4

## ფიქრია ჩიხრაძე:

„პრემიერის განცხადებამ ქვეყანაში ნატო-ს მიმართ ნეგატიურად განწყობილი ადამიანების შეხედულებები შეცვალა“



გვ. 8

## „გიორგი მარგველაშვილს მინდა ვუთხრა — პლასტილინობიდან ვაზელინობამდე ერთი ნაბიჯია!“

რატომ უჭერს მხარს ნინო ბურჯანაძის კანდიდატურას და რა შემთხვევაში იმუქრება მრავალათასიანი საპროფესიო აქციებით ელიზბარ ჯაველიძე



გვ. 5

## შპს „რუსთავის ფოლადი“ ჯოზეფ ქეის მიერ, 11 ივნისს გამართულ პრესკონფერენციაზე, გამოთქმულ ცრუ განცხადებებს ეხმაურება

რუსთავის მეტალურგიული ქარხანა

1948 წლიდან

გვ. 2

## შსს-მ ტერორისტული აქტის მცდელობისთვის უცხო ქვეყნის ორი მოქალაქე დააკავა




გვ. 2

## პუტინი 2 წელიწადში საბჭოთა კავშირს აღადგენს

ევრაზიული ეკონომიკური კავშირის მეშვეობით, რუსეთი თანამეგობრობის ქვეყნებს ეკონომიკურად დაიმორჩილებს — რა გზას აირჩევს საქართველო?

გვ. 10

## „7 ნაბიჯი წარმატებისკენ“ — „თი ბი სი ბანკის“ ინოვაციური პროგრამა მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერისთვის

თიბისი ბანკი TBC BANK

ნოდარ ხადურმა ვახტანგ ბუცხრიკიძეს ტრენინგების ჩასატარებლად ფინანსური აკადემიის ბაზა შესთავაზა

გვ. 7

## „ქართული ხალხური სიმღერა — კაცობრიობის საგანძური“ — პირველი გრანდიოზული კონცერტი რუსთაველის თეატრში

ფონდმა „ქართული გალობა“ ღვაწლმოსილი შემოქმედები დააჯილდოვა

გვ. 7




# შსს-მ ტერორისტული აქტის მცდელობისთვის უცხო ქვეყნის ორი მოქალაქე დააკავა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მომზადების პროცესში აღკვეთა ტერორისტული აქტის ჩადენის მცდელობა. კერძოდ, საქართველოს ანტიტერორისტული ცენტრის, შს სამინისტროს სხვა ოპერატიული დანაყოფებისა და საქართველოს პროკურატურის მჭიდრო და ეფექტური თანამშრომლობის ფარგლებში გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 13 ივნისს, გამთენიისას, ქ. თბილისში, დაკავებულ იქნენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები — მიკაილ კადიევი და რიზვან ომაროვი, რომელთა დროებითი საცხოვრისიდან, ჩხრეკის შედეგად ამოღებული იქნა დიდი ოდენობით ძლიერმოქმედი ასაფეთქებელი ნივთიერება (სავარაუდოდ, პლასტიდი) და ელექტროდეტონატორები, აგრეთვე, ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო მასალა და პირადობის დამადასტურებელი ყალბი დოკუმენტაცია.

გამოძიების ამ ეტაპზე, უტყუარად დადასტურებულია, რომ ინტერპოლის მიერ ძებნილი კადიევი საქართველოს თავს 2011 წლიდან აფარებდა, თუმცა პერიოდულად ტოვებდა ქვეყნის ფარგლებს. ამჟამად მიმდინარეობს ინტენსიური საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები ტერორისტული აქტის მომზადებაში მხილებულ პირთა დანაშაულებრივი კავშირების — ხელშემწყობებისა და მფარველების — გამოვლენისა და გაუვნებელყოფის მიზნით, როგორც ქვეყნის შიგნით, აგრეთვე საერთაშორისო ანტიტერორისტული თანამშრომლობის ფარგლებში, ვინაიდან მიკაილ კადიევის მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულის თანამონაწილე პირი დასავლეთ ევროპის ერთ-ერთი ქვეყნის სამართალდამცავების მიერ ჯერ კიდევ 2012 წელს იქნა დაკავებული.

ჩვენ გავაგრძელებთ საზოგადოების პერიოდულ ინფორმირებას გამოძიების შედეგების თაობაზე და გვსურს დაგარწმუნოთ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო გააკეთებს ყველაფერს ტერორიზმის საფრთხისგან საქართველოს მოქალაქეების დაცვის მიზნით.

მოგვიანებით, ცნობილი გახდა, რომ შსს-ს მიერ ტერაქტის მცდელობისთვის დაკავებული პირები — მიკაელ კადიევი და რიზმან ომაროცვი პრეზიდენტის უახლოესი გარემოცვის, კერძოდ, მისი პირადი მფრინავის, ვერტმფრენების კომპანია „თუშეთის" მფლობელის, ზაურ ქორთოშიძის კუთვნილ სახლში ცხოვრობდნენ. ეს ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის უფროსმა, ნინო გიორგობიანმა დაადასტურა: **„დიახ, ვადასტურებთ, რომ კადიევს ნაცნობობა აკავშირებს ზაურ ქორთოშიძესთან და გარკვეული პერიოდის განმავლობაში, იგი ცხოვრობდა ქორთოშიძეების კუთვნილ ბინაში. ეს პიროვნება უკვე დაკითხულია ჩვენს მიერ და მან ამის შესახებ განუცხადა უკვე გამოძიებას".**

*„ვერსიანიუსი"*

# შსს-მ ქრთამის აღების ფაქტზე 7 რწმუნებული ამხილა



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოსა და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლების მიერ, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, გამოვლენილი და ქრთამის აღების ფაქტზე მხილებულია საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიული ორგანოს 7 რწმუნებული. ყველა მათგანი ამჟამად დაკავებულია. მათ შორის არიან: გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კაჭრეთის რწმუნებული გივი რამაზაშვილი და გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო კაჭრეთის რწმუნებული ვაჟა არუთინაშვილი, რომლებმაც ამავე მუნიციპალიტეტის სოფელ კაჭრეთში მდებარე 100 ჰექტარი მიწისა და მის შემოგარენში არსებული ტყის მასივის იჯარით გაცემის ნებართვის სანაცვლოდ, ქრთამის სახით აიღეს 10 000 ლარი.

ასევე, ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს: გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული ტარიელ გურგენიძე, მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი ქანდის რწმუნებული ირაკლი ხირდაევი, მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბიწმენდის რწმუნებული დავით სუხიაშვილი, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ არშას რწმუნებული გელა შიოლაშვილი, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ განჯის რწმუნებული ჰოვჰანნეს თევანიანი და ქრთამის აღებაში მონაწილე პირი მანველ აბრაგიანი.

გამოძიებამ დაადგინა, რომ 2013 წლის 11-12 ივნისს, აღნიშნულმა პირებმა წინასწარი შეთანხმების მიხედვით შეადგინეს და ყალბი ცნობა გასცეს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის შეძენის შესახებ, რის სანაცვლოდაც, მათ ქრთამის სახით აიღეს გარკვეული თანხა.

ამჟამად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციულ სააგენტოში გრძელდება გამოძიება ანალოგიურ და სხვა კორუფციულ სქემებში ჩართული საჯარო მოხელეების მხილების მიზნით.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

*„ვერსიანიუსი"*



# გიგა ლორთქიფანიძე გარდაიცვალა

86 წლის ასაკში, ხანგრძლივი ავადმყოფობის შედეგად, გარდაიცვალა თეატრისა და კინოს რეჟისორი და საზოგადო მოღვაწე გიგა ლორთქიფანიძე.

გიგა ლორთქიფანიძე სწავლობდა საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში, 1950 წელს დაამთავრა მოსკოვის ა. ლუნაჩარსკის სახელობის თეატრისა და ხელოვნების ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი. იყო კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის რეჟისორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრის, ა. გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრის მთავარი რეჟისორი. 1967 წელს რუსთავში დააარსა სახელმწიფო დრამატული თეატრი, რომელსაც ხელმძღვანელობდა 1976 წლამდე. 1984-1986 წლებში იყო საქართველოს ტელევიზიის მხატვრული ხელმძღვანელი, 1985 წლიდან — საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, პარალელურად — ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი. 1999-2000 წლებში იყო შ. რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს ინსტიტუტის რექტორი. ხელმძღვანელობდა ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდმაყურებელთა თეატრს.

შემოქმედებითი საქმიანობის პარალელურად, რეჟისორი აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწეოდა, იყო საქართველოს პარლამენტის დეპუტატი 1992-1995 წლებში. აქვს საქართველოს და სსრ კავშირის სახალხო არტისტის წოდება, იყო „შრომის წითელი დროშის" და „საპატიო ნიშნის" სამი ორდენის კავალერი, სსრ კავშირისა და საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. 1985 წელს გიგა ლორთქიფანიძეს მრავალსერიანი მხატვრული ფილმის „წიგნი ფიცისა" შექმნისთვის მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელობის პრემია. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით. იგი გახლავთ 100-ზე მეტი სპექტაკლის, 4 ფილმის – მათ შორის მრავალსერიანი „დათა თუთაშხიას" ავტორი.

„ვერსია" ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ლეგენდარული რეჟისორის, საზოგადო მოღვაწის გარდაცვალების გამო და უთანაგრძნობს მის ოჯახს, ასევე სრულიად საქართველოს!

# შპს „რუსთავის ფოლადი" ჯოზეფ ქეის მიერ, 11 ივნისს გამართულ პრესკონფერენციაზე, გამოთქმულ ცრუ განცხადებებს ეხმაურება

ტომას ბლეიქი , შპს „რუსთავის ფოლადის" დირექტორი: „რუსთავის მეტალურგიული ქარხანა შეიძინა ბადრი პატარკაციშვილმა 2005 წელს 36 მილიონ აშშ დოლარად, საიდანაც 26 მილიონი აშშ დოლარი გახლავთ TekhNeftInvest-ის გაყიდვის, ხოლო 10 მილიონი აშშ დოლარი Sibneft–ის გაყიდვის შედეგად მიღებული თანხა. ფონდების წარმომავლობა, შესაბამისი დოკუმენტბრუნვა და ორგანიზაციები, რომელთა მეშვეობითაც განხორციელდა დოკუმენტების გადაცემა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის შეძენის მიზნით, წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას და, შესაძლებელია, მიეწოდოს დაინტერესებულ საზოგადოებას.

ყოველივე ეს სათანადოდ იყო დოკუმენტირებული ჯოზეფ ქეის წინააღმდეგ სასამართლოში, სადაც ჯოზეფ ქეიმ ვერ მოახერხა საკუთარი უსაფუძვლო მოთხოვნებისთვის მტკიცებულებების წარმოდგენა იმის თაობაზე, რომ მან გადაიხადა თანხა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის შესაძენად. ჯოზეფ ქეიმ, 2008 წელს, უკანონოდ მოიპოვა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაზე კონტროლი ბადრის გარდაცვალების შემდეგ, და 2010 წელს Gibraltar-ის სასამართლომ გამოიტანა განაჩენი, რომ ჯოზეფ ქეის არ გააჩნია საკუთრების უფლება ქარხანაში, ამასთან დასავლეთ ევროპის სასამართლოებმა არაერთხელ შეაფასეს ჯოზეფ ქეი, როგორც მატყუარა და არასანდო მოწმე. პატარკაციშვილის ოჯახმა დაიბრუნა ქარხანაზე საკუთრების უფლება 2011 წელს. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კანონიერი მემკვიდრეები, ვის ინტერესებსაც მე წარმოვადგენ, მოუწოდებენ საქართველოს მთავრობას, ჩატარდეს გამოძიება 2008–2011 წლებში ჯოზეფ ქეის საქმიანობასთან დაკავშირებით".

რუსთავის მეტალურგიული ქარხანა
1948 წლიდან

# ტენდერების სკანდალი თავდაცვის სამინისტროში

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**გივი თარგამაძემ და ირმა ნადირაშვილმა ქუთაისში გამართულ სპეციალურ პრესკონფერენციაზე თავდაცვის სამინისტროს ტენდერებში არსებულ საეჭვო კორუფციულ სქემებზე ისაუბრეს და რამდენიმე ახალი დეტალი გამოკვეთეს. რამდენიმე დღით ადრე კი, თავდაცვის მინისტრმა ჩაატარა სპეციალური ბრიფინგი და იმ პირების პასუხისმგებლობის საკითხი გამოკვეთა, ვის გამოც, რამდენიმე ჯარისკაცი მოიწამლა, უფრო ადრე კი, თავდაცვის სამინისტროში ჯარისკაცების კვებაზე გამოცხადებული ტენდერები აქტუალური ისევ ნაცმოძრაობის ლიდერებმა გახადეს, როცა განაცხადეს, რომ ყველაზე მსხვილ ლოტებში გამარჯვებული კომპანია პარლამენტში ირაკლი ალასანიას პარტიის სიით გასული დეპუტატის, ირინა იმერლიშვილის ქმარს ეკუთვნოდა.**

ამჯერად, ნაციონალური მოძრაობის ლიდერებმა კორუფციულ გარიგებაში გენერალ გია ყარყარაშვილის ახლობელი, გიორგი სიმონიანი დაადანაშაულეს.

მათი თქმით, სიმონიანმა, რომელსაც მანამდე არანაირი ბიზნესგამოცდილება არ ჰქონია, 2013 წლის 4 იანვარს, თბილისში, დაარეგისტრირა შპს „პროგრეს პლუსი" და მისი 100%-იანი წილის მფლობელია. ფირმის დაფუძნებიდან სამ კვირაში, მან მონაწილეობა მიიღო თავდაცვის სამინისტროს ტენდერში და მოიგო 70 000 ლარი საწმენდი და საპრიალებელი საშუალებებისთვის. აქედან 5 დღეში კიდევ ორი ტენდერი ჩატარდა — 1 372 00-ლარიანი, სატრანსპორტო საშუალებების ნაწილებისთვის და 238 000-ლარიანი, აკუმულატორების მიწოდებაზე. ორივე ტენდერი ამ კომპანიამ მოიგო, თანაც ისე, რომ ბრენდადქცეული „თეგეტა მოტორსი" დაამარცხა და ჯამში, სამინისტროდან მათთვის გაცემულმა თანხამ 1 800 000 ლარი შეადგინა. **„გიორგი სიმონიანი არის გენერალ გია ყარყარაშვილის მძღოლი. თუ გავიხსენებთ, როგორი ახლო ურთიერთობები აქვთ გია ყარყარაშვილსა და ირაკლი ალასანიას, ალბათ, გასაგები გახდება, როგორ მოახერხა ამ კომპანიამ 3 ლოტის მოგება. არ დავიწყებ ჭორაობას და არ ვიტყვი, რომ ამ ტენდერებიდან გარკვეული თანხა ირაკლი ალასანიას ჯიბეში მიდის, თუმცა სამართალდამცავებს მოვუწოდებთ, ამ თემებით დაინტერესდნენ",** — განაცხადა ირმა ნადირაშვილმა. ნაციონალმა გივი თარგამაძემ კი ალასანიას ბრალი კვერცხის იმპორტის ბიზნესთან დაკავშირებული გია ხუხაშვილისთვის პოლიტრევერანსის გაკეთებაში დაადანაშაულა: **„თავდაცვის სამინისტროს ტენდერში, 4 ლოტიდან გამარჯვებულია მხოლოდ 3 ფირმა. აქედან კვების ტენდერში, რომელსაც ყველაზე მსხვილი ლოტი აქვს მიღებული — 18 და 39 მლნ ლარი, შპს „ელექტრო მონტაჟ სერვისმა" გაიმარჯვა. თუ ენერგეტიკოსები აჭმევენ ჯარს, მოწამვლის ფაქტი კიდევ უფრო სავარაუდო იქნებოდა".**

ნაციონალებმა გამოაქვეყნეს ყარყარაშვილის მძღოლადწოდებულის პირადი მონაცემები, საცხოვრებელი სახლის მისამართი, პირადობის მოწმობის ნომერი და მედიას ფაქტების გადამოწმებისკენ ასე მიუთითეს. მათი ეჭვით, სიმონიანის კომპანია, რომელსაც არც ოფისის მისამართი აქვს და არც საკონტაქტო ნომერი, სპეციალურად ამ რამდენიმე ტენდერის მოსაგებად შეიქმნა. „ვერსია" მთელი დღის მანძილზე ცდილობდა გიორგი სიმონიანთან დაკავშირებას, თუმცა მას მობილური ტელეფონი გამორთული ჰქონდა. სამაგიეროდ, დავუკავშირდით გენერალ **გია ყარყარაშვილს,** რომელმაც ექსკლუზიური კომენტარი გაგვიკეთა, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე თვეა საავადმყოფოში მკურნალობს და, როგორც თავად აღნიშნავს, პოლიტიკური თამაშებისგან კარგა ხანია, თავს შორს იჭერს: **„ირმა ნადირაშვილი ტუტუცი დედაკაცია და მის ნათქვამზე რა კომენტარი უნდა გავაკეთო? მას აუცილებლად გასცემენ პასუხს და ამას „პროგრეს პლუსი" თავად გააკეთებს. რატომ არავინ კითხულობს, სად ვარ დაკარგული — შეუძლოდ ვარ, 8 თვეა საავადმყოფოში ვწევარ და აღარ მინდა ამდენი საუბარი. ჩემი მძღოლის თემას რაც შეეხება, ის მძღოლი კი არა, ჩემი ნათლულია და ჩემს დახმარებაში მას ხელფასს არ ვუხდი. როცა საჭიროდ ჩათვლის, განცხადებას გიორგიც გააკეთებს."**

ასეც მოხდა და შპს „პროგრეს პლუსმა" ვრცელ განცხადებაში განმარტა, რომ აქამდე ტენდერებში ნაციონალების შიშით არ მონაწილეობდა, რადგან კომპანიის წევრებს საპყრობილეში თავის ამოყოფა არ სურდათ. კომპანიამ მონაწილეობა 20 ტენდერში მიიღო და აქედან მხოლოდ სამში გახდა გამარჯვებული. განცხადების ბოლოს კი „პროგრეს პლუსმა" გია ყარყარაშვილსა და ირაკლი ალასანიას მათ გამო თავსდატეხილი გაუგებრობისთვის ბოდიში მოუხადა.

სკანდალური ტენდერების თემას კიდევ ერთხელ გამოეხმაურა „ოცნების" დეპუტატი, საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ირინა იმერლიშვილი, რომლის თქმით, ნაცმოძრაობას მსგავსი ბრიფინგებით მათ წინააღმდეგ გამოქვეყნებული გაუგონარი ხარჯების გადაფარვა სურს. იმერლიშვილმა დააზუსტა, რომ თავდაცვის სამინისტროს ოთხი ტენდერი ჰქონდა გამოცხადებული ნორმირებულ კვებაზე, რომელიც იმის გამო გაუქმდა, რომ სამინისტრომ საჭიროდ არანორმირებული კვება ჩათვალა, თუმცა აქ კიდევ ერთი საინტერესო დეტალია — თავად ირინა იმერლიშვილი რამდენიმე დღის წინ აცხადებდა, რომ მისი მეუღლის ფირმა, „ფუდ ლაინ ჯორჯია" თბილისის საჯარისო ნაწილების კვების, ანუ ყველაზე მსხვილი ტენდერიდან მოხსნეს,

## რას პასუხობს გია ყარყარაშვილი ირმა ნადირაშვილსა და გივი თარგამაძეს

თუმცა ღიად რჩებოდა კიდევ ერთი, კახეთის ტენდერის 8 000 000-ლარიანი ლოტი.

როგორც ირკვევა, ყარყარაშვილის ნათლულისა და „ელექტრიკოსების" საეჭვოდ გამარჯვებულ კომპანია „ელექტრო მონტაჟ სერვისს" შორის არანაირი კავშირი არ იკვეთება. „ვერსია" დაუკავშირდა „ელექტრო მონტაჟ სერვისის" წარმომადგენლებსაც. აღმოვაჩინეთ, რომ **„ამ კომპანიას თავად აქვს სასამართლო დავა თავდაცვის სამინისტროსთან, როგორც შემსყიდველ კომპანიასთან. შესყიდვის კატეგორია გახლდათ „სასადილოებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მომსახურება", საჩივრის არსში კი განმარტებულია, რომ ამ კომპანიასთან ერთად, აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობდა შპს „ნიკალა", შპს „გუდვილი", შპს „ლამპარი 2008", იმერლიშვილის სახელთან დაკავშირებული ფირმა შპს „ფუდ ლაინ ჯორჯია", შპს „ნიკა 2010" და შპს „ელფი". ვაჭრობის ძირითადი დროის განმავლობაში, გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „ფუდ ლაინ ჯორჯია", რომელსაც 2 დღის ვადა მიეცა ახალი მენიუს წარმოსადგენად. კომპანიამ ეს ვერ მოახერხა, რის გამოც დისკვალიფიკაცია მიიღო".**

ისე, „ფუდ ლაინმა" დისკვალიფიკაცია, რატომღაც, სწორედ მას შემდეგ მიიღო, რაც ამ თემაზე ბრიფინგი ნაციონალებმა ჩაატარეს. ამის შემდეგ თავდაცვის სამინისტროს სატენდერო კომისიამ ყველაზე დაბალ სატენდერო წინადადებად შპს „გუდვილის" მიერ შეთავაზებული პაკეტი მიიჩნია, თუმცა



„გუდვილის" შემთხვევაში აღმოჩნდა, რომ მას წესრიგში ხარჯთაღრიცხვა არ ჰქონია. როგორც სარჩელშია განმარტებული, შემდგომი პრეტენდენტი, ყველაზე დაბალი სატენდერო ფასით, სწორედ „ელექტრო მონტაჟ სერვისი" იყო, რომელსაც თავდაცვის სამინისტრომ მენიუში რამდენიმე უზუსტობის გამო დისკვალიფიკაცია მისცა. ეს გადაწყვეტილება უკანონოდ შეაფასა გამარჯვების პირას მყოფმა კომპანიამ და თავდაცვის სამინისტროს სასამართლოში უჩივლა კიდეც. „ვერსია" სასამართლოს სარჩელში მითითებულ ნომერზე დაუკავშირდა კომპანია „ელექტრო მონტაჟ სერვისსაც".

დასასრული მე-5 გვერდზე

# გიგლა ბარამიძე „დემოკრატიული მოძრაობის" თბილისის ორგანიზაციასა და საარჩევნო შტაბს უხელძღვანელებს




რუსუდან შელია
557-100-768

**ფილოლოგი-აღმოსავლეთმცოდნე, არმენოლოგი, აღმოსავლურ საკითხებში ედუარდ შევარდნაძის მრჩეველი, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სომხეთში გიგლა ბარამიძე, 9-წლიანი პოლიტდევნილობის შემდეგ, საქართველოში დაბრუნდა და 12 ივნისს „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს" თბილისის ორგანიზაციისა და თბილისის საპრეზიდენტო შტაბის ხელმძღვანელად დასახელდა. რატომ გადაწყვიტა პოლიტიკაში დაბრუნება და ნინო ბურჯანაძის პარტიაში გაწევრიანება? „ვერსია" გიგლა ბარამიძეს ესაუბრა.**

— სახელმწიფო სამსახურში მაშინ მივედი, როცა სააკაშვილი და მისი გუნდი მოქკავშირის წევრები იყვნენ. ჩვენ შორის დაპირისპირება გამძაფრდა, როცა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში რწმუნებულად დავინიშნე. მაშინ მაქსიმალურად ვუშლიდი ხელს სააკაშვილის ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას. კერძოდ, შავი ბიზნესის წარმოებას. პარალელურად, აქტიურად ვწერდი, რომ ნაცმოძრაობა განათლების სისტემას ანგრევდა. სწორედ ამ დაპირისპირების ფონზე, 2004 წელს, შსს-ს კაბინეტში მორიგი თათბირისას, გიგა ბოკერიამ, ზურა ადეიშვილმა, გიგი უგულავამ და ვანო მერაბიშვილმა გადაწყვიტეს, რომ უნდა დავეჭირეთ. სხვათა შორის, ერთ-ერთ მათგანს უკითხავს, თანამდებობაზე არ არის და ხელს რაში გვიშლისო, მაგრამ ხმათა უმრავლესობით გადაწყდა, რომ მათი მტერი ვიყავი. იმავე საღამოს გამომძიებელი გამოიძახეს, საქმეც სწრაფად შეთითხნეს და სპეცრაზმს ჩემი დაკავებაც დაავალეს. დაკავების პროცესში ჩართულმა ადამიანმა, ამერიკაში ჩვენს საერთო მეგობარს დაურეკა და უთხრა, გიგლა გააფრთხილე, 20 წუთში სახლში სპეცნაზი შეუვარდებაო. სახლის აივნიდან გავიპარე და შემოვლითი გზით საქართველო დავტოვე. ნაცმოძრაობამ ჩემზე ძებნა გამოაცხადა.

## რატომ დაგა ბურჯანაძის გვერდით მისი პარლამენტის თავმჯდომარეობის დროს ქვეყნიდან „გაძევებული" ნაციონალების მტერი

— **მაშინ ბურჯანაძე პარლამენტის თავმჯდომარე იყო. პოლიტიკაში დაბრუნება და მის პარტიაში გაწევრიანება რატომ გადაწყვიტეთ?**

— როცა საქართველოში ჩამოსულმა უამრავი გაუბედურებულ ადამიანი ვნახე, პროცესებში ჩართვა გადავწყვიტე. ბურჯანაძეს დიდი ხანია ვიცნობ. ჩვენი ურთიერთობა განსაკუთრებით 26 მაისის შემდეგ გამყარდა. მწამს, ნაცმოძრაობის უკანონო ქმედებებში მას ბრალი არ მიუძღვის. ბურჯანაძემ დიდი ხანია დაამტკიცა, რომ სააკაშვილის სიბინძურეებთან კავშირი არ ჰქონია და ამიტომ ვდგავარ დღეს მასთან ერთად. ბიძინა ივანიშვილის სიკეთე, რომლის წყალობითაც, დღეს საქართველოში ვარ, არასოდეს დამავიწყდება, თუმცა ქვეყანას ჯანსაღი და დაბალანსებული პოლიტიკური პლატფორმა სჭირდება. ასეთად სწორედ „დემოკრატიულ მოძრაობას" განვიხილავ.

— **ნინო ბურჯანაძე ბიძინა ივანიშვილის რჩეულს უპირისპირდება. თქვენი პარტიის ლიდერს გამარჯვების რეალური შანსი აქვს?**

— ყოველგვარი პათეტიკის გარეშე ვაცხადებ, რომ ნინო ბურჯანაძე პრეზიდენტის პოსტზე ყველაზე მისაღები პოლიტიკოსია. როგორც ცალკე აღებულ კანდიდატს, ნინო ბურჯანაძეს კონკურენტი არ ყავს, თუმცა ფაქტია, ივანიშვილს საზოგადოებაში მაღალი რეიტინგი აქვს, რაც ბუნებრივია, კოალიციის მიერ დასახელებულ კანდიდატზეც გადადის. თანაც ხელისუფლება სახელმწიფო ინსტიტუტებისა თუ მათ ხელთ არსებული ფინანსური რესურსითაც უპირატეს მდგომარეობაშია, რის გამოც, მათთან ბრძოლა საკმაოდ გართულდება. არ მაქვს ილუზია, რომ იოლი გასეირნება გველის, მაგრამ იმედია, ხელისუფლება კეთილსინდისიერად იმოქმედებს და არჩევნები სამართლიან გარემოში ჩატარდება.

— **არჩევნების გაყალბების საფრთხე არსებობს?**

— საფრთხე და ცდუნება სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან ყოველთვის არსებობს, თანაც ჩვენ, დემოკრატიული ტრადიციების მქონე ქვეყანა, ჯერჯერობით, არ ვართ. მიუხედავად ყველაფრისა, დარწმუნებული ვარ, ამჟამინდელი ხელისუფლება ნაცმოძრაობის მსგავსად, მასობრივ ტერორს არ დაიწყებს და განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებს სასტიკად არ გაუსწორდება.

# „პარლამენტის შენობა უკანონოდ აშენდა... არც დასკვნა არსებობს, რომ შენობა მდგრადია!“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**10 ივნისს, ქუთაისის პარლამენტის შენობის ნულ სართულზე ჭერში განთავსებული სახანძრო მილი გასკდა და დერეფნის პერიმეტრი წყლით დაიფარა. გავრცელებული ინფორმაციით, ამის გამო, დერეფანში, დაახლოებით, 10 მეტრის სიგრძეზე, დაზიანებული ჭერი ჩამოვარდა. გარდა ამისა, ძლიერი წვიმის შედეგად, საკანონმდებლო ორგანოს ცენტრალურ შესასვლელში წვიმაც ჩავიდა, რაც პირველი შემთხვევა არ არის. „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ — IDFI აქვეყნებს დასკვნას, რომლის მიხედვით, პარლამენტის მშენებლობისას, საბიუჯეტო სახსრების არამიზანმიმართული განკარგვა გამოიკვეთა. ისიც გაირკვა, რომ პარლამენტის მშენებლობის პროცესში ის კომპანიები მონაწილეობდნენ, რომლებსაც მაღალი თანამდებობის პირები აკონტროლებდნენ.**

## ვინ როგორ იხეირა საკანონმდებლო ორგანოს ქუთაისში გადატანით და რატომ რთულდება დეპუტატების უსაფრთხოების დაცვა



პარლამენტის შენობაში, რომლის მშენებლობაც, დაახლოებით, 300 000 000 ლარი დაჯდა, სახანძრო მილი პირველად არ დაზიანებულა. მიმდინარე წლის იანვარში, ბიუროსთვის განკუთვნილ კაბინეტში, ჭერში დამონტაჟებული სახანძრო მილი გასკდა. შედეგად, კაბინეტი დაიტბორა, ხოლო მაგიდა, თეთრი სავარძლები და აპარატურა დაზიანდა. მოგვიანებით, დეპუტატები ბიუროს სხდომებს საკომიტეტო მოსმენებისთვის განკუთვნილ მეოთხე დარბაზში ატარებდნენ, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ, როდესაც ავეჯი იტალიიდან გამოიწერეს, კანონმდებლები კვლავ ბიუროს დარბაზს დაუბრუნდნენ.

„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ დასკვნაში მითითებულია, რომ ჰაერის ტემპერატურის მომატებისთანავე, პარლამენტის შენობაში ცხელა და გაუსაძლისი სამუშაო პირობებია, წვიმის დროს კი, შენობაში წყალი ჩადის. მთლიანობაში, პარლამენტისა და მთავრობის სახლის მშენებლობისთვის, ქუთაისში 347 194 772 ლარი გადარიცხეს. ამავე დასკვნაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ პარლამენტის მშენებლობის პროცესში, მაღალი თანამდებობის პირების მიერ კონტროლირებადი კერძო კომპანიები მონაწილეობდნენ. მაგალითად, შპს „მენო ინტერნეიშენალის“ სამეწარმეო საქმიანობიდან, შემოსავლის სახით, საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარემ, ირაკლი ჩიქოვანმა 917 623 ლარი მიიღო, იმავე პერიოდში, 2011 წელს, შპს „კავკასუს როუდ პროჯექტის“ მეწილემ და შემდგომში დასაქმების მინისტრმა, პაატა ტრაპაიძემ შემოსავლის სახით, ფირმის სამეწარმეო საქმიანობიდან 1 048 075 ლარი, როგორც გენერალურმა დირექტორმა კი, ანაზღაურების სახით — 84 874 ლარი.

**„კერძო კომპანიები, რომლებიც საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის სახლის ახალი შენობების მშენებლობას ახორციელებდნენ, სამეწარმეო საქმიანობიდან საკმაოდ მსხვილ ფინანსურ მოგებას იღებდნენ. ეს საფუძვლიან ეჭვს ბადებს, რამდენად მიზანმიმართულად განიკარგებოდა საბიუჯეტო სახსრები. დაფინანსებისა და მშენებლობის ასეთი სქემა, კორუფციული გარიგებების ალბათობას ზრდის. სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტის მშენებლობის დამკვეთად კერძო კომპანიის განსაზღვრამ, მშენებლობასთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაცია კიდევ უფრო გაუმჭვირვალე და ხელმიუწვდომელი გახადა. ამავდროულად, აღნიშნული მიდგომა საბაზრო ეკონომიკის ელემენტარულ წესებს არღვევს და საზოგადოებაში აჩენს კითხვებს, რამდენად ეფექტურად და რეალური კონკურენციის პირობებში მიმდინარეობდა სახელმწიფო შესყიდვები და სახელმწიფო მნიშვნელობის სამშენებლო პროექტები“,** — მითითებულია IDFI-ის დასკვნაში.

ამავე დასკვნაშია დამატებითი ხარჯები, რაც პარლამენტის შენობის თბილისიდან ქუთაისში გადატანას მოჰყვა. მაგალითად, დეპუტატების 99%-ს ქუთაისში საცხოვრებელი არ აქვს და იძულებულია, ბინა იქირაოს. თბილისში კი დეპუტატების მხოლოდ 20-30%-ს სჭირდებოდა ბინის ქირაობა. ქირის ანაზღაურების მიზნით, პარლამენტი ერთ დეპუტატზე 667 ლარს გასცემს, რაც საშემოსავლო გადასახადის გამოკლებით, დაახლოებით, 533 ლარია.

საინტერესოა, მიეცა თუ არა მსვლელობა „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ დასკვნას ან გადაეგზავნა თუ არა მთავარ პროკურატურას ქუთაისის პარლამენტის საფინანსო-სამშენებლო დოკუმენტები? „ვერსიამ“ ამ კითხვებით საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილეს, **შოთა მურღულიას** მიმართა:

**„პარლამენტს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო არ აშენებდა და, შესაბამისად, არანაირი დოკუმენტაცია სამინისტროში არ არის. პარლამენტს აშენებდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ერთ-ერთი შპს და ქუთაისის მერია. ჩვენს სამინისტროში შეიქმნა კომისია, რომელიც პრობლემურ ინფრასტრუქტურულ პროექტებს განიხილავს. მისი თავმჯდომარეა მინისტრი დავით ნარმანია. კომისიის ერთ-ერთ სხდომაზე, ქუთაისის პარლამენტის შენობის საკითხიც განვიხილეთ, ოღონდ არა ამ კუთხით. ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლები დაინტერესდნენ, როგორ უნდა წარიმართოს პროცედურა, რათა პარლამენტის მშენებლობის ნებართვა ოფიციალურად მიიღონ. კომისიაზე გადაწყდა, რომ შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც ფინანსურ დოკუმენტაციას კი არ შეისწავლის, სამართლებრივ საკითხებს განიხილავს, რათა მშენებლობის ნებართვა გაიცეს. რეალურად, ქუთაისის პარლამენტი უკანონო მშენებლობად ითვლება და სამართლებრივად, პარლამენტის შენობაში მუშაობაც დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. იუსტიციის სამინისტროსაც იგივე პრობლემა აქვს იუსტიციის სახლებთან დაკავშირებით, რადგან შინაარსით, ეს სახლებიც უკანონო მშენებლობებად მიიჩნევა, ამიტომ ეს საკითხები გაერთიანდა და შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც პრობლემას ერთ ჭრილში განიხილავს. ზოგადად, თუ ექსპერტული დასკვნა არ გვექნება, ზეპირ განცხადებებს ვერ გავაკეთებ. მიმაჩნია, რომ ამხელა ფულის დახარჯვა მიზანშეწონილი არ იყო“.**

რა კეთდება იმისთვის, რომ პარლამენტის შენობაში მომუშავე ადამიანების ჯანმრთელობა, შრომისუნარიანობა და უსაფრთხოება დაცული იყოს? რამდენად მართალია, რომ პარლამენტის ახალი შენობა ენერგოეფექტურია და ხარჯებს ზოგავს? „ვერსიამ“ ამ კითხვებით საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსს, **ზურაბ მარაქველიძეს** მიმართა: **„რაც ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებშია, ყველაფერი კეთდება, რათა თანამშრომლების უსაფრთხოება მაქსიმალურად დაცული იყოს. სხვა საკითხია, რამდენად გამართულია ეს შენობა, ან რამდენად ვარგისია, მაგრამ, ჯერჯერობით, ის დაუმთავრებელია და არც ექსპლოატაციაშია გაშვებული... ექსპერტიზაც არ ჩატარებულა და დასკვნაც არ არსებობს, რომ შენობა მდგრადია. რაც შეეხება ახალი შენობის ენერგოეფექტურობას, ამ მოსაზრებას კატეგორიულად არ ვიზიარებ. მარტივი ექსპერიმენტი ჩავატაროთ: დღის 3-4 საათზე, პარლამენტის მე-3, მე-4, მე-5, მე-6, მე-7 სართულების აივნებზე გაბრძანდით და დარწმუნდებით, რომ, როდესაც გარეთ ჰაერის ტემპერატურა 35 გრადუსია, აივნებზე ტემპერატურა 60 გრადუსამდე ადის — მინის გუმბათის ქვეშ აუტანელი სიცხეა და შენობის ეს ადგილები კონდიცირებას არ ითვალისწინებს. ეს შენობა მხოლოდ მაშინ იქნებოდა ენერგოეფექტური, თუკი სპეციალური შუშით გადაიხურებოდა, რომელიც ულტრაიისფერ და ინფრაწითელ სხივებს არ ატარებს. არადა, ჩვეულებრივი შუშითაა გადახურული, რის ქვეშაც გათბობის სისტემის დამონტაჟებაც არ შეიძლება. ოთახებს არ ვგულისხმობ, ვსაუბრობ ფოიეზე, აივნებზე, შენობასა და შუშის გუმბათს შორის არსებულ ღია სივრცეზე, სადაც ხალხი გადაადგილდება... აქ გათბობისა და კონდიცირების სისტემები გათვალისწინებული არაა“.**

„ვერსიის“ კითხვაზე, რა დამატებითი ხარჯები გამოიწვია პარლამენტის შენობაში შრომის პირობების გაუმჯობესების აუცილებლობამ, დაუსრულებელმა სამუშაოებმა, პარლამენტის ქუთაისში გადასვლამ ან რა დაჯდება თბილისში დაბრუნება, ზურაბ მარაქველიძემ უპასუხა: **„მაგალითად, დამატებითი ხარჯია, როდესაც თანამშრომლებს დანამატი ეძლევათ ბინის ქირის სახით, საწვავის მოხმარებაც გაიზარდა, რადგან სამსახურებრივი მოვალეობიდან გამომდინარე, დეპუტატები ვალდებულები არიან, თბილისში აღმასრულებელ ხელისუფლებასა და სხვა უწყებებთან ჰქონდეთ ურთიერთობა. თვეში დაახლოებით, 500 000 ლარი მხოლოდ პარლამენტის თანამშრომლების საბინაო უზრუნველყოფაზე იხარჯება. პარლამენტის შენობის თბილისში დაბრუნებასაც გარკვეული ხარჯი დასჭირდება. თბილისის შენობა დაზიანდა, განადგურდა დარბაზები, ინვენტარი გაიტანეს, რასაც აღდგენა სჭირდება, თუმცა ეს ერთჯერადი ხარჯი იქნება და, შესაბამისად, თბილისში გადმოტანა ამაზე ძვირი ნამდვილად არ დაჯდება“.**

საინტერესოა, რა პასუხი აქვთ პარლამენტში შექმნილ მდგომარეობაზე საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლებს? „ვერსია“ უმცირესობის ლიდერს, **დავით ბაქრაძეს** დაუკავშირდა: **„არსებობს შესაბამისი ორგანოები, მაგალითად, აუდიტის სახელმწიფო სამსახური, რომელმაც ეს საკითხი ოფიციალურად შეისწავლა და თუ საბიუჯეტო თანხების ხარჯვაში დარღვევა გამოიკვეთება, ამას შესაბამისი რეაქცია მოჰყვება. ზოგადად, მშენებლობა დამოუკიდებლად მიმდინარეობდა, დეტალების საქმის კურსში არ ვარ, მშენებლობასთან არანაირი კავშირი არ გვქონია არც მე და არც წინა მოწვევის სხვა დეპუტატებს. სამწუხაროა, რომ გარკვეულწილად, ეს შენობა პოლიტიკური ბრძოლის ცენტრად იქცა. არსებობს პოლიტიკური ძალა, რომელიც ამბობს, რომ დეცენტრალიზაცია აუცილებელია, ქუთაისში პოლიტიკური ცენტრი უნდა გაჩნდეს და პარლამენტმა ქუთაისში უნდა იმუშაოს, მეორე პოლიტიკური ძალა კი ამას არ ეთანხმება. ბევრი ბრალდება, ამ პოლიტიკური დაპირისპირებიდან გამომდინარეობს.**

**ქუთაისი პოლიტიკური ცენტრი უნდა იყოს. ეს ფეხზე ვერ დააყენებს ქალაქს, მაგრამ ქუთაისის განვითარებისთვის, პოზიტივია. პარლამენტის ქუთაისში გადატანამ არაფერი დააკლო თბილისს, ქუთაისს კი ბევრი რამ მოუტანა. ჩვენი კოლეგები უმრავლესობიდან სხვაგვარად ფიქრობენ. თუ საუბარია ბინების დაქირავებაზე, დეპუტატების არანაკლებ რაოდენობას სჭირდებოდა ბინის დაქირავება თბილისში, სადაც ქირა ბევრად ძვირია. თანხობრივად თუ შევადარებთ, თბილისში ბინების დაქირავების ხარჯი არანაკლები იყო, ვიდრე ახლა ქუთაისშია. რაც შეეხება ტრანსპორტს. თუ შეიძლება, ადამიანი სამუშაოდ დასავლეთ საქართველოდან თბილისში ჩამოვიდეს, რატომ არ შეიძლება, თბილისიდან ჩავიდეს ქუთაისში, თანაც იგივე ხარჯით? თბილისში ვარ დაბადებული, გაზრდილი, ცენტრში ვცხოვრობ, რუსთაველის გამზირზე დავამთავრე სკოლა, მაგრამ ერთი წამითაც არ მიფიქრია, რომ შეუფერებელია, თუკი ქუთაისში ვივლი სამუშაოდ. პრობლემაა, რომ ძლიერი წვიმის დროს, წყალი ჩამოვიდა, მაგრამ ყველამ იცის — ახალ შენობაში ასეთი რამ ხდება ხოლმე. ეს პრობლემები აუცილებლად უნდა გამოსწორდეს. თუ დარღვევა იყო მშენებლობის პროცესში, გამოიძიონ და შესაბამისი რეაქციაც მისცენ, თუმცა ვიმეორებ, ეს შენობა პოლიტიკური ბრძოლის საბაბი გახდა იმ ადამიანებისთვის, ვისაც ქუთაისში მუშაობა არ უნდა. თუ ხალხი შახტებში მუშაობს, ისეთი რა ხდება ქუთაისის პარლამენტის შენობაში, რომ დეპუტატმა ვერ იმუშაოს? ეს უბრალოდ, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების ჭიდილია. თუ რამე პრობლემა აქვს პარლამენტის შენობას, უნდა გამოსწორდეს, თუ ვინმემ არასწორად გააკეთა რაღაც, უნდა დავსაჯოთ, მაგრამ ქუთაისს განვითარების შესაძლებლობა აუცილებლად უნდა მივცეთ!“**

---

## ვერსიანიუსი

### ავღანეთში დაღუპული ქართველი მოსამსახურეები სამხედრო წესით დაკრძალეს



ავღანეთში დაღუპული ქართველი სამხედროები — გიორგი ადამოვი, ბორის ცუგოშვილი და ზურაბ გურგენაშვილი გორის რაიონში დაკრძალეს.

ცერემონიაში მონაწილეობდა საპატიო ყარაული და სამხედრო ორკესტრი, რომელმაც საქართველოს ჰიმნი შეასრულა.

გიორგი ადამოვი გორის სასაფლაოზე სამხედრო წესით დაკრძალეს. ასევე სამხედრო პატივით სოფელ ორთაშენში დაკრძალეს ბორის ცუგოშვილი და სოფელ კარალეთში ზურაბ გურგენაშვილი.

ავღანეთში დაღუპული ქართველი სამხედრო მოსამსახურეების დაკრძალვის ცერემონია გორის გარდა, 13 ივნისს, გაიმართა: მარტყოფში, ენისელში, ძეგვსა და რუსთავში.

ენისელში დაკრძალვის ცერემონიას ესწრებოდა თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია.

შეიარაღებული ძალების მე-4 ქვეითი ბრიგადის 42-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონის სამხედრო მოსამსახურეები, კაპრალები — თეიმურაზ ორთავიძე, გიორგი ადამოვი, ბორის ცუგოშვილი, პირველი კლასის რიგითები — ზურაბ გურგენაშვილი, ზვიად სულხანიშვილი, გიორგი ლუჭაშვილი და რიგითი მიხეილ ნარინდოშვილი 6 ივნისს, ავღანეთში მომხდარი აფეთქების შედეგად დაიღუპნენ.

*„ინტერპრესნიუსი“*



# „გიორგი მარგველაშვილს მინდა ვუთხრა — პლასტილინობიდან ვაზელინობამდე ერთი ნაბიჯია!“

## რატომ უჭერს მხარს ნინო ბურჯანაძის კანდიდატურას და რა შემთხვევაში იმუქრება მრავალათასიანი საპროტესტო აქციებით ელიზბარ ჯაველიძე

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**აკადემიკოსი და სახალხო კრების წევრი ელიზბარ ჯაველიძე ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს მოითხოვს, საპრეზიდენტო არჩევნებზე კი ნინო ბურჯანაძეს არათუ მხარს დაუჭერს, არამედ მისი გამარჯვებისთვის იბრძოლებს! ტრადიციულად, ებრძვის „რესპუბლიკელებს“, ვლადიმერ პუტინის ციტატით დასცინის საქართველოს განათლების სისტემას და ამერიკის ელჩს „ჩხიკვთა ქორწილის“ ანტიგმირს, „ყვანჩალას“ ადარებს — „ვერსიის“ კითხვებზე საინტერესო პასუხებსა და ორიგინალურ შედარებებს ელიზბარ ჯაველიძესთან ინტერვიუში ამოიკითხავთ.**

— ცოტა ხნის წინ, ქვეყანაში ისეთი ჟამი გვედგა, სააკაშვილის სურვილზე ვიყავით დამოკიდებულნი. სააკაშვილი გაიფიქრებდა, რა კარგია პრეზიდენტობა, რაც მინდა, ყველაფერს შევისრულებო და... ასე გადაწყდა ჩვენი ჯარისკაცების ავღანეთში შეყვანა. ავსტრალიას ავღანეთში 3 კაცი ჰყავს, ჩვენ კი კონტინგენტი 1 600 კაცამდე გავზარდეთ და, ვფიქრობ, მიშა ყველაფერს საკუთარი ტახტის გასაძლიერებლად აკეთებდა. საერთოდ, ავღანეთში ქართველი კაცის მოღვაწეობა აბსურდად მიმაჩნია — არანაირ საჭიროებას არ წარმოადგენს, 3-მილიონიანმა ერმა მთელი მსოფლიოს უსაფრთხოება საკუთარი სისხლის ხარჯზე დაიცვას!

**— სააკაშვილის ხელისუფლების დროს, ამის მთქმელს პრორუსად მონათლავდნენ, დღეს ეს აღარ გემუქრებათ?**

— რასაც ნაციონალები ბრძანებენ, ჩემთვის ყველაფერი სისულელეა! ამერიკა, დღეს მსოფლიოს ნომერპირველი დამპყრობელია. ჯორჯ ბუში ამბობდა, დემოკრატია თუ არ გინდათ, მოვალ და მას იარაღით დავამყარებო. რუსეთი კი, როცა თანასწორობისთვის იბრძოდა, იარაღს მაშინ იყენებდა — ჩემთვის სოციალური თანასწორობისთვის ბრძოლა უფრო გასაგებია.

**— ამით რისი თქმა გინდათ — რუსეთი დემოკრატიული ქვეყანაა?**

— არა, მაგრამ ყველაფერი, რაც ცუდია, რუსეთის ბრალი არ არის და რაც კარგია — ამერიკის დამსახურება! ჩემთვის ორივე საშიშია! სამწუხაროდ, განსხვავებული მიდგომა არც ახალ ხელისუფლებას აქვს. ერთადერთი, რაც შეიცვალა, ისაა, რომ ადამიანს აზრის თავისუფლად გამოთქმა შეუძლია. ქვეყნისთვის მთავარი საშიშროება სისტემა იყო, რომელიც უცვლელია, პიროვნული ჩანაცვლებით კი არაფერი გამოვა. ბიძინა უფრო მესიმპათიურება და მიყვარს, მაგრამ ეს არაფერს ცვლის. სააკაშვილის მოყვანა-გამოზრდაში მეც მაქვს წვლილი და ვნანობ, ასეთი უვარგისი რომ გამოდგა სამშობლოსთვის. ისეთი ბავშვობა ჰქონდა, მაშინდელმა კომპლექსებმა გაპრეზიდენტების შემდეგ ერთიანად ამოხეთქა, ივანიშვილს კი მსგავსი კომპლექსები არ აწუხებს. ერთ ამბავს გიამბობთ — „ბირჟაზე“, სხვა ახალგაზრდებთან ერთად, ჩემი შვილებიც იდგნენ. ამ დროს, ივანიშვილის ესკორტმა აიარა და ბავშვებს ხელი დაუქნია. დეტალია, მაგრამ ადამიანობისა და უბრალოების გამოხატულებაა, თუმცა არ მომწონს, რომ დღეს საქართველო ამერიკის პროვინციაც კი არაა — აქ ყველაფერი ისე უნდა გაკეთდეს, როგორც ამერიკის ელჩი მოისურვებს! კოლმეურნეობის ყველა კრებას პარტკომი რომ ესწრებოდა, ისეა ჩვენი საქმე — ერთი კრება არ ტარდება, ეს ელჩი არ დაესწროს! „ჩხიკვთა ქორწილში“ ყვავი რომ დადის დაუპატიჟებლად და დაყვანჩალებს, ასე დადის ყველგან. არც „ოცნება“ აკლებს — მისი წევრი ზოგიერთი ძალა ამერიკის მიერ ჩვენი ქვეყნის მართვას უწყობს ხელს. ბოდიში მომითხოვია, თუ ნატო-სა და ევროპისკენ მიმავალი გზა საჯდომზე გადის, ეგეთი არც ნატო მინდა და არც ევროპა!

**— რომელ წევრებს გულისხმობთ? ვიცით თქვენი დამოკიდებულება „რესპუბლიკელების“ მიმართ. კიდევ რომელი პარტიაა მიუღებელი?**

— არა! ჩემთვის ნაციონალებსა და „რესპუბლიკელებს“ შორის განსხვავება არ არის. ბიძინას გამარჯვებას ზუსტად ეგ პარტია მოჰყვა კუდად, პრემიერი კი აცხადებს, ყველაზე გამოცდილი და სამაგალითო პარტიააო. გაიგოს ივანიშვილმა, რამდენი ფულიც უნდა მისცეს მათ, ბარიერს მაინც ვერასოდეს გადალახავენ! ახალი დადგენილება ნახეთ, პარლამენტმა რომ მიიღო? — მაგათ ქვეყანაში ჭეშმარიტად ოპოზიციური პარტიების მოსპობა უნდათ! ვინც ნამდვილი ოპოზიციაა — კახა კუკავა, დიმიტრი ლორთქიფანიძე, ჯონდი ბაღათურია, ნინო ბურჯანაძე და სხვები, საერთოდ დაუფინანსებლები უნდა დარჩნენ და სხვებმა დაფინანსება გაიორმაგონ?! სახალხო კრებამ რომ განაცხადა, არჩევნებში არ ვმონაწილეობ, რადგან მხარს ბიძინას ვუჭერ და გზას ვუთმობო, ამისთვის ისჯება ახლა ბურჯანაძე?! ესაა სამართალი?! ის ნაციონალების სატელიტები — ბაჩუკი ქარდავა, პაატა დავითაია და სერგო ჯავახაძე უნდა დააჯილდოვონ ამხელა დაფინანსებით?

**— ეს კანონები პარლამენტში მარტო „რესპუბლიკელების“ და არა მთელი „ოცნებისა“ და პრემიერის სურვილით გადის?**

— მჯერა, ეს ყველაფერი ხდება ნაციონალების, როგორც მთავარი ოპოზიციური ძალის საღიარებლად, რათა ამერიკელებმა თავიანთი გადაფურთხებული არ ალოკონ! 40% პარლამენტში ისე ეკუთვნის ნაციონალებს, როგორც მე მეკუთვნის ჩინეთის იმპერატორის ტახტი! ამათთან კოჰაბიტაცია კი, ზნეობრივი და პოლიტიკური დანაშაულია! რაც შეეხება ჩემს დამოკიდებულებას „რესპუბლიკელებთან“, ეს ჩემი კი არა, ხალხის საყოველთაო აზრია — ერთი კაცი მაინც დამისახელეთ, ვინც მათ აქებს?!

**— თვითონ დაასახელეთ ორი წუთის წინ — ბიძინა ივანიშვილი!**

— ჰო, ეგეც მეორე უკიდურესობაა! არ მესმის, რატომ აკეთებს ამას. ჯერ ისეთი კაცი ვერ ვნახე, ივანიშვილს შეექო და ნორმალური გამომდგარიყო.

**— არც გიორგი მარგველაშვილი?**

— კაცი, რომელიც აცხადებს, პლასტილინი ვარო, ნორმალურია?! წინა ხელისუფლებამ განათლების სისტემა მოსპო — სკოლის პროგრამა ბავშვების დაჩლუნგებისკენაა მიმართული. უმაღლესებიდან კი, პროფესორ-მასწავლებლები გამოყარეს და ახალგაზრდა გოგო-ბიჭები მოიყვანეს. ეს სოროსის გეგმა იყო — უნივერსიტეტების დამნაშავეებით გავსება!

**— დღევანდელმა ფინანსთა მინისტრმა, ნოდარ ხადურმა „სისხლის სამართლის დამნაშავე და თსუ-ს ბიბლიოთეკის ქურდი“, ძმაკაცი გია ხუბუა სამართლის სკოლის ხელმძღვანელად დასვა!**

— ეს დიდი დანაშაულია, რაშიც, როგორც ვიცი, გერმანიაც იყო ჩარეული. ხუბუას ადგილი ყველაზე კარგად დედამისმა განსაზღვრა — ის თხების კარგი მწყემსი იყო და იქ უნდა დარჩენილიყო! კაცმა უნივერსიტეტი დაანგრია და ამის გამო ციხეში უნდა იჯდეს! ერთი დადებითი, რაც ბოლო დროს განათლების სისტემაში მოხდა ის იყო, რომ იმ გათახსირებულ გამომცემლებს მოეხაზა, ვინც გაჭირვებული ხალხის ხარჯზე ფულს შოულობდა. პენსიაც მაქვს, შემოსავალიც და შვილიშვილისთვის წიგნების ყიდვა მიჭირს! აწ უკვე გადამდგარი უნივერსიტეტის რექტორი ყოვლად უწიგნური კაცი იყო. კვიტაშვილს ხარისხიც კი არ ჰქონდა დაცული. როცა პუტინმა გაიგო, საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი კვიტაშვილიაო, აქამდე დაეშვნენ ქართველებიო, იკითხა. რა მნიშვნელობა აქვს, პუტინი მტერია თუ მოყვარე — ისიც კი ირონიით საუბრობს ამაზე! დღეს ყველა უმაღლესი თავისუფლების ინსტიტუტის ფილიალად იქცა, ამიტომ მთელი სისტემა უნდა შეიცვალოს! უნივერსიტეტის განვითარების გეგმას რომ წერს გია დვალი, ფიზიკოსი, მაგან რა იცის, როგორ უნდა სისტემის განვითარება?! სამაგიეროდ, ეტყობა, შავ ხვრელებზე იმდენი რამ იცის, ერთ-ერთ შავ ხვრელში ჩარჩა და იქიდან ვეღარ გამოსულა! თვალებიდანაც დიდი სიბნელე გამოსჭვივის.

**— თქვენი მოსაწონი არც განათლების შემდეგ მინისტრად მოაზრებული „რესპუბლიკელი“ დავით ზურაბიშვილი იქნება...**

— ზურაბიშვილის სიტყვებს რა დამავიწყებს: ქართველებს ორი სახადი გვჭირს, ეროვნულობა უკვე მოვიხადეთ, ახლა მეორე, მართლმადიდებლობა გვაქვს მოსახდელიო... ამის მთქმელი, განათლების მინისტრის მოადგილე კი არა, საქართველოს მოქალაქე არ უნდა იყოს და მის ფეხქვეშ მიწა უნდა იწვოდეს! უწიგნურია ეგ კაცი, ორი საზიზღარი მოთხრობა აქვს ბავშვებისთვის დაწერილი, ცხოვრებაში ერთი გაკვეთილი არ ჩაუტარებია და რა უნდა მაგას განათლების სისტემაში, როცა თავისუფლების ინსტიტუტიდან ამოზრდილი ერთ-ერთი ჭიაღუაა! მაგასთან ჩვენ ძალიან სერიოზული ძალით მივალთ!

**— საპროტესტო აქციებით ემუქრებით?**

— მაგას მინისტრად თუ დანიშნავენ, ხალხის დიდ პროტესტს მიიღებენ — ათასობით კაცი სამინისტროდან მის გამოძევებას მოითხოვს! ბიძინას ხალხიც არასოდეს აპატიებს, მემკვიდრეობად ამ პარტიებს თუ დაუტოვებს, ამიტომაა საჭირო ვადამდელი არჩევნები და თუ ვინმეს რამის თავი აქვს, კენჭი ცალკე იყაროს. მერე თუ „რესპუბლიკელები“ ბარიერს გადალახავენ, ვიტყვი, რომ ქართველი ერი აღარ არსებობს, უნდა დაიხურო ქუდი და ქვეყნიდან წახვიდე!

**— ჯერ წინ საპრეზიდენტო არჩევნებია, სადაც გიორგი მარგველაშვილს კონკურენტი ნინო ბურჯანაძე ერკინება — ვინ არის თქვენი რჩეული?**

— მარგველაშვილმა სახე მაშინ აჩვენა, როცა საკუთარ თავს პლასტილინი უწოდა. მას მინდა ვუთხრა — პლასტილინობიდან ვაზელინობამდე ერთი ნაბიჯია! შეიძლება, ეს კაცი ივანიშვილს მოსწონს, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, მისი ხათრით, ივანიშვილის აჩრდილი ხომ არ უნდა ავირჩიოთ?! რა თქმა უნდა, ნინო ბურჯანაძეს ვუჭერ მხარს, თუნდაც იმიტომ, რომ ეს თავად ივანიშვილისა და „ოცნებისთვისაა“ უკეთესი! გარდა ამისა, ნინო ბურჯანაძეს ყველა ის თვისება აქვს, რაც პრეზიდენტს სჭირდება. მას არა მარტო მხარს დავუჭერ, არამედ ვიბრძოლებ მისი გაპრეზიდენტებისთვის და თუ ბატონი ბიძინა შემხვდება, ამ ყველაფერს პირშიც ვეტყვი!

# ტენდერების სკანდალი თავდაცვის სამინისტროში

*მე-3 გვერდიდან*

კომპანიის წარმომადგენელმა, ვინმე მამუკამ, რომელმაც გვარის დასახელება არ ისურვა, გივი თარგამაძის ეჭვებისა და კითხვების საპასუხოდ, ასეთი კომენტარი გააკეთა: **„ვიღაცამ რაღაც კომენტარები რომ გააკეთა და იჭორავა, ეს ჩვენი პრობლემა არ არის. ამ კომპანიას არავითარი კავშირი არ აქვს არც ერთ პოლიტიკურ ფიგურასთან, არც გია ყარყარაშვილთან, მით უმეტეს, გიორგი სიმონიანთან. თავდაცვის სამინისტროს ტენდერებში ნამდვილად მივიღეთ მონაწილეობა და ეს ჩვენი პირველი ტენდერი არაა. არ ვარ უფლებამოსილი, ამ ტენდერის კონკრეტულ დეტალებზე ვისაუბრო და განვმარტო, ვისთან, როგორ გავიმარჯვეთ. ამ ყველაფრის შესახებ ინფორმაცია საჯაროა და მისი მოპოვება ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია. თარგამაძე თანამდებობის პირია და ტელევიზიით ამდენი სისულელე არ უნდა იბლუჩუნოს! სულელური ეჭვების გამოთქმას, სჯობს, ინფორმაცია გადაამოწმოს, რადგან ეს ყველაფერი ბოდვაა და ფაქტებს არ ეფუძნება!**

„ვერსიისთვის“ კომენტარი საგამოძიებო ჟურნალისტიკაში დაბრუნებულმა დეპუტატმა **გივი თარგამაძემაც** გააკეთა: **„ვისაც რა უნდა, ის იძახოს, ჩვენს მიერ დადებული ფაქტები ოფიციალური ინფორმაციაა! არაფერს ცვლის ის დეტალი, რომ გია ყარყარაშვილის მძღოლი მისი ნათლულია. ეს ადამიანი ნამდვილად ატარებს აქეთ-იქეთ ყარაყარაშვილს და როცა მძღოლი ვახსენე, შეურაცხმყოფელი არაფერი მიგულისხმია. ვიცი, ახლა გია საავადმყოფოში მკურნალობს, მაგრამ დანამდვილებით ვიცი ისიც, რომ ტენდერი მასთან დაკავშირებულმა პირმა მოიგო და სულ თავდაცვის სამინისტროდან 1 800 000 ლარამდე მიიღო. ჩემთვის მათი პასუხები მიუღებელია. სამინისტროში განაცხადეს, თითქოს ირინა იმერლიშვილის ქმარი ტენდერიდან მოიხსნა, მაგრამ ეს მხოლოდ მას მერე მოხდა, რაც ამის შესახებ ჩვენ გავაგებინეთ საზოგადოებას. კომპანია ლოტების რაღაც ნაწილიდან მოხსნილია, რაღაც ნაწილზე კი დარჩა. რაც შეეხება 35 მლნ-ს, ოფიციალურად, შესყიდვების სააგენტოს საიტზე, გამარჯვებულად, დღესაც იმერლიშვილის ქმრის ფირმაა მითითებული — ასე რომ, ან ეს შეცდომა გაასწორონ, ან ჩავთვლი, რომ ეს ფირმა გამარჯვებულია! მინდა, გამოვეხმაურო გია ხუხაშვილსაც — არ ვიცი, ამ კაცმა თავი რატომ წარმოიდგინა უმაღლეს ინკვიზიტორად და რატომ საუბრობს, რომ მე პასუხი უნდა ვაგო. იგი ამ ქვეყანაში ვერაფერს გადაწყვეტს და დაეტიოს იმ ოთახში, სადაც ზის, ბევრს ნუ ლაპარაკობს! თუ პრემიერის მრჩეველია, მრჩეველი იყოს. რაც შეეხება ირაკლი ალასანიას — ყარყარაშვილი ყოველთვის ხაზს უსვამდა მასთან განსაკუთრებულ დამოკიდებულებას და წინა არჩევნებზეც მხარში ედგა ალასანიას. დღეს ამისთვის საფასურის გადახდა ესაჭიროება, ამიტომ ახლა აბსოლუტურად არამოტივირებული გამარჯვებების სერია ვიხილეთ თავდაცვის სამინისტროს ტენდერებში — თანხები ყარყარაშვილის ახლობლებზე გაიცა არჩევნებში მხარდაჭერის საფასურად! აქედან მიდის თუ არა თანხები კონკრეტულად ირაკლი ალასანიას ჯიბეში, ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ეს გამოძიების საგნად უნდა იქცეს. უბრალოდ, ყველა ის პასუხი, რაც ჩვენს ბრალდებაზე მივიღეთ, ორიდან ერთზე მიანიშნებს — მთავრობაში ან ამ ყველაფერზე თვალს ხუჭავენ, ან ხელს უწყობენ და ტენდერებში წინასწარი გამარჯვებულები ჰყავთ!“**

# ინფლაცია სურსათის, უალკოჰოლო სასმელისა და კომუნალური გადასახადების გამო დაფიქსირდა?

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის იანვარ-მარტის ანგარიშის მიხედვით, ერთი წლის მანძილზე სამომხმარებლო ფასები 2.1%-ით შემცირდა. 12-თვიანი ინფლაცია სამომხმარებლო კალათის სამმა სასაქონლო ჯგუფმა — სურსათმა, უალკოჰოლო სასმელმა და კომუნალურმა გადასახადებმა განაპირობა. ბიუჯეტის თანახმად, ამ პერიოდში, ეროვნული ვალუტა — ლარი უმნიშვნელო რყევებით ხასიათდებოდა და აშშ დოლართან მიმართებაში, 0,07%-ით გამყარდა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში, ექსპორტი 5%-ით გაიზარდა, ხოლო იმპორტი — 8%-ით შემცირდა. სახელმწიფო ბიუჯეტის იანვარ-მარტის ანგარიშში, რამდენიმე მნიშვნელოვანი პარამეტრია, რასაც „ვერსიის“ მომდევნო ნომერში განვიხილავთ, ამჯერად კი, ბიუჯეტის ზოგადი პარამეტრებით, საქართველოს მთავრობისა და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდებით დავინტერესდით.**




## ეკონომიკური ზრდა ბიუჯეტის მიხედვით

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი მონაცემების მიხედვით, 2013 წლის პირველ კვარტალში, მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) რეალურმა ზრდამ, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 1.7% შეადგინა. რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი იანვარში 2.9%, თებერვალში 2.1%, ხოლო მარტში 0.2% პროცენტი იყო.

საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 1 633 651 900 ლარით განისაზღვრა, საანგარიშო პერიოდში მობილიზებული იყო 1 641 301 400 ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 100.5%. გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი 1 550 104 000 ლარით განისაზღვრა, საანგარიშო პერიოდში კი 1 553 482 600 ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 100.2% იყო მობილიზებული.

სახელმწიფო ბიუჯეტში, საშემოსავლო გადასახადის სახით, 418 346 000 ლარია მობილიზებული, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 100.3%-ია; მოგების გადასახადის სახით — 266 040 800 ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 100.3%-ია; დამატებითი ღირებულების გადასახადის (დღგ) სახით — 690 218 200 ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 100.1%-ია; აქციზის სახით — 151 280 300 ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 100.3%-ია; იმპორტის გადასახადის სახით — 20 177 500 ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 100.9%-ია; სხვა გადასახადის სახით — 7 419 8000 ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 101.6%-ია.

## მონეტარული მაჩვენებლები

2013 წლის მარტში, თებერვალთან შედარებით, სამომხმარებლო ფასები 0.1%-ით, ხოლო 2012 წლის დეკემბერთან შედარებით, 0.2%-ით შემცირდა. 2013 წლის მარტში, 2012 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, სამომხმარებლო ფასები 2.1%-ით შემცირდა. 12-თვიანი ინფლაცია, სამომხმარებლო კალათის სამმა სასაქონლო ჯგუფმა — სურსათმა, უალკოჰოლო სასმელმა და კომუნალურმა გადასახადებმა განაპირობა. სამომხმარებლო ფასები 0.7%-ით შემცირდა, ჯანმრთელობის დაცვა კი 0.24%-ით გაიზარდა.

2013 წლის იანვარ-მარტში, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ, უმნიშვნელო რყევებით ხასიათდებოდა. 2013 წლის მარტში, 2012 წლის დეკემბერთან შედარებით, ლარის საშუალო თვიური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 0,07%-ით გამყარდა და 1 აშშ დოლართან მიმართებაში, 1,659 ლარი შეადგინა. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2013 წლის იანვარ-მარტში, დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში 1.53%-ით, ხოლო დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში 3.9%-ით გაიზარდა. 2013 წლის მარტში, წინა წლის დეკემბერთან შედარებით, დოლარიზაციის კოეფიციენტი უმნიშვნელოდ, 0.55%-ით გაიზარდა 60.9%-ს გაუტოლდა.

## ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლები

2013 წლის იანვარ-მარტში, საგარეო-სავაჭრო ბრუნვა, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 5%-ით შემცირდა და 2 144 000 აშშ დოლარი შეადგინა. აქედან ექსპორტი — 565 000 000 აშშ დოლარი, ხოლო იმპორტი — 1 579 000 აშშ დოლარი იყო, რაც 5%-ით მეტი და 8%-ით ნაკლებია, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

საქონელბრუნვის მიხედვით, საქართველოს უმსხვილეს პარტნიორ ქვეყნებს შორის, პირველი ადგილი თურქეთს უკავია, რომლის წილი 2013 წლის იანვარ-მარტის მონაცემებით, მთლიანი საქონელბრუნვის 14.3%-ს შეადგენდა. თურქეთს აზერბაიჯანი მოსდევს 13.8%-ით და შემდეგ უკრაინა და ჩინეთი არიან — 7.3-7.3%-ით. ექსპორტში პირველ ადგილზე აზერბაიჯანია 25.4%-ით, მეორეზე — სომხეთი (12.1%-ით), მესამეზე — თურქეთი (6.6%-ით). იმპორტში პირველი ადგილი თურქეთს უჭირავს (17%), მეორეზე — აზერბაიჯანი (9.7%), მესამეზე — ჩინეთი (9.3%).

სასაქონლო ჯგუფების მიხედვით, ექსპორტში პირველ ადგილზე მსუბუქი ავტომობილებია 24.8%-ით, მომდევნო ადგილებს იკავებენ: ფეროშენადნობები — 12.0% და აზოტოვანი სასუქები — 6.4%. იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაში პირველ ადგილზე ნავთობი და ნავთობპროდუქტებია, რომელთა წილი მთლიან იმპორტში 11.0%-ია. ამის შემდეგაა მსუბუქი ავტომობილები 9.0%, ნავთობი, აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები — 6.5%, სამკურნალო საშუალებები — 3.5%.

## საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი

2013 წლის პირველ კვარტალში, საქართველოს მთავრობის განკარგულებებისა და პრემიერ-მინისტრის ბრძანებების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 3 700 610 000 ლარი გაიხარჯა. 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სამი თვის შესრულების ანგარიშის მიხედვით, საქართველოს მთავრობის კანცელარიას, მთავრობისვე სარეზერვო ფონდიდან, 1 215 510 000 ლარი გამოუყვეს. ახლა ვნახოთ, რა მიზნით დაიხარჯა ეს თანხა:

2013 წლის 7 თებერვალს, ბიძინა ივანიშვილმა გამოსცა ბრძანება №33, რომლის საფუძველზე, საქართველოს დასაქმების სახელმწიფო მინისტრის აპარატის სალიკვიდაციო ღონისძიებების დასასრულებელი ხარჯები 57 640 000 ლარით დაფინანსდა. საქართველოს მთავრობამ იმავე დღეს გამოსცა №145 განკარგულება და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესის შეუფერხებელი და თანმიმდევრული განხორციელების მიზნით, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 1 157 870 000 ლარი გამოყვეს.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 11 იანვრის №16 განკარგულებით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 270 859 000 ლარი გამოუყვეს. ეს თანხა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორეს აღსაყდრებიდან 35 წლისთავისა და დაბადებიდან 80 წლის იუბილეს აღნიშვნას მოხმარდა.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 11 იანვრის №17 განკარგულებით კი, საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 920 202 000 ლარი გამოუყვეს. აქედან 875 000 000 ლარი, 2013 წლის 1 იანვრიდან — 31 მარტის ჩათვლით, კახეთის რეგიონის მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ანაზღაურებას მოხმარდა. მართალია, კახა კალაძის უწყებისთვის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საკმაოდ სოლიდური დაფინანსება გამოყვეს, მაგრამ 2013 წლის 15 იანვარს, პრემიერ-მინისტრმა გამოცდა №01 განკარგულება და 19 970 000 ლარი, ფართო აუდიტორიისთვის უცნობი მიზნებისთვის გახარჯა, რადგან სახელმწიფო ბიუჯეტში ამ ხარჯს გრიფი „საიდუმლო“ ადევს. 2013 წლის 21 თებერვალს, პრემიერ-მინისტრმა კიდევ ერთი, №02 განკარგულება გამოსცა და მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 25 232 000 ლარი გამოყო, მაგრამ ბიუჯეტში ამ ხარჯსაც გრიფი — „საიდუმლო“ ადევს.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთვის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 860 000 000 ლარი გამოყვეს. მთავრობის 2013 წლის 1 მარტის №215-ე განკარგულებით, ეს თანხა საქართველოს ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციას გადასცეს, რათა 15-25 მარტს, 2013 წლის ევროპის ჩემპიონატისა და მის ფარგლებში, ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის FILA-ს კონგრესისა და მსაჯთა სემინარის მაღალ დონეზე ჩატარებულიყო.

## საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი

2013 წლის პირველ კვარტალში, საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის განკარგულებით, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ 1 699 500 ლარი შეადგინა, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისთვის კი 1 465 750 000 ლარი გამოყვეს. 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სამთვიან ანგარიშში დეტალურადაა გაწერილი, რაში გაიხარჯა პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხა.

საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 3 იანვრის №03/01/01 განკარგულებით, ფიზიკურ პირს, გიორგი ავალიანს ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაუწიეს და პრეზიდენტის ადმინისტრაციამ, სარეზერვო ფონდიდან 35 000 ლარი გამოუყო, ანა აზნაურაშვილს კი ერთჯერადად, 5 000 ლარით დაეხმარნენ. 2013 წლის იანვარ-მარტის პერიოდში, მიხეილ სააკაშვილმა რამდენჯერმე გამოსცა სხვადასხვა განკარგულება, რათა ამა თუ იმ ფიზიკურ პირს, ერთჯერადად დახმარებოდა. მაგალითად, ფიზიკურ პირს, თამარ თურმანიშვილს, ერთჯერადი დახმარების მიზნით, 10 000 ლარი გამოუყვეს, ლამარა ხეცურიანს — 1 000 ლარი, ქეთო ზარქუას — 1 150 ლარი, დარეჯან ლომიძეს — 2 000 ლარი, ზინე ალიევას — 1 000 ლარი, გიორგი ყორღანაშვილს — 30 000 ლარი, ირაკლი მეგრელიშვილს — 35 000 ლარი, თამარ ლათიბაშვილს — 3 600 ლარი.

2013 წლის 16 იანვარს, პრეზიდენტმა №16/01/02 განკარგულება გამოსცა და შეწყალების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ხელფასისთვის, სარეზერვო ფონდიდან 7 500 ლარი გამოყო. საინტერესოა ისიც, რომ 2013 წლის იანვარ-მარტში, პრეზიდენტის ადმინისტრაციას ინტერნეტით შეუფერხებელი და აუცილებელი მომსახურება 5 500 ლარი დაუჯდა, ხოლო ადმინისტრაციაში შიდასატელეფონო ქსელის მოწყობა კი — 33 000 ლარი. რა თქმა უნდა, ეს თანხა პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყვეს.

2013 წლის 24 იანვარს, მიხეილ სააკაშვილმა გამოსცა განკარგულება №24/01/02, რომლითაც პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან 160 000 ლარი იმიტომ გამოყო, რათა საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად საჭირო ხარჯები დაეფარა. პრეზიდენტის 11 თებერვლის განკარგულება კი „ჯეოოლიმპის“ შეჯიბრების საორგანიზაციო ხარჯებს ეხება და ამ მიზნით, სარეზერვო ფონდიდან 15 000 ლარი გამოყვეს. რაც შეეხება საჯარო მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ ხარჯებს, სარეზერვო ფონდიდან 115 000 ლარი გაიხარჯა.

პრეზიდენტის 26 მარტის განკარგულებით, სარეზერვო ფონდიდან 1 000 000 ლარი გამოყვეს. ამ თანხით კომპიუტერული ტექნიკა შეიძინეს, რათა წარჩინებული სტუდენტების, მოსწავლეებისა და სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის საჩუქრებად გადაეცათ.

ვერსიანიუსი

## ოქროს სხეულზე მალავდა



მგზავრს სხეულზე დამალული ოქრო აღმოუჩინეს. შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, თბილისის აეროპორტში, სტამბოლი-თბილისის რეისით, აზერბაიჯანის მოქალაქე ზ.ა. ჩამოფრინდა.

საბაჟო გამშვებ პუნქტში „თბილისის აეროპორტი“ ფიზიკური დათვალიერების შედეგად, მგზავრს წელზე შემორტყმული სამედიცინო დანიშნულების ქამრის ქვეშ დამალული, დაახლოებით, 0,7 კგ წონის ოქროს ნაკეთობები აღმოაჩნდა.

სატარიფო ღირებულების დადგენის მიზნით, საქონელს ჩაუტარდა ექსპერტიზა და დაილუქა.

*„ინტერპრესნიუსი“*

# „7 ნაბიჯი წარმატებისკენ“ — „თი ბი სი ბანკის“ ინოვაციური პროგრამა მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერისთვის




## ნოდარ ხადურმა ვახტანგ ბუცხრიკიძეს ტრენინგების ჩასატარებლად ფინანსური აკადემიის ბაზა შესთავაზა

**„თი ბი სი ბანკმა“ ახალი, ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამის პრეზენტაცია გამართა. „7 ნაბიჯი წარმატებისკენ“, ეს „თი ბი სი ბანკის“ მასშტაბური და ინოვაციური პროექტია, რომლის მიზანია, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა. ეს პროგრამა 7 სხვადასხვა კომპონენტისგან შედგება, თითოეული მათგანი, გრძელვადიან პერსპექტივაში, მცირე და საშულო ბიზნესის ზრდასა და განვითარებაზეა გათვლილი. პროგრამის პირველ საფეხურზე, მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს უფასო ტრენინგებს გამოცდილი და პროფესიონალი ტრენერები ჩაუტარებენ.**

„თი ბი სი ბანკის“ გენერალურმა დირექტორმა, **ვახტანგ ბუცხრიკიძემ** აღნიშნა, რომ მცირე და საშუალო ბიზნესი მნიშვნელოვან დოვლათს ქმნის ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. ბოლო პერიოდში, საქართველოში ბიზნესაქტივობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. რაც მთავარია, 1 500 000 ადამიანი მხოლოდ კერძო სექტორშია დასაქმებული: **„საინტერესოა, რას აკეთებს „თი ბი სი ბანკი“ მცირე და საშუალო ბიზნესის განსავითარებლად? 280 000 000 ლარის სესხი ბანკმა მხოლოდ მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებზე გასცა. ამჟამად მცირე და საშუალო ბიზნესის 42 000 წარმომადგენელი გვყავს, 2009 წელს კი მხოლოდ 21 000 გვყავდა. ჩვენი ახალი პროექტი — „7 ნაბიჯი წარმატებისკენ“, საშუალებას გვაძლევს, „თი ბი სი ბანკი“ მცირე და საშუალო ბიზნესის პარტნიორი გახდეს. ამ პროექტის პირველი ნაბიჯი უფასო ტრენინგებია, რომლებსაც საქართველოს მასშტაბით ვმართავთ. ჩვენს მიერ ორგანიზებული ტრენინგები მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს საშუალებას აძლევს, კონკრეტულ სფეროში ცოდნა გაიღრმავონ, მართვის უნარ-ჩვევები გაიუმჯობესონ, სწორი გადაწყვეტილებები მიიღონ, ფინანსები სწორად მართონ და ტექნოლოგიური შესაძლებლობები ეფექტურად გამოიყენონ“.**

მისი თქმით, ტრენინგებზე დასწრება ამა თუ იმ კომპანიაში გადაწყვეტილებების მიმღებ პირებს შეუძლიათ, მათ შორის, დამფუძნებლებს, დირექტორებსა და მენეჯერებს. პროექტის პირველ კომპონენტში „თი ბი სი ბანკის“ პარტნიორია აზიის განვითარების ბანკი, რომელსაც საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს. ვახტანგ ბუცხრიკიძემ განმარტა, რომ პირველ ეტაპზე, ტრენინგები ჩატარდება ფინანსებში, მარკეტინგსა და ადამიანური რესურსების მართვაში:

**„ტრენინგები, რომლებიც ჩვენმა ბანკმა წელს დაიწყო, 2014 წლის ბოლომდე გაგრძელდება. როგორც ხედავთ, მცირე და საშუალო ბიზნესი საკმაოდ სწრაფად იზრდება, ამიტომაც გვინდა, ეკონომიკის ამ მიმართულებაში ჩვენი წვლილიც შევიტანოთ. ორმხრივი ინტერესია იმის გამო, რომ ბიზნესის ეს სეგმენტი ვითარდება. გვინდა, „თი ბი სი ბანკმა“ თავისი მონაწილეობა გაზარდოს ამ მიმართულებით. ეს პროექტი გრძელვადიან ურთიერთობაზეა აგებული და, გარკვეულწილად, ბანკი პასუხისმგებლობასაც იღებს თავის კლიენტებზე, რადგან არა მხოლოდ სესხი გასცეს, არამედ მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს, ამ სესხის ეფექტურად გამოყენებაც ასწავლოს“,** — განუცხადა „ვერსიას“ ვახტანგ ბუცხრიკიძემ.

პრეზენტაციას, რომელიც „თი ბი სი ბანკში“ გაიმართა, საქართველოს ფინანსთა მინისტრი **ნოდარ ხადურიც** ესწრებოდა. მისი თქმით, საქართველოს ეკონომიკაში მცირე და საშუალო ბიზნესის წილი მხოლოდ 13%-ია. ეს საკმაოდ ცუდი მაჩვენებელია, მაგრამ ფინანსთა მინისტრს იმედი აქვს, რომ მთავრობის ეკონომიკური გუნდის გამართული მუშაობის შედეგად, ეს მაჩვენებელი გაიზრდება, ოღონდ არა მსხვილი ბიზნესის შემცირების ხარჯზე:

**„უდავოდ, საინტერესო პროექტია და, მიხარია, რომ კომერციული ბანკები ამ ტიპის მუშაობას იწყებენ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ არა მარტო კაპიტალი, არამედ ახალი ცოდნაც გვჭირდება ბიზნესში, ამიტომ ძალიან კარგია, როდესაც კომერციული ბანკი ასეთი ინიციატივით გამოდის და უფასო ტრენინგებს ატარებს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ პროექტის მიხედვით, „თი ბი სი ბანკი“ ისევ ნოვატორია“.**

ნოდარ ხადურმა, „თი ბი სი ბანკის“ გენერალურ დირექტორს, ვახტანგ ბუცხრიკიძეს შესთავაზა, რომ ტრენინგები ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ აკადემიაში ჩაატარონ. მისი თქმით, ფინანსურ აკადემიას ძალიან კარგი ბაზა აქვს, რომლის გამოყენება „თი ბი სი ბანკს“ შეუძლია. ფინანსთა მინისტრს იმედი აქვს, რომ კომერციული ბანკი და მისი უწყება მნიშვნელოვან, ერთობლივ პროექტებს განახორციელებენ. გარდა ამისა, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს, საქართველოს ყველა რეგიონში აქვს კარგად მოწყობილი ბაზები და „თი ბი სი ბანკს“ ტრენინგებისთვის ამ ბაზების გამოყენებაც შეუძლია.

აზიის განვითარების ბანკი, „თი ბი სი ბანკის“ ამ ახალ წამოწყებას მიესალმება, რომელიც მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას უწყობს ხელს. აზიის განვითარების ბანკმა „თი ბი სი ბანკს“ 50 000 000 აშშ დოლარის საკრედიტო ხაზი გაუხსნა, რათა ამ უკანასკნელმა მცირე და საშუალო ბიზნესის, ასევე მიკროსაფინანსო ორგანიზაციების დაფინანსება შეძლოს.

*მაია მიშელაძე*

# „ქართული ხალხური სიმღერა — კაცობრიობის საგანძური“ — პირველი გრანდიოზული კონცერტი რუსთაველის თეატრში

**ერთ-ერთი საუკეთესო კონცერტი, რაც კი საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში ჩატარებულა, სამშაბათს, 11 ივნისს, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე გაიმართა. ამ კონცერტის ორგანიზატორი ფონდი „ქართული გალობა“ იყო, რომელიც საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, ბიზნესმენმა ვანო ჩხარტიშვილმა, ანზორ ერქომაიშვილმა და ლექსო თორაძემ დააფუძნეს. კონცერტს „ქართული ხალხური სიმღერა — კაცობრიობის საგანძური“, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ესწრებოდა.**


ფონდმა „ქართული გალობა“ ღვაწლმოსილი შემოქმედები დააჯილდოვა

კონცერტზე, რომელიც ტრადიციული, ქართული ხალხური გალობა-სიმღერისა და ცეკვის დღესასწაულად იქცა, საქართველოს მასშტაბით, განსაკუთრებით გამორჩეული და ღირსეული შემსრულებლები მონაწილეობდნენ. მათ შორის, თბილისის სამების საკათედრო ტაძრის საპატრიარქო გუნდი, ანსამბლები: „რუსთავი“, „დიდგორი“, „შავნაბადა“, „იმერი“, „ბასიანი“, „ელესა“ და ბავშვთა გაერთიანებული გუნდი.

ფონდმა „ქართული გალობა“, 11 ივნისის გრანდიოზული კონცერტის მსვლელობისას, ქართული ხალხური შემოქმედების ღვაწლმოსილი და გამორჩეული ოსტატები საზეიმო ვითარებაში დააჯილდოვა. ნომინაციაში „საუკუნის მოცეკვავე“, ქართული ხალხური ცეკვის დიდოსტატი, ფრიდონ სულაბერიძე დაჯილდოვდა და სამახსოვრო პრიზთან ერთად, 5 000 ლარიც გადასცეს; ნომინაციაში „საუკუნის ხმა“, ცნობილი ლოტბარი თემურ ქევხიშვილი დაჯილდოვდა 5 000 ლარითა და პრიზით; ნომინაციაში „საუკუნის მოამაგე“ ცნობილი ლოტბარი ანზორ ერქომაიშვილი დააჯილდოვეს და პრიზთან ერთად, 5 000 ლარი გადასცეს. ანზორ ერქომაიშვილისთვის ეს ჯილდო მართლაც სიურპრიზი იყო.

ნომინაციაში — „ღვაწლმოსილი ლოტბარი“, ანსამბლ „ერისიონის“ სამხატვრო ხელმძღვანელი, ჯემალ ჭკუასელი დააჯილდოვეს და პრიზთან ერთად, 3 000 ლარი გადასცეს. ეს ნომინაცია და 3 000-ლარიანი პრემია წილად ხვდა ლოტბარ რობერტ გოგოლაშვილსაც. 2 000-ლარიანი პრემიები გადასცეს ქართული ხალხური სიმღერის მოამაგეებს: ტრისტან სიხარულიძეს, გური სიხარულიძეს, როსტომ გოგოლაძეს, პოლიკარპე ხუბულავას, ანდრო სიმაშვილსა და ისლამ ფილფანს.

„ქართული ხალხური სიმღერის“ მემატიანის ნომინაციაში, 3 000 ლარით დააჯილდოვეს მიხეილ კილოსანიძე. ქედის რაიონის გუნდმა „ელესამ“, ნომინაციაში — „ახალი თაობა“, 4000-ლარიანი პრემია მიიღო.

კონცერტის ბოლოს, დამსწრე საზოგადოებას კათალიკოს-პატრიარქმა მიმართა, ფონდის — „ქართული გალობა“ — დამფუძნებლებს ღირსეული წამოწყება მიულოცა, რუსთაველის თეატრში შეკრებილები დალოცა და ბიზნესმენ ვანო ჩხარტიშვილს სადაფში შესრულებული წმინდა გიორგის ხატი უსახსოვრა. კონცერტი მართლაც გრანდიოზულად დასრულდა — ბავშვთა გაერთიანებულმა გუნდმა „მრავალჟამიერი“ შეასრულა, პატარა მომღერლები სცენაზე, პარტერსა და სხვადასხვა იარუსებზე იყვნენ განთავსებულები. სიმღერის დასასრულს კი, სცენაზე ფოიერვერკები გაუშვეს.

ბიზნესმენი ვანო ჩხარტიშვილი ხელს უწყობს ტრადიციული გალობისა და სიმღერის პოპულარიზაციას. მისი თანადგომით, 2006 წელს, საეკლესიო გალობისა და ხალხური სიმღერის უმაღლესი სასწავლებელი დაფუძნდა, რომელიც მაღალკვალიფიციურ რეგენტებსა და ლოტბარებს ამზადებს. ვანო ჩხარტიშვილმა კონცერტზე აღნიშნა, რომ საეკლესიო გალობისა და ხალხური სიმღერის უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულებს, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ეკლესიებში გადანაწილდებიან, ფონდი „ქართული გალობა“ ხელფასს დაუნიშნავს, რათა მეტი სტიმული მიეცეთ და რეგიონების ეკლესიებში მგალობელთა გუნდებს ჩაუდგნენ სათავეში.

ფონდი „ქართული გალობა“ კონცერტებს, როგორც საქართველოს მასშტაბით, ასევე მის ფარგლებსგარეთაც გამართავს, ქართული ხალხური სიმღერისა და გალობის ღირსეული, გამორჩეული ოსტატების დაჯილდოება კი ყოველწლიურ ტრადიციად იქცევა.

*მაია მიშელაძე*

რუსუდან შელია
557-100-768

# ფიქრია ჩიხრაძე: „პრემიერის განცხადებამ ქვეყანაში ნატო-ს მიმართ ნეგატიურად განწყობილი ადამიანების შეხედულებები შეცვალა“



**ხელისუფლების საგარეო კურსს კრიტიკულად აფასებს, თუმცა ბიძინა ივანიშვილის განცხადებას ნატო-ს ოპერაციებში ქართველების მონაწილეობის გაგრძელების შესახებ, მიესალმება. იმედოვნებს, რომ კრიტიკულ ვითარებაში პრემიერის მიერ დაფიქსირებული პოზიცია საგარეო მიმართულებით მომავალში კიდევ უფრო გამყარდება. რას ურჩევს მმართველ გუნდს და არსებობს თუ არა რუსეთ-საქართველოს ინტერესების გადაკვეთის რეალური შესაძლებლობა? „ვერსიას“ პარტია „ახალი მემარჯვენეების“ თავმჯდომარე ფიქრია ჩიხრაძეს ესაუბრა.**

— ხელისუფლების საგარეო პოლიტიკის მიმართ საკმაოდ კრიტიკულად ვარ განწყობილი, რადგან ჯერ კიდევ მკაფიოდ ვერ გამოიკვეთა მმართველი გუნდის პოზიცია — ერთი მხრივ, ამბობენ, რომ ევროატლანტიკურ სივრცეში გაწევრიანება სურთ. მეორე მხრივ კი, რუსეთთან მიმართებაში აბსოლუტურად გაუმართლებელ ნაბიჯებს დგამენ. ჩვენი პარტია რუსეთთან მუდმივი დაძაბულობის რეჟიმში ურთიერთობის მომხრე არაა, მაგრამ რუსეთ-საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესები დროსა და სივრცეში ერთმანეთს იმდენად დიდი მანძილით ასცდა, რომ საერთო შეხების წერტილების მოძებნა შეუძლებელია. კი ბატონო, ხელისუფლებას შეუძლია რუსეთთან ურთიერთობის დალაგება სცადოს, თუმცა ამ პროცესმა დასავლური სტრუქტურებისაკენ ქმედითი ნაბიჯების გადადგმას ხელი არ უნდა შეუშალოს.

**— თუ ხელისუფლების მიერ არჩეული საგარეო კურსის მიმართ მწვავე კითხვები გიჩნდებათ, როგორ ავხსნათ რამდენიმე დღის წინ, თქვენ მიერ გაკეთებული განცხადება ბიძინა ივანიშვილის პოზიციას ნატო-სთან მიმართებაში აბსოლუტურად ვიზიარებთო?**

— „თალიბების ვიდეორგოლების“ გავრცელების შემდეგ საზოგადოების დიდმა ნაწილმა ჩათვალა, რომ ნატო-ს ოპერაციაში ქართველებმა მონაწილეობა არ უნდა მივიღოთ. ამ კრიზისულ ვითარებაში მნიშვნელოვანი იყო პრემიერის განცხადება და მომეწონა, როცა ივანიშვილმა თქვა, მისიაში მონაწილეობას ქართველები მომავალშიც გააგრძელებენ, რადგან ხელისუფლების საგარეო კურსი ნატო-ში ინტეგრაციას გულისხმობსო. პრემიერის განცხადებამ ქვეყანაში ნატო-ს მიმართ ნეგატიურად განწყობილი ადამიანების შეხედულებები შეცვალა. ასე რომ, კმაყოფილებით აღვნიშნავ, რომ ივანიშვილის პოზიცია საკმაოდ პრინციპული იყო, რითაც დადასტურდა, რომ საქართველო ანტიტერორისტულ საერთაშორისო ოპერაციაში ტერორიზმთან ბრძოლაში მონაწილეობას გააგრძელებს. თუ საქართველოს ხელისუფლება ამ მიმართულებით მკაფიო ნაბიჯებს მომავალშიც გადადგამს, 2014 წელს ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის სერიოზული შანსი გაჩნდება.

**— დავაზუსტოთ, ახალი მემარჯვენეებისთვის ბიძინა ივანიშვილი რუსულ პროექტს აღარ წარმოადგენს?**

**— ვიმეორებ, პრემიერმა ეს განცხადება საკმაოდ კრიზისულ ვითარებაში გააკეთა, რაც მისახავს იმედს, საგარეო კურსი შეუქცევადი იქნება. სამწუხაროდ, დღემდე არსებობს ილუზია, რომ რუსეთთან დაგროვილი პრობლემების გადაჭრა ქართულ მხარეს შეუძლია. გადაკვეთის წერტილების მოძებნა შეუძლებლად მიმაჩნია. ნაციონალებისგან განსხვავებით, მზად ვართ, ამ მიმართულებით ხელისუფლებას მხარი დავუჭიროთ, რადგან ოპონირებისთვის ბევრი სხვა თემა არსებობს, მათ შორის ეკონომიკაში არსებული პრობლემები, ჯანდაცვის საკითხები...**

**— იქნებ რუსეთთან მიმართებაშიც შეიცვალოთ პოზიცია. პუტინმა რამდენიმე დღის წინ განაცხადა, საქართველოსთან ურთიერთობის აღდგენა გვსურს და თანამშრომლობისთვისაც მზად ვართო. რუსეთის პრეზიდენტის ტონის შერბილება რუსეთთან ურთიერთობის აღდგენის პროცესში არაფერს შეცვლის?**

— პუტინის შერბილებული ტონი არაფერს ცვლის! ჩვენ კარგად გვახსოვს რუსული მხარის განცხადებები, რომ აგვისტოს ომი საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის პროცესის შესაჩერებლად წამოიწყეს. თანაც პუტინმა შერბილებული ტონით გვითხრა, საქართველოსთან კარგი ურთიერთობა იმ შემთხვევაში გვექნება, თუ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის საკითხს დაივიწყებსო. აუცილებელია, ხელისუფლებამ და საზოგადოებამ ერთდროულად დააფიქსიროს, რომ ქართველების ისტორიული კურსი დასავლეთია და არავის აქვს უფლება, ამ სურვილის წინააღმდეგ წავიდეს. სამწუხაროდ, პუტინის რუსეთთან პარტნიორულ ურთიერთობებზე საუბარი შეუძლებელია, თორემ მწამს, მომავალში, ადრე თუ გვიან, ოკუპირებული ტერიტორიების პრობლემა მკვდარი წერტილიდან საქართველოს სასარგებლოდ აუცილებლად დაიძვრება. ასე რომ, ამ ეტაპზე, რუსეთთან ურთიერთობის დალაგებაზე საუბარი აბსოლუტურად უპერსპექტივოა, თუმცა პრემიერის განცხადება იმედისმომცემად უნდა ჩავთვალოთ.

**— იმავე პრემიერმა, უშიშროების საბჭოს სხდომაზე დასწრებაზე იმ მოტივით თქვა უარი, რომ სხდომაზე განსახილველი თემები, მათ შორის, ვიდეორგოლების თემა მისთვის უინტერესო იყო...**

— უშიშროების საბჭოს მოწვევასთან დაკავშირებით, კომიკური ელემენტებით უსიამოვნო მდგომარეობა შეიქმნა: თავდაპირველად, იმაზე ვერ თანხმდებოდნენ, უშიშროების საბჭო ვის მოეწვია, თუმცა შემდეგ, სხდომა კვირაში რამდენჯერმე დაინიშნა. ამ შემთხვევაში, მთავარია, ხელისუფლება კომპლექსებისგან გათავისუფლდეს, რადგან სააკაშვილს დღეს ქვეყნის სამართავად არანაირი ბერკეტი არ გააჩნია. კარგი იქნებოდა, საბჭო მას შემდეგ შეკრებილიყო, რაც ვიდეორგოლებთან დაკავშირებით გამოძიება დასრულდებოდა, თუმცა ნაციონალურმა მოძრაობამ ამ შემთხვევაშიც მხოლოდ საკუთარ პიარზე იზრუნა, პრემიერი კი თავისმართლების პოზიციაში აღმოჩნდა. ახალ ხელისუფლებას ერთი ძალიან დიდი მინუსი აქვს — თავდაჯერებულობა აკლია. როცა გამარჯვებული ძალა ხარ, გამარჯვებულის სიმაღლეზე დგომა უნდა შეგეძლოს და დამარცხებულთან ბრძოლას თავი უნდა დაანებო.

**— დამარცხებულის პოზიციაში ხელისუფლება რამდენიმე დღის წინაც აღმოჩნდა, როცა იუსტიციის საბჭოს წევრებად ძველი მოსამართლეები აირჩიეს, მათ შორის, კონსტანტინე კუბლაშვილი. იქნებ სწორედ ნაციონალების ხელში შემორჩენილი ბერკეტები არ აძლევს ხელისუფლებას მეტი თავდაჯერებულობის საფუძველს?**

**— პირადად მე, ამ პროცესს დადებითად ვაფასებ, რადგან მართლაც მისასალმებელია, რომ ახალმა ხელისუფლებამ მოსამართლეებზე ეფექტური კონტროლის მექანიზმი ვერ გამოიმუშავა. მსგავს ქმედებებს ნაციონალური მოძრაობა ახორციელებდა. კუბლაშვილის მხრიდან მოსამართლეებზე ზეწოლის ინტერესიც არ მესმის, რადგან ცნობილია, რომ ნაციონალები სასამართლოზე ზეწოლას პროკურატურის საშუალებით ახორციელებდნენ. შესაბამისად, არა მგონია, კუბლაშვილმა ოპოზიციაში მყოფი ნაციონალების დიქტატს დაუჯეროს. არ ვიცი, შეიძლება, კუბლაშვილი და წულუკიანი გავლენებს ვერ იყოფენ და ამიტომ უპირისპირდებიან ერთმანეთს, მაგრამ დღეს მოცემულობა მკვეთრად გაუმჯობესებულია.**

ასე რომ, მმართველ გუნდს კიდევ ერთხელ ვურჩევ, ნაციონალურ მოძრაობასთან მუდმივად კრიჭაში დგომას, სჯობს, ქვეყანაში არსებული პრობლემების მოგვარებით დაკავდეს. გასაგებია, რომ ნაციონალები საზიზღრები და ცუდები არიან, საქართველოს მოსახლეობამ ეს ისედაც კარგად იცის, სწორედ ამიტომ დამარცხდნენ ისინი ოქტომბრის არჩევნებში, თანაც მმართველმა გუნდმა ისიც უნდა გაიაზროს, რომ საპარლამენტო ოპოზიციასთან კინკლაობა მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის წისქვილზე ასხამს წყალს და დღის წესრიგის შექმნის საშუალებას აძლევს.

## ვერსიანიუსი

### „ყველაზე დაუნდობელმა ოკუპანტმაც ვერ უნდა წაართვას დევნილებს საკუთარ სახლებში დაბრუნების უფლება“



საქართველოს პრეზიდენტი გაერო-ს სპეციალურ მომხსენებელს, იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების დაცვის საკითხებში ჩალოკა ბეიანის შეხვდა და დევნილთა უფლებების დაცვაზე, მათი პირობების გაუმჯობესებასა და იმ ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვაზე ესაუბრა, რომლებიც ამ პრობლემის მოგვარებას ხელს შეუწყობს. სააკაშვილმა რეზოლუციის მნიშვნელობასაც გაუსვა ხაზი: **„მივესალმები გაერო-ს წარმომადგენელს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირებთან მიმართებაში. საქართველოს ჰყავს ალბათ 500 000-მდე ადამიანი, ვინც ვერ ბრუნდება საკუთარ სახლში, ვინც გამოყრილია იმ ადგილებიდან, სადაც ისინი დაიბადნენ, სწავლობდნენ, სადაც არის მათი ოჯახები და საფლავები. ჩვენ ბევრი გავაკეთეთ წინა წლებში, რომ ამ ხალხისთვის მიგვეცა სახლები, ბევრად მეტია კიდევ გასაკეთებელი, მაგრამ მთავარია, ერთი მხრივ, მათ ინტეგრაცია განიცადონ საზოგადოებაში. ვერავინ, ყველაზე უფრო ძლიერმა და დაუნდობელმა აგრესორმა ოკუპანტმაც კი, ვერ უნდა წაართვას მათ უფლება საკუთარ სახლებში დაბრუნების. ამიტომ გაერო-ში არის რეზოლუცია. მე პირადად, ვმუშაობ, რომ ამ რეზოლუციას უფრო მეტი ხმები ჰქონდეს ყოველ წელს, რომელიც აფიქსირებს მათი საკუთარ სახლებში დაბრუნების უფლებას. მათ უნდა ჰქონდეთ სახლები საქართველოს დანარჩენ ნაწილებში, მაგრამ ამავე დროს, ოკუპირებულ ნაწილშიც. ეს არის ჩვენი პოლიტიკის არსი, რომ ვერავინ, ვერასოდეს წაართვას მათ უფლება, დაიბრუნონ თავისი სახლი და მიწა. რა თქმა უნდა, საერთაშორისო ორგანიზაციების იმედი გვაქვს ამ პროცესის მშვიდობიან განხორციელებაში“.**

### პარლამენტმა კახა იმნაძისა და ლევან დოლიძის კანდიდატურები დაამტკიცა



პარლამენტმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად კახა იმნაძის, ნატო-ში საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად კი ლევან დოლიძის კანდიდატურები დაამტკიცა. ლევან დოლიძის კანდიდატურას 115-მა დეპუტატმა ერთხმად დაუჭირა მხარი. მის წინააღმდეგ ხმა არც ერთ კანონმდებელს არ მიუცია. კახა იმნაძეს კი მხარი 87-მა დეპუტატმა დაუჭირა, 18-მა კი ხმა მისი დანიშვნის წინააღმდეგ მისცა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად პრეზიდენტის მიერ წარდგენილ კახა იმნაძისა და ნატო-ში საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად ლევან დოლიძის კანდიდატურებს კომიტეტებმა 12 ივნისს მოუსმინეს. მათ დღეს არსებულ ვითარებასა და სამომავლო საქმიანობის ასპექტებზე ისაუბრეს, შემდეგ კი პარლამენტის წევრების შეკითხვებსაც უპასუხეს.

*„ინტერპრესნიუსი“*

# სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებზე



# კონტროლს აწესებს?!

## რას გამოიწვევს „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში ცვლილებები და გაუქმდება თუ არა სტუდენტთა ვაუჩერული დაფინანსების სისტემა?

ნინო ხარშილაძე, 599-55-63-56

**საქართველოს პარლამენტს დაჩქარებული წესით, „უმაღლესი განათლების შესახებ კანონში“ ცვლილებები შეაქვს. კანონპროექტის თანახმად, სახელმწიფო უნივერსიტეტებში რეგულირებადი ხდება ხელფასების დანიშვნის, აკადემიურ და ადმინისტრაციულ თანამდებობებზე დანიშვნის წესი; ასევე, რექტორს აუცილებლად სამეცნიერო ხარისხი უნდა ჰქონდეს და აკადემიური საბჭოს ნაცვლად, პრემიერ-მინისტრი დანიშნავს. პარლამენტში კანონპროექტის პირველი განხილვის შემდეგ, 12 ივნისსვე, თანამდებობა დატოვა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა და განმარტა, რომ ეს უნივერსიტეტის ავტონომიურობის დაცვის ერთადერთი გზა იყო, თუმცა კვიტაშვილი იმავე დღეს, აკადემიურმა საბჭომ რექტორის მოვალეობის შემსრულებლად დატოვა. საპარლამენტო უმრავლესობის წევრების შეფასებით, სამეცნიერო ხარისხის არმქონე კვიტაშვილს თანამდებობიდან წასვლა მაინც მოუწევდა და მან, უბრალოდ, მოვლენებს გაუსწრო. გამოითქვა ეჭვიც, რომ კვიტაშვილს თანამდებობაზე საკუთარი კანდიდატურის დატოვება სურს. 13 ივნისს ცნობილი გახდა, რომ უნივერსიტეტის რექტორის არჩევნები 16 აგვისტოს გაიმართება. „როდესაც შევიტყვე, რომ სანდრომ თანამდებობა დატოვა, მეგონა, დისერტაციის დაწერას აპირებდა, რათა დოქტორი გამხდარიყო. ვცდილობთ, ძირითადი თამაშის წესები დავამკვიდროთ სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში“, – ასე გამოეხმაურა ამ ფაქტს განათლების მინისტრი გიორგი მარგველაშვილი. პრეზიდენტმა კი, განათლების შესახებ კანონში დაგეგმილი ცვლილებები „პოსტსაბჭოთა კორუმპირებული სისტემის რესტავრაციად“ შეაფასა და პარლამენტს მოუწოდა, ამ საკითხს ფაქიზად მოეკიდოს. „ვერსია“ დაინტერესდა, რას გამოიწვევს არსებული ცვლილებები და რა საფრთხეები არსებობს ამ კანონპროექტში? ანალიზისთვის, ილიას უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორს, განათლების ექსპერტს, სიმონ ჯანაშიას დავუკავშირდით.**

— ეს კანონპროექტი ბევრ საკითხს მოიცავს. მასში უარყოფითი ისაა, რომ სახელმწიფო ცდილობს, კონტროლი დაამყაროს უმაღლეს სასწავლებლებზე და მეტად ჩაერიოს მის შიდასაქმეებში. პრემიერს ენიჭება უფლებამოსილება, ჩაერიოს რექტორის მოვალეობის შესრულების დანიშვნაში. ასევე სახელმწიფო იწყებს უმაღლეს სასწავლებლებში ხელფასებისა და იმის რეგულირებას, ამა თუ იმ თანამდებობაზე რა აკადემიური ხარისხის მქონე პირი უნდა დაინიშნოს და ეს არ ეხება მხოლოდ ადმინისტრაციულ თანამდებობებს. შეზღუდვები წესდება ასისტენტ-პროფესორებზე და შემოაქვს ახალი თანამდებობა — ასისტენტი. იმის ნაცვლად, სახელმწიფომ დაიწყოს ზრუნვა განათლებაში არსებულ ნამდვილ პრობლემებზე, ქმნის ახალ პრობლემებს. არადა, პრობლემა უამრავია — უმაღლესში სწავლის ხელმისაწვდომობა, რაც ბევრი ახალგაზრდისთვის მიუღწევადია, რესურსები, კვლევისთვის საჭირო სახსრების ნაკლებობა, პროფესორის კვალიფიკაციის ამაღლება, რათა უკეთ იყენებდეს სწავლებისთვის საჭირო ხერხებსა და ტექნოლოგიებს... ახალგაზრდების დაინტერესება, რომ მეცნიერებას გაყვნენ; უნდა არსებობდეს დოქტორანტურის დაფინანსება, დოქტორანტებისთვის კი — კვლევითი გრანტები.

**— ახალი თანამდებობის დამატება რას ემსახურება?**

— ეს ცვლილებები ძალიან ჰგავს ძველი თაობის წარმომადგენელთა შურისძიებას ახალ თაობაზე... ცვლილება გვეუბნება, რომ დოქტორანტები ვეღარ იქნებიან აკადემიური პერსონალის ნაწილი. აქამდე თუ დოქტორანტს შეეძლო გამხდარიყო ასისტენტ-პროფესორი, დიდი ალბათობით, ახლა ისინი გადავლენ ასისტენტებად და იმუშავებენ პროფესორის დამხმარედ. ძველი თაობა არ აღიარებს ახალგაზრდების კვალიფიკაციას, არადა საქართველოში ბევრს აკადემიური ხარისხი მიღებული აქვს პოლიტიკური კონიუნქტურის, თანამდებობის ან ფულის სანაცვლოდ. ადრე, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ხარისხის გაყალბება ადვილი იყო, მეტიც — საჯარო ბიბლიოთეკაში ერთგვარ ბიზნესად იქცა დისერტაციების წერა. დისერტაციებს ხალხი ისე იცავდა, ორი წიგნიც არ ჰქონდა წაკითხული. ახალი კანონი გვეუბნება, რომ ასეთ ხალხს უნდა მიენიჭის პრიორიტეტი და არა მათ, ვისაც უნივერსიტეტი მაღალკვალიფიციურად მიიჩნევს.

**— ახალი კანონით, ფაქტობრივად, კონტროლი ხორციელდება სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებზე მთავრობის მიერ. ეს რას გამოიწვევს?**

— სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები ნაკლებად კონკურენტუნარიანები იქნებიან კერძო უმაღლესებთან შედარებით. კერძო უმაღლესს შეეძლება, უფრო მაღალ ხელფასზე მოიწვიოს კვალიფიციური ადამიანი დეკანად, ადმინისტრაციის ან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელად, ეს უფლება კი სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელს არ ექნება, ვინაიდან ხელფასის ზედა ზღვარი იარსებებს. საზღვარგარეთიდან ცნობილი მეცნიერი, ფინანსური დაინტერესების გარეშე, არ ჩამოვა. რეგულირებადი ხელფასის შემოღებამ შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ ხშირად გაიცეს პრემიები, რათა ხელფასის კომპენსირება მოხდეს.

**— დანიშვნის დღიდან, სანდრო კვიტაშვილს სამეცნიერო ხარისხის არქონის გამო აკრიტიკებდნენ. სამეცნიერო ხარისხი აუცილებელია რექტორისთვის?**

— ეს დამოკიდებულია უნივერსიტეტის მოწყობაზე. თუ რექტორი აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეა, სამეცნიერო ხარისხი უნდა ჰქონდეს. შესაძლებელია, რექტორი არ იყოს აკადემიური ხარისხის მქონე, თუ უნივერსიტეტის პროფესურა მიიჩნევს, რომ ეს კანდიდატი მათთვის მისაღებია და მას შეუძლია, ბევრი სხვა რამ გააკეთოს სასწავლებლისთვის. ზოგიერთი უნივერსიტეტი სწორედ ამ პრინციპით ირჩევს რექტორს, ხშირად რექტორად ბიზნესიდან მოსული ადამიანებიც გვევლინებიან. სახელმწიფოს მეთაური რომ უნდა ნიშნავდეს უნივერსიტეტის რექტორებს, ეს 90-იანი წლების მოდელია.

**— ახალი კანონპროექტი რომელი ქვეყნის მოდელია და უნივერსიტეტებიდან 9 წლის წინ გათავისუფლებული ლექტორების დაბრუნება ხომ არ იგეგმება?**

— არა მგონია. ეს, საარჩევნო დაპირების შესრულებას გავს — მთავრობა დაპირდა ხალხს, რომ არ დაუშვებს, უნივერსიტეტების ხელმძღვანელები გაცილებით მეტ ხელფასს იღებდნენ, ვიდრე პროფესორები და შემოაქვს კიდეც ეს პოპულისტური კანონპროექტი. პოპულიზმის მეორე მხარეა ის, რომ სახელმწიფოს უნდა, უნივერსიტეტების ნაწილში შეცვალოს მმართველი ჯგუფები. სახელმწიფოს უნდა გარდაქმნას უნივერსიტეტები კონტროლირებად ერთეულებად და ეს არც ერთი ქვეყნის მოდელი არ არის.

**— რას გამოიწვევს ეს ცვლილებები და რამდენი წლის შემდეგ ვიხილავთ შედეგებს?**

— ამ კანონპროექტის სწრაფი შედეგი შეიძლება იყოს ამგვარი — თუ უნივერსიტეტები უარს იტყვიან ახალგაზრდა პროფესორებზე, ზოგიერთი წარმატებული პროგრამა, დაიხურება; ბევრი ახალგაზრდა დაფიქრდება, არასტაბილურ გარემოში, ღირს კი, მეცნიერებას გაჰყვეს, მით უმეტეს, იმ გარემოში, სადაც ყოველი ხელისუფლება ისეთ რეფორმებს იწყებს, რომ შეიძლება საფრთხე შეექმნას წინა მიღწევებს. ესაა სისტემის პოლიტიზება, სადაც უნივერსიტეტების ხელმძღვანელებს აფრთხილებენ, რომ მათი ბედი პოლიტიკურ ორგანოებსა და პოლიტიკურ პარტიებზეა დამოკიდებული. ეს არის საკმაოდ მკაფიო მესიჯი უნივერსიტეტებისთვის — ჩვენ გვაქვს ძალა, გაგაკონტროლოთ და თუკი ისე არ მოიქცევით, როგორც გვსურს, ძალაუფლებას გამოვიყენებთ.

**— ამჟამად, სტუდენტების ვაუჩერული დაფინანსების სისტემა მოქმედებს. მინისტრმა თქვა, ჩვენ უნდა ვაკონტროლოთ სახელმწიფო უნივერსიტეტები, რადგან იქ სახელმწიფო ფული მიდის. გამოდის, ვისაც ვერ გააკონტროლებს, იქ ფული არ წავა და ვაუჩერული დაფინანსება გაუქმდება?**

— უმაღლესი სასწავლებლების დაფინანსების პრინციპის შეცვლა რომ უნდათ, ამის ნიშნები არის... თუ აქამდე სტუდენტი ფინანსდებოდა და თავად ირჩევდა, სად ისწავლიდა, ახლა პარალელური სისტემა შემოიღეს და ფაკულტეტი ფინანსდება — თუ სტუდენტი, რომელიც უფასოდ სწავლობს, ფაკულტეტს შეიცვლის ან სახელმწიფო სასწავლებლიდან კერძოში გადავა, დაფინანსება მოეხსნება, ასე რომ, ერთსა და იმავე სასწავლებელში ორი პარალელური სისტემა გვაქვს, რაც შეიძლება, სტუდენტთა ვაუჩერული სისტემის გაუქმებისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი იყოს.

**„საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების შესახებ“ ბრძანებაში ცვლილება შედის, რომლის თანახმადაც, სკოლის პედაგოგები არა 24-დღიანი ანაზღაურებადი შვებულებით ისარგებლებენ, არამედ მათ 40-დღიანი ანაზღაურებადი შვებულება მიეცემათ. ეს და სხვა სიახლეები თბილისის 90-მდე სკოლის დირექტორს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, გიორგი მარგველაშვილმა და „პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების“ პრეზიდენტმა, მაია კობახიძემ გააცნეს.**

# პედაგოგები 40-დღიანი ანაზღაურებადი შვებულებით ისარგებლებენ



## სკოლის ადმინისტრაციას კი ხელფასები გაეზრდება

**„მასწავლებელს მუშაობა რთულ ვითარებაში უწევთ. სკოლას ეხება ეკონომიკური პრობლემები, პოლიტიკასა და საზოგადოებაში მიმდინარე ვითარება... საჭიროა, სამინისტრომ სკოლის ადმინისტრაციაში მომუშავე პირებსაც მოუმატოს ხელფასი. პირველი სექტემბრიდან ძალაში შევა ცვლილება და სკოლის ადმინისტრაციაში მომუშავე ყველა პირს ხელფასი მოემატება. იქიდან გამომდინარე, რომ აუცილებელია პედაგოგების დასვენება და მომზადება ახალი სასწავლო წლისთვის, ცვლილება შეგვაქვს ბრძანების სახით კანონში, რომ მასწავლებლებს 2 თვე მიეცემათ დასვენების შესაძლებლობა და ხელფასები გაიცემა სრულად, წინასწარ, ივნისის დასაწყისში. ნებისმიერ ამ ცვლილებას ვახორციელებთ პროფკავშირებთან ერთად. პროფკავშირების კიდევ რამდენიმე საკითხი შესრულდა. ითხოვდნენ, უფასო სახელმძღვანელოები დარიგებოდათ პედაგოგებსაც და ამასაც უზრუნველვყოფთ. მასწავლებელი სტრესში მხოლოდ ბავშვის ცუდი ყოფაქცევის გამო უნდა იყოს და არა მინისტრისა “,** — აღნიშნა განათლების მინისტრმა გიორგი მარგველაშვილმა.

**მაია კობახიძე** ამ სიახლეს თანამშრომლობისკენ გადადგმულ ნაბიჯად აფასებს: **„პრობლემა მდგომარეობდა შემდეგში: 2009 წლიდან კანონში გაუქმდა, ჩანაწერი, რომლის მიხედვით, მასწავლებელი სარგებლობდა ანაზღაურებადი შვებულებით 48 სამუშაო დღის ვადით, წლების განმავლობაში უხეშად ირღვეოდა პედაგოგთა უფლებები, ვინაიდან ბუნდოვანი რეგულაცია მასწავლებელს ვეღარ იცავდა. კანონში იყო ჩანაწერი, რომლის თანახმად, მასწავლებელს შეეძლო, ესარგებლა 24 სამუშაო დღეზე მეტი ვადით ანაზღაურებადი შვებულებით, რაც თავისთავად, ძალიან ბევრ ინტერპრეტაციას ითვალისწინებს — 26, 28 30 დღეს... ბოლო სამი ზაფხულის განმავლობაში, უხეშად ირღვეოდა პედაგოგთა უფლებები, ახლა კი ბრძანებაში ჩაიწერება, რომ მასწავლებელმა უნდა ისარგებლოს 40- დღიანი ანაზღაურებადი შვებულებით, რითიც დამსაქმებელს ლავირების საშუალება აღარ ექნება. მივესალმებით მინისტრის გადაწყვეტილებას“.**

24-ე სკოლის დირექტორი **გია მურღულია: „გვაქვს მოლოდინი, რომ განათლების მინისტრი შეძლებს სისტემის დახმარებას. ყველა ის ნაბიჯი, რაც ბოლო დროს გადაიდგა, ემსახურება განათლების ხარისხის ამაღლებას, მაგრამ მოგეხსენებათ, მასწავლებელთა მოტივაციის მკვეთრი გაზრდის გარეშე, ხარისხის მიღწევა შეუძლებელია, ამიტომ ჩვენი თხოვნაა, ბიუჯეტის ფორმირებისას ამ მიმართულებით რადიკალური და გაბედული ნაბიჯები გადაიდგას. რაც შეეხება პედაგოგთა შვებულების გაზრდას, ეს კარგი სიახლეა — მათ ნამდვილად სჭირდებათ დასვენება. ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში პედაგოგად მუშაობის 15 წლის შემდეგ, ადამიანს სასამართლოში მოწმედ აღარ იბარებენ. დასვენება, ძალების აღდგენა და მომავალი სასწავლო წლისთვის მზადება ყველას სჭირდება“.**

23-ე საჯარო სკოლის დირექტორი **თემურ კიკნაძე: „ანაზღაურებადი შვებულების რაოდენობის გაზრდას ყველა პედაგოგი ელოდა. ეს წლების განმავლობაში, მთელი საქართველოს პრობლემა იყო, ძალიან კარგია, პედაგოგთა პროფკავშირმა აქტიური როლი რომ შეასრულა ამ საქმეში“.**

*ნინო ხარშილაძე*

მირიან ლეჟანიძე
5-77-41-38-41

# პუტინი 2 წელიწადში საბჭოთა კავშირს აღადგენს

**რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა უახლოესი პერიოდის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი დაასახელა: თანამეგობრობის ქვეყნებთან ერთიანი საბაჟო კავშირის დამყარება და 2015 წელს ევრაზიული ეკონომიკური კავშირის შექმნა.**

**ევრაზიული კავშირი, რომელიც დღეს თითქოს ფორმალურად არსებობს და რუსეთს, ბელორუსსა და ყაზახეთს აერთიანებს, ნელ-ნელა იკრებს ძალას და ახალ იმპერიად გადაქცევისთვის ემზადება. დეკლარირებულია, რომ მან, ბალტიის ქვეყნების გარდა, ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა უნდა შთანთქას. მოსკოვმა პირველი ნაბიჯები უკვე გადადგა: ხანგრძლივი წინააღმდეგობის შემდეგ, ერთიანი საბაჟო კავშირის ასოცირებულ წევრობაზე დაიყოლია უკრაინა, ხოლო სომხეთი ნამდვილ წევრობას დათანხმდა. რუსეთის მორიგი სამიზნე აზერბაიჯანია.**

**რუსეთის პრეზიდენტის გამოსვლას დაემთხვა დუმის საერთაშორისო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის, ალექსეი პუშკოვის განცხადება: „ევროკავშირში ევრაზიულ კავშირს ევროპული პოლიტიკის ფაქტორად ცნობენ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან რამდენიმე წლის წინ, ევროპისა და ამერიკის მხრიდან ევრაზიული ინტეგრაციის პერსპექტივებზე მხოლოდ სკეპტიკური შეფასებები გვესმოდა... ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ ევროკავშირს პოსტსაბჭოთა სივრცეში თავისი პოლიტიკა აქვს და იგი რუსეთის ხარჯზე საკუთარი გავლენის გაფართოებას გულისხმობს. ევროკავშირის „აღმოსავლეთის პარტნიორობის პოლიტიკის“ ობიექტები არიან: მოლდოვა, უკრაინა, აზერბაიჯანი, საქართველო და სომხეთი. ფრანგული პრესა წერდა, რომ ეს არის გეოსტრატეგიული ბრძოლა ევროკავშირსა და რუსეთს შორის“.**

**დუმის კომიტეტის თავმჯდომარემ, პრაქტიკულად, ღიად მიანიშნა, რომ მოსკოვს არა მარტო ევრაზიული კავშირის გაფართოება, არამედ ყოფილი საბჭოთა სივრციდან სხვა ქვეყნებისა და პოლიტიკური ალიანსების სრული განდევნა სურს. მოსკოვი ყოფილ საბჭოეთზე კვლავ ექსკლუზიური უფლებების მოსაპოვებლად იბრძვის.**

**პოლიტოლოგ სოსო ცინცაძის განცხადებით, მოსკოვის მიზანი ევრაზიული კავშირის მეშვეობით, წევრი სახელმწიფოების ეკონომიკური დამორჩილებაა. რუსეთი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მოჩვენებითი აღდგენის სანაცვლოდ, კავშირში გაერთიანებასა და სუვერენიტეტის თითქმის სრულ დათმობას მოსთხოვს.**



ევრაზიული ეკონომიკური კავშირის მეშვეობით, რუსეთი თანამეგობრობის ქვეყნებს ეკონომიკურად დაიმორჩილებს — რა გზას აირჩევს საქართველო?

— 2011 წლის 4 მარტს პრემიერმა პუტინმა „იზვესტიაში“ გამოაქვეყნა საპროგრამო წერილი, სადაც სხვა საკითხებთან ერთად, საუბრობდა რუსეთის საგარეო პოლიტიკასა და ევრაზიული კავშირის შექმნის თაობაზე. მისი პრეზიდენტობის მესამე ვადის გენერალური პროგრამის კულმინაციაა ევრაზიული კავშირის შექმნა, რომლის მთავარი იდეოლოგი, რუსი პოლიტოლოგი ალექსანდრ დუგინია, რომელსაც დასავლეთში რუსული ფაშისტური იდეოლოგიის გამტარებელს უწოდებენ. დუგინი ფანტაზიის სფეროშიც გადადის და აცხადებს, რომ რუსული ცივილიზაცია „მესამე რომი“, სრულიად სხვა ფენომენია და მას არანაირი კავშირი არ აქვს ევროპულ ცივილიზაციასთან. დუგინი არც მალავს, რომ ევრაზიული კავშირი უნდა იყოს ახალი იმპერია, რომელიც განსხვავებული იქნება როგორც ცარიზმის რუსეთის, ასევე საბჭოთა კავშირისგანაც. ევრაზიული კავშირის მთავარი მამოძრავებელი ძალა ქვეყნების ეკონომიკური ერთობა უნდა იყოს.

**— ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისთვის რამდენად მიმზიდველი შეიძლება იყოს ამ ალიანსის წევრობა, ან რა საფრთხეებს შეიძლება შეიცავდეს იგი?**

— იდეაა კონფედერაციის შექმნა, მაგრამ რა სახეს მიიღებს, უცნობია, რადგან ამაზე ჯერ რუსეთშიც ვერ ჩამოყალიბებულან. ევრაზიული კავშირის სტრუქტურასთან დაკავშირებით, დისკუსია მიმდინარეობს რუსეთსა და ყაზახეთს შორის, რადგან ბელორუსი მთლიანად რუსეთზეა დამოკიდებული და მის ნებას მოსკოვი არ გაითვალისწინებს. ყაზახეთის პრეზიდენტი ნაზარბაევი ემხრობა ევროკავშირის მსგავსი ორგანიზაციის შექმნას, სადაც ქვეყნებმა სუვერენიტეტის მცირეოდენი დათმობით უფრო დიდი მიზნების განხორციელება სცადეს. ნაზარბაევს არ სურს ისეთი ორგანიზაციის წევრობა, როგორიც საბჭოთა კავშირი იყო. მისი მიზანია, სუვერენიტეტის შენარჩუნება, ამ დროს კი, პუტინისა და დუგინის ხედვით, ევრაზიული კავშირი გულისხმობს ერთიან საზღვრებს, ერთიან ეკონომიკურ სივრცეს, ბაზარსა და ვალუტას, რომლის საემისიო პოლიტიკა მოსკოვიდან უნდა იმართებოდეს. კავშირის რეალიზება მოიტანს სამხედრო ალიანსსაც. ამავდროულად, რუსეთს არ სურს სსრკ-ს მსგავსი იმპერიის შექმნა, რადგან მაშინ მოსკოვი, პოლიტიკური ლოიალობის ხარჯზე, რესპუბლიკებს ეკონომიკურად კვებავდა. მოსკოვი აღარ არის მზად, გაზი კვლავ 2 კაპიკად მოგვცეს.

**— ანუ ეს ნიშნავს სუვერენიტეტზე უარის თქმას და სრულ დამოკიდებულებას, თანაც — სარგებლის გარეშე?**

— რა ფორმას მიიღებს იგი, ჯერ არ ვიცით, თუმცა პუტინის ოცნებაა, ევრაზიული კავშირით საბჭოთა კავშირის საზღვრების აღდგენა, მინუს, ბალტიის ქვეყნები. რუსეთს ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესი უკვე დაწყებული აქვს — მაისში ერთიან საბაჟო კავშირში ცალი ფეხით შეათრია უკრაინა. იანუკოვიჩს კი დიდი არჩევანი არც აქვს, როცა ეუბნებიან — ან გადაიხადე 1000 კუბომეტრ გაზზე 430 დოლარი ან შემოდი ერთიან საბაჟო კავშირში და გაზს მოგცემთ მესამედ ფასადო. იანუკოვიჩმა განაცხადა, რომ უკრაინის ვაჭრობის 60% საბაჟო კავშირის წევრ ქვეყნებზე მოდის და ამიტომ ასოცირებული წევრობის სურვილი გამოთქვა. იანუკოვიჩს უნდა, თან ევროკავშირს დაუახლოვდეს და თან იაფი გაზი მიიღოს, რაზეც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთმა წარმომადგენელმა განაცხადა — ნახევრად ფეხმძიმობა არ არსებობსო. როგორც ჩანს, რუსეთი უკრაინას, ხელების გადაგრეხვის მეთოდით, საბაჟო კავშირში მაინც შეათრევს.

**— ანალოგიურად, მაისში სომხეთმაც გამოთქვა საბაჟო კავშირში გაწევრიანების სურვილი...**

— ეს მოსალოდნელიც იყო. სომხეთის საკითხი არც დგას, მას ყველაფერზე დაითანხმებენ. მოსკოვში გამოვა რომელიმე დაბალი რანგის პოლიტიკოსი, მოითხოვს გიუმრიდან რუსული ბაზის გაყვანას და ერევანი მაშინვე ყველაფერზე მოაწერს ხელს... ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს კი მოუწევთ სერიოზული არჩევანის გაკეთება. ჯერჯერობით, საქმე იქით მიდის, რომ ჩვენი ახალი ხელისუფლების გეგმა, გავწევრიანდეთ ნატო-ში, ევროკავშირში და თან დავალაგოთ ურთიერთობები რუსეთთან — უპერსპექტივოა. რუსეთთან და ახალი ალიანსის შექმნის თაობაზე მის გეგმებთან დაკავშირებით, უამრავი წყალქვეშა რიფია, რომელსაც ახლა ვერ ვამჩნევთ. მოსკოვში დარწმუნებულები არიან, რომ საქართველოს ნატო-ში არ მიიღებენ. მათ საქართველოს რუსეთის გავლენის სფეროში დაბრუნების სჯერათ, კრემლის იდეოლოგები გვეუბნებიან: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შანსი მხოლოდ ევრაზიულ კავშირში შესვლის შემდეგ გაუჩნდება, რადგან აღარ იარსებებს საზღვრები და ქართველებს აფხაზებსა და ოსებთან გასაყოფი არაფერი ექნებათ. მოსკოვში დარწმუნებულნი არიან, რომ თბილისში ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის სურვილი ყველაფერს გადაწონის და ამ კავშირს მიუერთდება. ჩვენ უნდა გვქონდეს მტკიცე პოზიცია, სწორედ და ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები. სამწუხაროდ, ამ კუთხით ჩვენი ხელისუფლების მხრიდან ვერ ვხედავ სერიოზულ მზადებას. ავიღოთ, თუნდაც, ელჩების დანიშვნის საკითხი: პროცესი ან ჭიანურდება, ან ირჩევენ აბსოლუტურ დილეტანტებს. რა ნიშნით შეირჩა საფრანგეთში სირაძე-დელონე? მას არანაირი დიპლომატიური გამოცდილება არ გააჩნია, რა იცის მან საფრანგეთზე და რა აკავშირებს მასთან? მხოლოდ ის, რომ მეორე გვარი ფრანგული აქვს? საქართველოს რუსეთთან გენერალური ბრძოლა წინ აქვს. რუსეთი დღეს გაცილებით აქტიურად მუშაობს ევროპაში, რომ საქართველო არ მიიღონ ნატო-ში, ვიდრე 2008 წელს. 2010 წლიდან საერთაშორისო არენაზე რუსეთის პოზიციები მნიშვნელოვნად გამყარდა, მოსკოვი უკვე თამამად მოქმედებს, წლის დასაწყისში პუტინმა ისიც კი იკადრა, მასთან სტუმრად ჩასულ საფრანგეთის პრეზიდენტ ოლანდს საათნახევარი ალოდინა და შემდეგ მოუბოდიშა, ეკოლოგებთან მქონდა თათბირიო ანუ მიანიშნა, ჩრდილოეთის ზღვაში თევზების ბედი ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე შენთან საუბარიო. ანალოგიურად მოიქცა გერმანიაში ვიზიტისასაც, როცა მერკელთან მოლაპარაკებაზე 45 წუთით დაიგვიანა...

**— პუშკოვმა ერთიან საბაჟო კავშირსა და ევრაზიულ კავშირზე საუბრისას, რუსეთის მთავარ კონკურენტად ევროპა დაასახელა და არა ნატო. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?**

— ის რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს ევროკავშირში ასოცირებულ წევრებად შესვლის მეტი პერსპექტივა აქვთ, ვიდრე ნატო-ში. მოსკოვში მიაჩნიათ, რომ 2008 წლის შემდეგ საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაერთიანების შანსები არ აქვს. ისინი ყურადღებასაც კი აღარ აქცევენ ნატო-ს გენერალური მდივნის, რასმუსენისა და მისი წარმომადგენლის, აპატურაის გამოსვლებს.

**— მათ შორის არ მიაქცევენ ყურადღებას აპატურაის განცხადებას, რომ ნატო კავკასიისთვის მეტი ყურადღების დათმობას აპირებს?**

— ჯერჯერობით, მხოლოდ გვესმის განცხადებები, რომლებიც ქმედებებით არაა გამყარებული. აპატურაის განცხადება, ალბათ, უფრო გულისხმობს პროპაგანდისტული მუშაობის გაძლიერებას, თუმცა ავღანეთში საქართველოს ბოლოდროინდელი დანაკარგიდან გამომდინარე, ბრიუსელში ოდნავი შეშფოთება იგრძნობა, რადგან საქართველოში ნელ-ნელა იზრდება ნატო-თი უკმაყოფილება და სულ უფრო ხშირად ისმის კითხვა: „ჩვენ იქ ბიჭები გვეღუპებიან და სამაგიეროდ რა?“

**— ავღანეთში ქართული კონტინგენტის შემცირებაზე უმრავლესობაშიც ალაპარაკდნენ.**

— არა მგონია, ეს მოხდეს — მაშინ ქართველები სხვამ უნდა ჩაანაცვლოს, მსურველი კი არავინაა. ნატო-ს ავღანეთში ისედაც იმაზე ნაკლები ჯარი ჰყავს, ვიდრე სჭირდება. საქართველოს ჯარის თუნდაც ნაწილობრივ გამოყვანა, ნატო-ს მეორე პრობლემასაც შეუქმნის: შეიძლება, ჩვენ სხვებმაც მოგვბაძონ, ამიტომ ბრიუსელი შეეცდება დაგვარწმუნოს, რომ კონტინგენტის შემცირებისგან თავი შევიკავოთ.

შემოდგომაზე ვილნიუსში დაგეგმილ აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტზე ბევრი რამ გაირკვევა, გამოჩნდება, საქართველოს იმედი, ევროკავშირსა და ნატო-სთან დაკავშირებით, რეალურია თუ არა. არ ვარ დარწმუნებული, რომ ქართული საზოგადოება ნატო-დან დაპირებებს კიდევ 10-20 წელი მოუსმენს, მით უმეტეს, ვხედავთ, ბოლო წლებში ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში რა ქვეყნები მიიღეს და კიდევ ვის ეპატიჟებიან, ამიტომ შეგონება, რომ საქართველო არ აკმაყოფილებს ნატო-ს სტანდარტებს, არადამაჯერებელია.

## ვერსიანიუსი

### პუტინი საქართველოსთან ურთიერთობის სრულად აღდგენას გეგმავს, თუმცა აღიარების უკან წაღებას არ აპირებს



ვლადიმერ პუტინმა ტელეარხ Russia Today-ში სტუმრობისას განაცხადა: **„მიმაჩნია, რომ საქართველოს მოქმედმა პრეზიდენტმა დიდი შეცდომა დაუშვა და, ვფიქრობ, არ უარყოფს ამას. მას ვუთხარი – მიხეილ ნიკალაევიჩ, დავუშვათ ყველაფერი, ოღონდ არავითარ შემთხვევაში არ მიიყვანოთ ეს სისხლისღვრამდე... თუმცა, სამწუხაროდ, ყველაფერი ომით დასრულდა. მომხდარზე საპასუხოდ კი რუსეთმა აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. ამ საკითხზე უკანდახევა ვერ წარმომიდგენია. საქართველოსთვის ეს ცნობილია, როგორც წითელი ხაზი, რომლის იქით გადასვლა მათაც არ შეუძლიათ, რამდენადაც საქართველო, როგორც თავად მიიჩნევს, ტერიტორიული მთლიანობისთვის იბრძვის“.**

რუსეთის პრეზიდენტის შეფასებით, საქართველოს ხელისუფლებას არ ეყო მოთმინება და სახელმწიფოებრივი სიბრძნე, დაელაგებინა ურთიერთობა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში. პუტინი ორ ქვეყანას შორის სავიზო რეჟიმის გაუქმებას არ გამორიცხავს. მისივე თქმით, რუსეთი მზადაა, სოჭის ოლიმპიადის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში საქართველოს დახმარება მიიღოს: **„ჩვენ გვსურს ურთიერთობების აღდგენა. საქართველოსადმი ძალიან თბილი დამოკიდებულება გვაქვს. ჩვენ ახლობელი ერები ვართ, მნიშვნელოვანია, რომ პირველი ივნისიდან 24-საათიან რეჟიმში მუშაობს საბაჟო-გამშვები პუნქტი რუსეთ-საქართველოს საზღვარზე. შესაძლოა, ეს არ იყოს საკვანძო საკითხი, მაგრამ მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, მისი ეკონომიკისთვის. ჩვენ მომავალშიც ვიმოქმედებთ ამ მიმართულებით“.**

ვლადიმერ პუტინმა ქართული პროდუქციის რუსულ ბაზარზე შესვლა შეაფასა, როგორც მნიშვნელოვანი მოვლენა და აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით მუშაობა მომავალშიც გაგრძელდება: **„შევხვდი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს. ის ძალიან კეთილი ადამიანი, ნამდვილი ქართველია. წამიც კი არ ყოფილა, მას საქართველოსა და ქართველი ხალხის ინტერესებზე არ ესაუბრა, თუმცა იგი ამ ყველაფერს ბრძნულად და მშვიდად აკეთებს“.**

რუსეთის პრეზიდენტის განცხადებას, საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის საკითხებში, ზურაბ აბაშიძე გამოეხმაურა. **„ბატონი პუტინი რეალურად აფასებს იმ გარემოებას, რომ საქართველო ვერასოდეს იტყვის უარს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე, რაც მისასალმებელია. პუტინის განცხადებაში არის საინტერესო მოსაზრებები და შეფასებები საქართველო-რუსეთის განახლებულ დიალოგთან დაკავშირებით, რომელიც უკვე იძლევა გარკვეულ პოზიტიურ შედეგებს. საქართველოს მხარე ადასტურებს თავის გადაწყვეტილებას სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობის თაობაზე და გამოთქვამს მზადყოფნას, ითანამშრომლოს რუსეთთან ოლიმპიადის ჩატარებასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების საკითხებში. მზად ვართ, გადავდგათ შემდგომი ნაბიჯები ურთიერთობების გაჯანსაღების მიზნით. ასევე მოველით, რომ რუსეთის მხარე მიიღებს ქმედით ზომებს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონთან ადმინისტრაციულ საზღვარზე შექმნილი მწვავე პრობლემების მოსაგვარებლად, რაც დიდ სირთულეებს უქმნის მოსახლეობას გამყოფი ხაზის ორივე მხარეს და ხელს არ უწყობს ქართულ-რუსულ დიალოგს“.**

*„ვერსიანიუსი“*

# პარლამენტმა შრომის კოდექსი დაამტკიცა — გაერთიანებული პროფკავშირები საპროტესტო აქციებს იწყებს!




ირაკლი პეტრიაშვილი კანონში ჩადებულ ნაღმებზე საუბრობს

ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

**13 ივნისს, საქართველოს პარლამენტმა შრომის კოდექსში ცვლილებები მესამე მოსმენით მიიღო. ცვლილებათა პაკეტს მხარი 91-მა დეპუტატმა დაუჭირა, 26 კი მის წინააღმდეგ წავიდა. ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის, დიმიტრი ხუნდაძის განმარტებით, მიღებულია შრომის ისეთი კოდექსი, რომელიც შრომითი ურთიერთობების ახალ ეტაპს განაპირობებს. „ჩვენ მოვახერხეთ კონსენსუსის მიღწევა და მივიღეთ შრომის კოდექსი, რომელიც მაქსიმალურად დაიცავს დასაქმებულისა და დამსაქმებლის ინტერესებს“. მისივე თქმით, მანამდე არსებული კოდექსი დისკრიმინაციული იყო და დასაქმებულების უპირობო გათავისუფლება ყოველგვარი განმარტების გარეშე ხდებოდა: „ვფიქრობთ, მოვახერხეთ, ამ პუნქტში დაცულიყო დასაქმებულის ინტერესები, მაგრამ თუკი პირი არ შეასრულებს ხარისხიანად მოვალეობას, პირობები დეტალურადაა გაწერილი და დამსაქმებელი შეძლებს, მხოლოდ დასაბუთებულად გაათავისუფლოს დასაქმებული“.**

ხელშეკრულებებთან დაკავშირებით სიახლეა: აქამდე იყო მხოლოდ სამთვიანი ხელშეკრულებები, რომელიც დავის საგანი ხშირად ხდებოდა, ამიერიდან კი, უვადო ხელშეკრულებები იქნება, თუმცა გარკვეული რეგულაციებით — უვადო ხელშეკრულება გაფორმდება დასაქმებულთან, თუ ის მუშაობს 30 თვის განმავლობაში.

ასევე, ორი ტიპის რეგულაციაა შრომითი ხელშეკრულების წინასწარი გაფრთხილების საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის ერთი თვით წინასწარი გაფრთხილების შემთხვევაში, დასაქმებულს ერთი თვის სამუშაოს ხელფასი აუნაზღაურდება, ხოლო თუ დამსაქმებელი სამი დღით ადრე გააფრთხილებს დასაქმებულს, მაშინ მას მოუწევს, დასაქმებულისთვის 2 თვის სახელფასო ანაზღაურების გაცემა.

შრომის კოდექსში შეტანილი ცვლილებები ძალაში მისი გამოქვეყნებისთანავე შევა.

2006 წლიდან, „შრომის კოდექსი“ არაერთხელ გახდა პოლიტიკური ოპონენტებისა და დასაქმებული ადამიანების კრიტიკის ობიექტი. ახალი „შრომის კოდექსის“ პროექტი პარლამენტში განსახილველად ხელისუფლების შეცვლის შემდეგ შევიდა, რომელიც დასაქმებულთა ინტერესების დაცვაზე იყო ორიენტირებული. ორიოდე თვის წინ, „ვერსიისთვის“ მიცემულ ინტერვიუში გაერთიანებული პროფკავშირების პრეზიდენტი ირაკლი პეტრიაშვილი აცხადებდა, რომ აღმასრულებელმა და საკანონმდებლო ხელისუფლებამ მათი მოთხოვნები გაითვალისწინა და კანონპროექტში მუხლების 70% პროფკავშირების ინიცირებულია. „შრომის კოდექსის“ გამო, პრეტენზიები დამსაქმებლებს ჰქონდათ და აცხადებდნენ, რომ კოდექსი მათ ინტერესების იგნორირებასა და ბიზნესის კვდომას გამოიწვევდა, ამიტომაც პარლამენტმა დამსაქმებელთა ინტერესები გაითვალისწინა და მეორე მოსმენით, მათთვის სასურველი კოდექსი მიიღო.

გაერთიანებული პროფკავშირების პრეზიდენტმა **ირაკლი პეტრიაშვილმა** ბოიკოტი გამოაცხადა და საკომიტეტო მოსმენებს აღარ დაესწრება: **„გვქონდა იმედი, რომ მივიღებდით ბევრად უკეთეს შრომის კოდექსს და ამით დავიცავდით დასაქმებულთა უფლებებს, დავუახლოვდებოდით ევროპულ სტრუქტურებს... მაგრამ, სამწუხაროდ, ახალი „შრომის კოდექსით“ მინიმუმის მინიმუმია დაკმაყოფილებული. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ — აღნიშნული კოდექსი ნამდვილად ვერ დაგვაახლოებს ევროპასთან, ვინაიდან კოდექსში დატოვებულია ისეთი სიმახინჯეები, როგორიცაა სამუშაო დრო, კონტრაქტები, დისკრიმინაცია... გამოხატვის თავისუფლება კვლავ შეზღუდული იქნება და ამას მალე დავინახავთ პრაქტიკაში“.**

პროფკავშირების ხელმძღვანელი კოდექსის არც იმ ნაწილს ეთანხმება, სადაც საუბარია 40-საათიან, საგანგებო დღეებში კი 48-საათიან სამუშაო კვირაზე: **„უსამართლობაა, რომ დასაქმებულთა ნაწილს, რომელსაც სპეციფიკური სპეციალობა აქვს, უნდა ჰქონდეს 48-საათიანი სამუშაო კვირა. საკანონმდებლო სივრცე საქართველოს მოქალაქეებისთვის ერთი უნდა იყოს“.**

„შრომის კოდექსში“ შეტანილი ცვლილების გამო, ირაკლი პეტრიაშვილი ბოიკოტს უცხადებს PSP-ს და მის დამფუძნებელს, დეპუტატ კახა ოქრიაშვილს, რომელმაც, პეტრიაშვილის თქმით, კოდექსი საკუთარ თავზე მოირგო: **„მიდიოდა გაცხოველებული ვაჭრობა, ოქრიაშვილისა და სხვა ბიზნესმენების მხრიდან, რომ მოკლევადიანი შრომითი ხელშეკრულებები ყოფილიყო. მათ სურდათ, კანონს ჰქონოდა უკუქცევის ძალა. 3-თვიანი და მოკლევადიანი კონტრაქტები ზღუდავს ასოციაციის თავისუფლებას, ნების გამოხატვისა და არჩევანის თავისუფლებას. ნებისმიერი დამსაქმებელი ეტყვის დასაქმებულს, რომ შეუძლია, პროტესტი გამოხატოს და პროფკავშირები შექმნას — 3 თვის მერე კონტრაქტს ვადა გასდის და თავისუფალი ხარ სამსახურიდანო. არადა, ევროდირექტივა პირდაპირ განსაზღვრავს — თუ სამუშაოს ტიპი მუდმივი სახისაა, იქ უვადო ხელშეკრულებები უნდა დაიდოს დასაქმებულებთან. პროტესტს ვაცხადებ PSP-ს მომსახურეობაზე, არასოდეს ვიყიდი ამ აფთიაქში წამლებს. როგორც ყაზბეგი ცხორში მიდიოდა მეცხვარედ, რათა უკეთ აღეწერა მეცხვარის ცხოვრება, ასე უნდა მიდიოდნენ პარლამენტარები მდნობელებად, მძღოლებად, ჟურნალისტებად და უნდა იცოდნენ, რა არის ზეგანაკვეთური შრომა, რას ნიშნავს მოკლევადიანი კონტრაქტი...“**

ირაკლი პეტრიაშვილის პროტესტს იწვევს კოდექსში არსებული ჩანაწერი, რომლის თანახმად, თუ პროფკავშირის წევრი არ იქნა, საწარმოში მომუშავეთა 51%-ის პროტესტის შემთხვევაში, დამსაქმებელი მათთან დიალოგზე არ წამოვა; ასევე „შრომის კოდექსის“ კანონპროექტიდან ამოღებულია ტერმინი „პროფესიული კავშირი“, მის ნაცვლად კი წერია დასაქმებულთა გაერთიანება. კანონპროექტის პირველ ვარიანტში აღნიშნული იყო, რომ ხელშეკრულება დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის წერილობითი ფორმით იდებოდა, მეორე მოსმენით გასულ კანონპროექტში აღინიშნა, რომ შრომითი ხელშეკრულება წერილობითი ფორმით იდება იმ შემთხვევაში, თუ შრომითი ურთიერთობა 3 თვეზე მეტხანს გრძელდება: **„გამოდის, ყველა ხელშეკრულება უნდა იყოს ზეპირი, არადა ზეპირი ხელშეკრულებები იწვევს ბიუჯეტისთვის თანხების დამალვასა და არაკეთილსინდისიერ დამოკიდებულებას დამსაქმებელთა მხრიდან, ხალხის ოცნება კი მოკლევადიანი ხელშეკრულებების გაუქმება იყო. გვქონდა მოლოდინი, გაფორმდებოდა უვადო შრომითი ხელშეკრულებები, მაგრამ ახლა უვადო ხელშეკრულებებს საფრთხე შეექმნა. თუ ადამიანი ერთი და იგივე სამსახურში 5 წელზე მეტი ვადით მუშაობს, მას კიდევ ერთი წლის შემდეგ გაუფორმებენ უვადო შრომით ხელშეკრულებას. აქ ნათლად ჩანს, რომ ეს ჩანაწერი იძლევა საშუალებას, კოდექსის მიღების შემდეგ, კომპანიებმა, მასობრივად გაათავისუფლონ ადამიანები სამსახურიდან და ხელახლა დაასაქმონ რათა 5-წლიანი საათი ჩართონ. ასეთი მუხლები საფრანგეთში რომ მიეღოთ, მასობრივი გაფიცვები დაიწყებოდა. აიძულებდნენ პარლამენტს, მიეღო ისეთი კოდექსი, რომელიც ფრანგ მოქალაქეებს აწყობდათ. პროფკავშირები გულზე ხელის დაკრეფას და თავთან სანთლის დადებას არ აპირებს, აქამდე, წევრ ორგანიზაციებს, რომლებიც აპირებდნენ საპროტესტო აქციებსა და გაფიცვებს, სიმშვიდისკენ მოვუწოდებდით, რადგან დიალოგი არ იყო დასრულებული, ახლა კი სრული თავისუფლება აქვთ — „საქართველოს პროფკავშირების გაერთიანება“ არა მარტო შეუერთდება ამ აქციებს, არამედ ორგანიზატორიც იქნება“.**



## მთავრობა სამარშრუტო ტაქსების მძღოლებისთვის ფიქსირებული გადასახადის დაწესების წინააღმდეგია

სამარშრუტო ტაქსების მძღოლებისთვის ფიქსირებული გადასახადის დაწესებას პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო და დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტები მხარს უჭერენ, მთავრობა კი წინააღმდეგია.

პარლამენტმა პირველი მოსმენით, თბილისის მერიის მიერ ჯერ კიდევ იანვარში ინიცირებული საკანონმდებლო ინიციატივა განიხილა, რომლის თანახმად, მიკროავტობუსების მძღოლების საქმიანობა ფიქსირებული გადასახადით დაიბეგრება, ხოლო გადასახდელი თანხის მაქსიმალური ზღვარი ყოველთვიურად, არაუმეტეს 10 ლარის ოდენობით განისაზღვრება.

როგორც სესიაზე საკითხის წარდგენისას დეპუტატმა, მიხეილ მაჭავარიანმა განაცხადა, ცვლილებების მომზადება ზამთარში, მიკროავტობუსების მძღოლების გაფიცვამ განაპირობა, რომელთა ერთ-ერთი მოთხოვნა ფიქსირებული გადასახადის შემოღებას უკავშირდებოდა. მაჭავარიანის თქმით, კანონპროექტის მიზანია, ფიქსირებული გადასახადის შემოღებით, მძღოლებს გადახდის სისტემა გაუმარტივდეს, რადგან დღეს ბუღალტრის დაქირავება, ხარჯების შესახებ დოკუმენტაციის წარმოება და სხვა რთული საგადასახადო პროცედურის გავლა უწევთ. მაჭავარიანმა მმართველ გუნდს ისიც შეახსენა, რომ ფიქსირებული გადასახადი უკვე მოქმედებს საცხობებზე, საპარიკმახეროებსა და სხვა მსგავს ობიექტებზე.

**„წარმოდგენილი ინიციატივის პრინციპს მხარს უჭერენ საფინანსო-საბიუჯეტო და დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტები, მაგრამ, ჩემდა გასაოცრად, ფინანსთა სამინისტრომ უარყოფითი პასუხი მოგვწერა. ეს პარტიული კი არა, მხარის კანონპროექტია, პროექტი, რომელიც მძღოლებს სჭირდებათ“,** — განაცხადა მიხეილ მაჭავარიანმა პლენარულ სხდომაზე და კოლეგებს შესთავაზა, ინიციატივისთვის პრინციპის დონეზე მხარი დაეჭირათ, შემდგომში კი გაგრძელებულიყო მსჯელობა, ფიქსირებული გადასახადის ოდენობა იქნებოდა 10 ლარი თუ მეტი.

სამარშრუტო ტაქსების მძღოლებისთვის გადასახადის გამარტივებისა და მათთვის ფიქსირებული სისტემის შემოღების ინიციატივის მხარდაჭერა დააფიქსირეს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო და დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტების თავმჯდომარეებმა, თუმცა მათი მხრიდან ცალსახად აღინიშნა, რომ გადასახადის ოდენობის კორექტირება საჭირო გახდებოდა.

საკითხისადმი უარყოფითი პოზიცია დააფიქსირა მთავრობამ, რომელიც მიიჩნევს, რომ პარლამენტმა კანონპროექტი არ უნდა მიიღოს. მთავრობის წარმომადგენლის, ვახტანგ ცეცხლაძის თქმით, **„აღნიშნულმა ცვლილებამ, შესაძლოა, არაჯანსაღი კონკურენცია გამოიწვიოს. სამარშრუტო ტაქსებს სხვადასხვა მიმართულებით უწევთ მუშაობა და მგზავრთა ნაკადიც გასათვალისწინებელია. შეიძლება, გარკვეული პირები უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რადგან მეტი შემოსავალი აქვთ და ეს გადასახადი მათთვის უკეთესი იყოს, ხოლო ვისაც შემოსავალი ნაკლები აქვს, მათზე მძიმედ აისახოს. კიდევ ერთი არგუმენტი ისაა, რომ წარმოდგენილი არ არის პროექტის საფინანსო გაანგარიშება“.**

*„ინტერპრესნიუსი“*





## თინა ხიდაშელი საგარეჯოს გამგებელსა და დაკავებულ პირებს თავდებში უდგება

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი და მასთან ერთად, სხვა პირები დააკავეს. ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, უწყების თანამშრომლებმა საგარეჯოს რაიონული მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილი თანხების დიდი ოდენობით მითვისებისა და სამსახურეობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტზე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი ლოლაძე, მოადგილე ბესიკ მარტიაშვილი, ზედამხედველობის სამსახურის უფროსი თენგიზ ივანელაშვილი, ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი დავით ხატიაშვილი, საკრებულოს მთავარი სპეციალისტი თეიმურაზ ჯინჯიხაძე, შპს „არსაკიძის“ დირექტორი რევაზ ბაჩოშვილი, შპს „პალაცოს“ დირექტორი ზაზა მაისურაძე და შპს „მშენებელი 2013“-ის დირექტორი გიორგი ადუაშვილი დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტს — საბავშვო ბაღებისა და საცხოვრებელი სახლების გადახურვის სამუშაოების დაფინანსების მიზნით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოეყო 300 000 ლარი: **„2012 წლის 19 დეკემბერს, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საორგანიზაციო საკითხთა მთავარი სპეციალისტის თეიმურაზ ჯინჯიხაძის ორგანიზებით, მასთან დაახლოებული პირების სახელზე დაფუძნებული იქნა „არსაკიძე“, „მშენებელი 2013“ და „პალაცო“, რომლებთანაც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მიერ, გამარტივებული შესყიდვის წესით, გაფორმდა 3 ხელშეკრულება, 300 000 ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულებაზე. აღნიშნული კომპანიების მიერ, თ. ჯინჯიხაძისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ხელმძღვანელ პირთა ზედამხედველობით, ჩატარებული სარემონტო სამუშაოებისას, ხელოვნურად გაიზარდა სამუშაოების მოცულობა და ღირებულება, რის საფუძველზეც, დაკავებულების მიერ მითვისებულ იქნა თანხა 80 000 ლარი“.**

მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე და 332-ე მუხლებით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 7-დან 11 წლამდე ვადით.

თანამდებობის პირების დაკავების დღესვე, მათთვის თავდებში ჩადგომის სურვილი გამოთქვა, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა თინა ხიდაშელმა, რომელმაც საგამოძიებო ორგანოებს მისი დაკითხვა შესთავაზა. ხიდაშელის თქმით, აღნიშნული პროექტი სწორედ მისი ინიციატივით დაიწყო. დეპუტატის განმარტებით, სამუშაოები გასულ წელს დაიწყო და მათ ზამთრამდე თანხის გამოყოფა პრემიერს სთხოვეს, რათა საბავშვო ბაღები და ის საცხოვრებელი სახლები, რომლებიც განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაშია, თოვლის მოსვლამდე გადახურულიყო: **„მინდა, სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ ვიცი აბსოლუტურად ყველაფერი ამ პროექტის შესახებ. პირადად ვამოწმებდი ყველა თეთრის ხარჯვას, რომელიც დაკავშირებული იყო ამ პროექტთან, ეს იყო ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი პირველი ღონისძიება, რომელიც რაიონში განვახორციელე და დავეხმარეთ განსაკუთრებით გაჭირვებულ ადამიანებს, ამიტომ მინდა, მივმართო ფინანსურ პოლიციას, რომ თუ მათ აქვთ რაიმე კითხვები, მეც დამკითხონ, მე ვიღებ სრულ პასუხისმგებლობას ამ კონტრაქტზე, აბსოლუტურად თავიდან ბოლომდე, რადგან პროექტი ჩემი ინიციატივით დაიწყო და მე ვიყავი საქმის კურსში განხორციელებული საქმიანობის შესახებ. მე ვუდგები თავდებში ამ ადამიანებს, რომ მოხდეს მათი გათავისუფლება. გამოძიება უნდა გაგრძელდეს. დარწმუნებული ვარ, ის დასრულდება პოზიტიურად და არაფერი დადასტურდება იმ ბრალდებებიდან, რაც წაყენებული აქვთ“.**

ხიდაშელმა უარყო გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს გამგებელი მისი ნათესავია.

*„ვერსიანიუსი“*

# „ვეძებ, სად გაქრა ჩემი კუთვნილი ვაუჩერი და თვენახევარია, უშედეგო გამოძიება მიმდინარეობს“




მერაბ ბერიძე
599-45-50-26

**სიღნაღის რაიონის სოფელ ზემო ბოდბის მცხოვრებმა მიწის დამუშავების სასოფლო-სამეურნეო ვაუჩერი ვერ მიიღო. ერთ-ერთ დაზარალებულს სოფლის მეურნეობის სამინისტროში უთხრეს, რომ მისი კუთვნილი ვაუჩერი რეალურად გაცემულია. ამ შემთხვევაზე რაიონის პროკურატურამ საქმე აღძრა და თვენახევარია უშედეგო გამოძიება მიმდინარეობს. ამ პრობლემის შესახებ, ადგილობრივ მცხოვრებს, სოსო კოჭლამაზაშვილს ვესაუბრეთ.**

— ჩემთვის 262 ლარის ღირებულების მიწის მოხვნის კომბინირებული ვაუჩერი არ მოუციათ, მხოლოდ ნომინალური, 375-ლარიანი ვაუჩერი მივიღე. როგორც ჩანს, პირველი დახმარება, ავტომატურად, უკან დაბრუნდა. 27 აპრილს დავრეკე სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელ ხაზზე, მითხრეს, შენი ვაუჩერი გაცემულიაო. ერთ საათში გამგეობაში ჩავედი და მოვიკითხე. არ ვიცით, გავარკვევთო, — მიპასუხა გამგებელმა. რამდენიმე ხნის შემდეგ გავიგე, რომ გამგებელს პროკურატურისთვის გადაუცია საკითხი და საქმე აღძრულა. ჩემ გარდა, სოფელში ხუთი ვაუჩერია გაუცემელი. 27 მაისს, საქმესთან დაკავშირებით, ჩვენების მისაცემად დამიბარეს, მაგრამ თვენახევრის განმავლობაში გარკვეული არ არის, რომელმა მაღაზიამ გაანაღდა ბანკში ჩემი ვაუჩერი. თუ მაღაზიამ სასოფლო პროდუქცია ჩემი პირადობის გარეშე გასცა, ის გამოდის დამნაშავე — საკრებულოს ბეჭედი უნდა ყოფილიყო და ჩემი ხელმოწერა. ხელმოწერის გაყალბება შეიძლება, მაგრამ ბეჭედი აუცილებლად უნდა ყოფილიყო, რომ მაღაზიას გაცემის უფლება ჰქონოდა — საკრებულო გასცემს ვაუჩერს, მერე მიდიხარ სერტიფიცირებულ მაღაზიაში და სასოფლო-სამეურნეო იარაღი გამოგაქვს; ხოლო მაღაზია ვაუჩერს ბანკში ანაღდებს.

**— თქვენს სოფელში მხოლოდ ექვსმა ადამიანმა ვერ მიიღეთ ვაუჩერი, რით ხსნით ამ ფაქტს?**

— ექვსნი ვართ, ვინც ოფიციალურად ვაცხადებთ ამას. თორემ არაოფიციალურად, შეიძლება, სხვებიც იყვნენ ჩვენს მდგომარეობაში. მთავარია, რომ რაღაც მიზეზით საქმის გამოძიება არ ხდება და, ჩემი აზრით, ამ პროცესში მარტო სოფლის საკრებულო არ უნდა იყოს ჩართული. ძნელია დაზუსტებული ფაქტების გარეშე საუბარი, მაგრამ, სავარაუდოდ, პრობლემა უფრო ზედა ეშელონებშია, თორემ ამ საქმის გამოძიება არ შეფერხდებოდა.

შესაძლოა, ამ ვაუჩერების განაღდების მთელი სისტემაა შექმნილი. ფაქტია, მიწის დამუშავების ვაუჩერის გაცემა დიდ პრობლემას წარმოადგენდა და მას შემდეგ, რაც სოფლის მეურნეობის სამინისტროში ის ხალხი დააკავეს, ცოტა გამოსწორდა მდგომარეობა. ბევრმა არც კი იცოდა, რომ მიწის დამუშავების ვაუჩერი უნდა მიეღო, მერე კი რაღაცები გამომჟღავნდა, ნაწილს მისცეს, ზოგი კვლავ ისე დარჩა.

**— გამოძიების დასრულებამდე, რატომ არ გაძლევენ კუთნილ ვაუჩერს; სად არის ამ დროს ადგილობრივი თვითმმართველობა?**

— პირადად მე, არავინ გამომხმაურებია. გამოძიება რომ მიმდინარეობდა, თავად გავიგე — პროკურორთან მივედი და მხოლოდ ამის შემდეგ დამიბარეს ჩვენების მისაცემად. ჩემი ვაუჩერი დაკარგული რომ იყო, არავის უთქვამს, სანამ არ მოვიკითხე. სეზონი გადის, არც ვაუჩერი მაქვს და მიწის დამუშავებაზე ხომ საუბარი ზედმეტია.

**— თქვენი აზრით, რამდენად ამართლებს მთავრობის ეს ღონისძიებები?**

— პრაქტიკული თვალსაზრისით, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაზრდაზე დიდ გავლენას არ მოახდენს და ამას ჩემი სოფლის მაგალითზე ვამბობ. ჩემი ინფორმაციით, ამ ვაუჩერით მიღებული თანხის სოფლის მეურნეობაში გამოყენება ვერ მოხერხდა, მოსახლეობა, ძირითადად, სოფლის მეურნეობის იარაღებს იღებს — „დრელი“, „ბარგალკა“, „დრუჟბა“... ისეთ საგნებს, რაც პროდუქციას არ გაზრდის. ძალიან უმნიშვნელო ნაწილი წავიდა უშუალოდ სოფლის მეურნეობაზე. მაგალითად, ვისაც ვენახი ჰქონდა და ყოველ წელს უვლიდა, უბრალოდ, ფული დაზოგა და წელს უფასოდ შეწამლა, თორემ დანარჩენი, იგივე პროდუქციას მიიღებს, რასაც შარშან იღებდა.

**— უშუალოდ მიწის მოხვნას რაც შეეხება...**

— უმრავლესობამ ვერ მოხნა იმიტომ, რომ ვაუჩერები გვიან, აპრილის შუა რიცხვებში მიიღო. მეორე პრობლემა ისაა, რომ მიწა სოფლის მონაკვეთზე არ იხვნებოდა, მაგალითად, საკარმიდამო ნაკვეთები — საუბარი იყო მოშორებით მდებარე მინდვრებზე. ასე რომ, უმნიშვნელო სხვაობა შეიძლება იყოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიღების თვალსაზრისით.

**— თქვენთან რატომ დააგვიანეს ვაუჩერების გაცემა?**

— გაცემა რამდენიმე ეტაპად განხორციელდა. ზოგს ვაუჩერი მარტში მოუვიდა, მოსახლეობის დიდ ნაწილს — აპრილის შუა რიცხვებში... უმრავლესობამ, როგორც აღვნიშნეთ, მოხვნის ვაუჩერი პირველ ეტაპზე საერთოდ ვერ მიიღო. მეორე, ნომინალურით კი, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამოტანა შეიძლებოდა. ამასთან, მოხვნის კომბინირებული ბარათი ბევრმა უკან დააბრუნა, რადგან მოხვნის პერიოდი დასრულებული იყო. ჩვენთან მიწა ადრე მუშავდება, მარტში კი ეს პროცესი დაგვიანებულია.

**— რა გამოასწორებს ამ მდგომარეობას, რომ გლეხმა შედეგი მიიღოს?**

— თუ პრინციპია, რომ გლეხმა ფული არ მიიღოს და ვაუჩერი, უშუალოდ, სოფლის მეურნეობის პროდუქციის საწარმოებლად გამოიყენოს, მაშინ ეს აგროვადებში ჩატევით უნდა მოხდეს. ამის გარეშე, გლეხს არჩევანის საშუალება უნდა მისცე; უნდა ვაუჩერის სახით აიღებს, უნდა თანხის სახით გამოიტანს ბანკიდან. რეალურად, ეს სოციალური დახმარებაა და არა სოფლის მეურნეობაში ჩადებული ინვესტიცია. აქედან დიდი ნაწილი სერტიფიცირებული მაღაზიების ჯიბეში წავიდა.

1. ფრანგული რევოლუციური სიმღერა
2. ძვირფასი სამშენებლო და მოსაპირკეთებელი ქვა
3. გერმანიის ვალუტა ევრომდე
4. საგანგებოდ გამოშრალი ხილი
5. ილარიონის გვარი დუმბაძის ცნობილ რომანში




6. ლეგენდარული პორტუგალიელი ფეხბურთელი
7. ამერიკელი მომღერალი დაიანა ...
8. ქვესკნელის ანტიპოდი
9. ახლად დაყენებული დაუდუღარი ღვინო
10. ვულკანი იაპონიაში
11. დამატებითი ტონი მუსიკაში
12. ამერიკელი ფინანსისტი და ფილანთროპი
13. რუსი ფერმწერი
14. სახალხო კრება ძველ საბერძნეთში
15. ციცინათელების მწყემსი გოგონა „სალამურას თავგადასავალში“
16. რუსული შოუბიზნესის ვარსკვლავი
17. ბაირონის თავადაზნაურული ტიტული
18. იტალიის საფეხბურთო კლუბი
19. ძალიან ნელი ტემპი მუსიკაში
20. შინაური ცხოველი
21. წყლის ჭავლი, რომელსაც ტოვებს გემი
22. ნაკურთხი წყალი
23. მუსლიმანთა სალანძ. სიტყვა არამუსლიმანთა მიმართ
24. ფრანგი მწერალი, ავტორი რომანისა „მადამ ბოვარი“
25. ფრანგული ყვულის სახეობა
26. მაუგლის გამზრდელი მგელი
27. დიდი, გამობერილი მუცელი
28. მდინარე სანკტ-პეტერბურგში
29. ნიკანდრო ... „დათა თუთაშხიაში“
30. ძლაშე წყლის დიდი მასა
31. პრეზიდენტის გადაყენების პროცედურა
32. თეთრი ლაქა ხარის შუბლზე
33. საოპერო პარტია
34. შუა საუკუნეების მისტიკური მოძღვრება
35. ანტიკური სახელმწიფო მცირე აზიაში
36. მუქი წითელი ფერის ძვირფასი ქვა
37. ძაღლის ნაშიერი
38. საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა
39. ირლანდიის რესპუბლიკური არმია
40. ყელზე ჩამოსაკიდი ბურთულებიანი სამკაული
41. ისტ. ციხე-ქალაქი სამ-ხრეთ საქართველოში
42. გაზაფხულის ყვავილი
43. ფეოდალური ხანის ციხე თბილისში
44. ჰოლივუდის ვარსკვლავი ... თურმანი
45. უნგრეთის დედაქალაქის ნაწილი
46. სამგლოვიარო ხასიათის მუსიკალური ნაწარმოები
47. ერთ-ერთი მთავარ-ანგელოზი
48. ავსტრალიური სირაქლემა
49. ბედისწერის ქალღმერთი
50. სოფიკო ჭიაურელის როლი „ხევსურულ ბალადაში“
51. შინაური ფრინველი
52. კულტურულ ნათესებში გაბრეული ველური მცენარე
53. სახელმწიფო აღმოსავლეთ აფრიკაში
54. მევიოლინე ვანესა ...
55. ვისიმე ნამდვილი სახელი, ფსევდონიმად გამოყენებული
56. ქართული ყოველკვირეული ჟურნალი
57. იგივეა, რაც ნაცია
58. სახელმწიფოში შესვლის ნებართვა
59. პუშკინის „ევგენი ონეგინის“ პერსონაჟი
60. ქარების მბრძანებელი ბერძნულ მითოლოგიაში
61. ფრანგი მწერალი, დრამატურგი და ფილოსოფოსი
62. „თეთრ პელედ“ წოდ. ბრაზილიელი ფეხბურთელი
63. ჩოგბურთელი ... საფინი
64. საგანგებო დავალება
65. არეკლილი ბგერა
66. ძაღლების სადარაჯო ადგილი ცხვრის სადგომთან
67. გამადიდებელი შუშა
68. ლოცვის დასკვნითი სიტყვა
69. 1000 კგ
70. სოფელი გორის რაიონში
71. მდინარე ვოლგის სახელწოდება სპარსულ ლიტერატურაში
72. ესპერანტოს ვარიანტი
73. (მოძვ.) ბრძოლა
74. ლონდონის საფეხბურთო სტადიონი
75. ინგლისელი გიტარისტი კრის ...
76. სახელმწიფო წყობილების ფორმა
77. ლიანდაგის შემადგენელი ნაწილი
78. ქართული ანბანის მე-17 ასო
79. აღმოსავლური ტკბილი სასმელი
80. ფრანკფურტის საფეხბურთო კლუბი
81. ჩინგიზ-ყაენის შვილიშვილი
82. კავალერთან მოცეკვავე ქალი

# ყავა კოცნის სანაცვლოდ



ფრანგული კაფე Metro St. James, რომელიც ავსტრალიის უდიდეს ქალაქში, სიდნეიში მდებარეობს, სამი თვის წინ გაიხსნა, თუმცა, ამის მიუხედავად, უკვე დიდი პოპულარობით სარგებლობს, მიზეზი კი ერთი გენიალური სარეკლამო შეთავაზებაა — კაფე კლიენტებს ერთ ფინჯან ყავას კოცნის სანაცვლოდ სთავაზობს. ჩვენ რომანტიკის აღორძინება გვინდა. მობრძანდით დილით, ყავის დასალევად, თქვენს საყვარელ ადამიანთან ერთად და ისიც გააოცეთ მოულოდნელი ამბორით. ჩვენ ფულს კი არა, მხოლოდ თქვენს კოცნას ვიღებთ, — ნათქვამია რეკლამაში, რომელიც სოციალურ ქსელში კაფეს ოფიციალურ გვერდზეა განთავსებული. ხოლო თუ ადამიანს არ აქვს სურვილი, ჭიქა ყავის სანაცვლოდ კაფეს პერსონალს აკოცოს ან არ ჰყავს მეწყვილე ამ ორიგინალურ აქციაში მონაწილეობისთვის, დაწესებულების ხელმძღვანელობა გაბედულ კლიენტებს სთავაზობს, ამისთვის ქუჩიდან, სრულიად უცნობი ადამიანი შეიყვანონ.



# ჰოროსკოპი
## 14 ივნისი

**ვერძი** — დღეს ნუ დაგეგმავთ საქმიან შეხვედრებს, გადადეთ მივლინებაც. ეცადეთ, დღე მშვიდ გარემოში გაატაროთ, რადგან დასვენება და არსებული პრობლემებისგან განმუხტვა აუცილებლად გჭირდებათ.

**კურო** — პრობლემები, რომელიც პირად ცხოვრებაში წარმოიქმნება, უკვალოდ ჩაივლის. დღეს ერიდეთ კონფლიქტს ხელმძღვანელობასთან. დღის მეორე ნახევარი კი საკუთარ თავს მიუძღვენით — შეიცვალეთ იმიჯი და კარგი იქნება, თუ სახლის ინტერიერსაც მიხედავთ.

**ტყუპები** — დღეს თუ საქმეს ენთუზიაზმით მოეკიდებით, ეს პროფესიულ გამოცდილებას შეგმატებთ. მეტი დრო დაუთმეთ გარეგნობას, თავი აარიდეთ საყვარელ ადამიანთან კამათს, ამან შესაძლოა, კონფლიქტამდე მიგიყვანოთ.

**კირჩხიბი** — დღეს მიმდინარე პროცესების მიუხედავად, არ უნდა დაკარგოთ ოპტიმიზმი, მით უმეტეს, რომ შესაძლოა ისეთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიიღოთ, რაც თქვენს ცხოვრებას შეცვლის.

**ლომი** — დღეს შესაძლოა, შთაბეჭდილება შეგექმნათ, რომ ერთ ადგილს ტკეპნით, მაგრამ მალე ყველაფერი შეიცვლება და წარმატებასაც ადვილად მიაღწევთ, რაშიც საქმიანი კონტაქტები დაგეხმარებათ.

**ქალწული** — წინ შესანიშნავი პერიოდი გელით — მოგზაურობა, სასიამოვნო ემოციები, მხიარული წვეულებები. ეცადეთ, ცოდნაც გაიღრმავოთ. დღეს შესაძლოა გაიცნოთ ადამიანი, რომელიც თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს.

**სასწორი** — დღეს საკმაოდ კომუნიკაბელური ხართ და არ გაგიჭირდებათ საერთო ენის გამონახვა თანამშრომლებთან იმ საკითხებში, რაც აქამდე თქვენთვის ძნელი იყო. კარგი დღეა გარიგებისთვის, ხელშეკრულების დადებისთვის. ბიზნესით დაკავებულ სასწორებს წარმატება ელის.

**ღრიანკალი** — ეჭვების დრო წარსულში დარჩა, დღეს გააცნობიერებთ, რა გსურთ რეალურად და ადვილად იპოვით დასახული მიზნისკენ მიმავალ გზას.

**მშვილდოსანი** — თქვენ გარშემო ემოციური დაძაბულობა და კონფლიქტი მწიფდება, მაგრამ შეეცადეთ, თავი აარიდოთ მას, განსაკუთრებით კი ოჯახის წევრებთან. ურთიერთობებს გაუფრთხილდით და ჯანმრთელობასაც მიხედეთ.

**თხის რქა** — ფინანსური საკითხების მოგვარებისთვის საუკეთესო პერიოდია, წარმატება გელით სამსახურშიც. რასაც ვერ ვიტყვით პირად ცხოვრებაზე, ეცადეთ, მეტი დრო დაუთმოთ თქვენს რჩეულს, მხოლოდ ასე შეძლებთ ურთიერთობის გადარჩენას.

**მერწყული** — შეეცადეთ, დროის დიდი ნაწილი საინტერესო ადამიანების გარემოცვაში გაატაროთ. იდეალური დღეა ახალი სასიყვარულო თავგადასავლებისთვისაც.

**თევზები** — მძიმე დღე გელით სამსახურში. დაძაბული სამუშაო თქვენს განწყობაზე იმოქმედებს. შესაძლოა კამათი კოლეგებთან, მაგრამ პროვოცირებაზე ნუ გადახვალთ, რადგან შეიძლება, ამან სერიოზული კონფლიქტი გამოიწვიოს.

## მძარცველებს პოლიციის მანქანებით აშინებენ




შვეიცარიელებმა სახლების მძარცველებისგან დასაცავად ორიგინალური მეთოდი მოიფიქრეს. ძვირადღირებული დაცვის სისტემით აღჭურვის ან მცველების დაქირავების ნაცვლად, აქაურები პოლიციის მანქანას ქირაობენ და სახლთან აყენებენ, მისი დანახვისას კი, ბინის გაძარცვის სურვილი ყველა ქურდს უქრება. იდეის ავტორი შვეიცარიელი მეწარმე ანდრეს ბირერია. მის კომპანიაში ჩვეულებრივ ავტომანქანებს ქვეყნის პოლიციის ფერებში ღებავენ, ციმციმას უმონტაჟებენ და კვირაში 270 დოლარად აქირავებენ. აღსანიშნავია, რომ კომპანიას ყოველთვის ბევრი კლიენტი ჰყავს, ზაფხულში კი მათი რიცხვი განსაკუთრებით იზრდება, როდესაც შვეიცარიელები ხანგრძლივ შვებულებას იღებენ და ქალაქგარეთ მიემგზავრებიან.

## იოგურტი ორგანიზმს სიმსივნისგან იცავს



რძემჟავა პროდუქტის ხშირი მოხმარება საშარდე ბუშტის კიბოს განვითარების რისკს მნიშვნელოვნად ამცირებს, — ასეთ დასკვნამდე შვედი მეცნიერები მივიდნენ, რომელთაც ხანგრძლივი კვლევა ჩაატარეს ათობით ათას ადამიანზე. სწავლულები ცხრა წლის განმავლობაში 82 ათას ჯანმრთელ ქალსა და მამაკაცს აკვირდებოდნენ, კვლევის ბოლოს კი, შარდის ბუშტის სიმსივნე 485 მონაწილეს აღმოაჩნდა. ინფორმაციის გაანალიზების შემდეგ მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ დაავადებულთა უმრავლესობა ნაკლებად მიირთმევდა იოგურტსა და სხვა რძემჟავა პროდუქტებს, ხოლო მათ, ვინც ასეთ საკვებს დღეში ორ ულუფაზე მეტს იღებდა, კიბოს განვითარების რისკი 38%-ით ნაკლები ჰქონდათ.

## მობილური ტელეფონი ტვინს აცხელებს



ამერიკის შეერთებულ შტატებში ფეხმძიმე ქალებსა და ბავშვებს შვიდი წლის ასაკამდე ურჩევენ, საერთოდ არ ისარგებლონ მობილური კავშირით. იტალიელმა მედიკოსებმა კი კიდევ ერთხელ გამოიკვლიეს მობილურის გავლენა ადამიანის ორგანიზმზე. აღმოჩნდა, რომ ტელეფონზე საუბრისას წნევა, საშუალოდ, 5-10 მილიმეტრით იზრდება. მისი ასეთი ცვალებადობა კი საკმაოდ საშიშია 40 წელს გადაცილებული ადამიანებისთვის. მსგავსი ტესტირება ჩაატარეს უკრაინელმა სპეციალისტებმაც, რომელთაც დაადგინეს, რომ მობილურზე საუბრისას, გამოსხივების გამო, ადამიანის ტვინში ტემპერატურა იმატებს, აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ფიჭვური კავშირგაბმულობის ამ საშუალებას გამოსხივება აქვს, რომელსაც შეუძლია ნერვული სისტემის ქსოვილების დაზიანება, დააქვეითოს მხედველობა ან იმუნური სისტემა.

## სახლის მყიდველს „ბენტლის" ჩუქნიან




კალიფორნიულ ქალაქ სანდიეგოში მდებარე ვილის მფლობელი მისი 1,8 მილიონ დოლარად ღირებული უძრავი ქონების მყიდველს საჩუქრად 200 ათასიან მანქანას — „ბენტლის" გადასცემს. 450 კვადრატული მეტრის ფართის სახლი, სადაც 4 საძინებელი, 4 აბაზანა, სამზარეულო, მინიკინოთეატრი და ავტოფარეხია, მისმა მფლობელმა ბობ ლემანმა რახანია გასაყიდად გამოიტანა, მაგრამ კრიზისის გამო, კლიენტი არა და არ გამოჩნდა. იმედგაცრუებულმა ლემანმა მსურველის დაინტერესება, ფასის დაკლების გარდა, ამ მაცდუნებელი წინადადებით გადაწყვიტა. ასე რომ, ვინც მის სახლს იყიდის, ავტოფარეხში ერთი ადგილი უკვე დაკავებული ექნება — 2007 წლის „ბენტლი" მისი საკუთრება გახდება.



# ჰოროსკოპი
## 15 ივნისი

**ვერძი** — დღეს უამრავ ადამიანთან გელით ურთიერთობა — ხმაურიანი წვეულება ან სხვა ღონისძიება... მართალია, განმარტოება გინდათ, მაგრამ ამ შეხვედრას თავს ვერ აარიდებთ.

**კურო** — დღეს გარშემომყოფებს თქვენი დახმარება დასჭირდებათ, რაზეც უარს ვერ ეტყვით, თუმცა ეცადეთ ამით საკუთარი საქმე არ აზარალოთ.

**ტყუპები** — დღეს კომპრომისზე წასვლა მოგიწევთ, წინააღმდეგ შემთხვევაში უსიამოვნებას გადაეყრებით. თუ ამბიციებს დაიოკებთ, მხოლოდ თქვენთვისვე იქნება უკეთესი.

**კირჩხიბი** — დღეს მიხვდებით, რომ გარშემომყოფებზე ერთი თავით მაღლა დგახართ, მაგრამ ისიც გახსოვდეთ, რომ მათზე მეტი პასუხისმგებლობა გეკისრებათ, ასე რომ, მოგიწევთ, ბოლომდე გამოამჟღავნოთ საკუთარი შესაძლებლობები.

**ლომი** — ჭეშმარიტების გასარკვევად დღეს დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ. შესაძლოა, ვიღაცას არ მოეწონოს თქვენი ცნობისმოყვარეობა, მაგრამ უკან არ დაიხიოთ. პრობლემები კი მხოლოდ იმასთან განიხილეთ, ვისაც ენდობით.

**ქალწული** — დღეს აჯობებს უფრო თავშეკავებული იყოთ და ნაკლებად დააფიქსიროთ საკუთარი მოსაზრება, თუნდაც ის არგუმენტებით იყოს გამყარებული.

**სასწორი** — სხვისი პრობლემების მოგვარება უკეთესი დროისთვის გადადეთ და დღეს მხოლოდ საკუთარი საქმეებით დაკავდით, გახსოვდეთ, რომ ყველაფერს ერთად თუ შეეჭიდებით, ვერც ერთი საქმის დასრულებას ვერ შეძლებთ.

**ღრიანკალი** — დღეს, შესაძლოა, რეალობისგან მოწყვეტილი აღმოჩნდეთ. ერთი მხრივ, ეს ცოტა ამოგასუნთქებთ, მეორე მხრივ კი — შესაძლოა, ხელი შეგეშალოთ ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებაში, ამიტომ ეცადეთ, მნიშვნელოვანი მოვლენები ყურადღებისმიღმა არ დაგრჩეთ.

**მშვილდოსანი** — მოთმინება გამოიჩინეთ, უახლოესი პერიოდის განმავლობაში ცოტა რამ თუ გაგახარებთ, მაგრამ ეს ინდიფერენტულობა დიდხანს არ გასტანს, მთავარია, ოპტიმიზმი არ დაკარგოთ.

**თხის რქა** — თქვენი უნარი, იგრძნოთ და შეამჩნიოთ ის, რასაც სხვები ვერ ხედავენ, დღეს უფრო მეტად გაძლიერდება. თუ აქამდე რაიმე ამოუცნობი დაგრჩათ, დღეს მასზე პასუხის მიღებასაც შეძლებთ.

**მერწყული** — დღეს შესაძლოა, აპათიის მსხვერპლი გახდეთ, თანაც დიდი ხნით, ამიტომ ნუ მისცემთ თავს დასვენებისა და პრობლემებზე ფიქრის უფლებას.

**თევზები** — ამ ნიშნის წარმომადგენლები დღეს ყურადღებიანი მსმენელის როლში აღმოჩნდებიან, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ საკუთარი პრობლემებიც უხვად გაქვთ და მათ, თქვენს გარდა, ვერავინ მოაგვარებს.

# სუდოკუმანია

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | 8 | 2 | | | 3 | | |
| | | | | | 9 | | | |
| | | 2 | | 6 | | | 9 | 7 |
| | 7 | | 9 | | | | 5 | |
| | 4 | | | | | | 3 | |
| | 5 | | | | 8 | | 1 | |
| 5 | 2 | | | 7 | | 6 | | |
| | | | 6 | | | | | |
| | | 6 | | | 2 | 4 | | 1 |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 6 | | 7 | | | | | |
| | | | | 6 | | | | |
| | 2 | 3 | 1 | | | 4 | | 6 |
| | 7 | 8 | 2 | | | 1 | 9 | |
| 6 | | | | | | | | 4 |
| | 4 | 1 | | | 5 | 6 | 2 | |
| 2 | | 4 | | | 1 | 9 | 5 | |
| | | | | 3 | | | | |
| | | | | | 9 | | 6 | |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 7 | | | | | | | 9 |
| | | | 2 | | | | 6 | |
| | | 1 | | 9 | 6 | | | 4 |
| 4 | 3 | | 5 | | | 1 | | |
| | 6 | | | 4 | | | 2 | |
| | | 9 | | | 1 | | 3 | 8 |
| 2 | | | 9 | 7 | | 6 | | |
| | 8 | | | | 3 | | | |
| 5 | | | | | | | 4 | |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 6 | 3 | 8 | | 9 | 2 | | 5 |
| | | 4 | | | | 9 | | |
| 9 | | | 6 | | 5 | | 3 | |
| | 1 | | | | | | | |
| 4 | | | 1 | 6 | 3 | | | 7 |
| | | | | | | | 1 | |
| | 5 | | 2 | | 8 | | | 4 |
| | | 9 | | | | 5 | | |
| 2 | | 8 | 5 | | 4 | 1 | 6 | |



# ჰოროსკოპი

## 16 ივნისი

**ვერძი** — ნურავის ნურაფერს დაუმტკიცებთ, აკეთეთ თქვენი საქმე და ამისთვის არ დაიშუროთ ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობები. მიღწეულით კი საკმაოდ კმაყოფილი დარჩებით.

**კურო** — მოაგვარეთ ურთიერთობები საქმიან პარტნიორებთან. მიახვედრეთ ისინი, რომ გადამწყვეტი სიტყვა თქვენ გეკუთვნით და ყველაფერი ისე იქნება, როგორც თავად გადაწყვეტთ.

**ტყუპები** — ნუ შეუშინდებით სიახლეებსა და ცვლილებებს, თუ მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მოქმედება გადაწყვიტეთ, ნუღარ დააყოვნებთ.

**კირჩხიბი** — ბევრი რამის გაკეთება შეგიძლიათ, მაგრამ ყველაფერს ერთბაშად ნუ მოედებით, რადგან ასე, წამოწყება წამოწყებად დარჩება. სჯობს, ერთი საქმე მიიყვანოთ ბოლომდე და დანარჩენს შემდეგ მიხედოთ.

**ლომი** — დღეს ადვილად მოაგვარებთ ძველ საქმეებსა და ფინანსურ საკითხებს. შესაძლოა, მცირე რისკზეც წახვიდეთ, რაც სასურველი შედეგის მიღწევაში დაგეხმარებათ.

**ქალწული** — დღეს რჩევისთვის მოგაკითხავენ. შეეცადეთ, უყურადღებოდ არავინ დატოვოთ. თუ ლიდერობისკენ მიისწრაფვით, ამას ახლა სულ ადვილად მიაღწევთ.

**სასწორი** — დღეს, შესაძლოა, ისეთი საქმის შესრულება მოგიწიოთ, რასაც ვერ იტანთ, მაგრამ სხვაგვარად დასახულ მიზანს ვერ მიაღწევთ, ამიტომ მეტი მოთმინებით შეუდექით თქვენი მოვალეობის შესრულებას.

**ღრიანკალი** — ან უსაქმოდ ხართ, ან ყველა იდეის ერთ დღეს განხორციელება გსურთ, სჯობს, დრო სწორად გადაანაწილოთ, ასე უფრო მოგებული დარჩებით.

**მშვილდოსანი** — დღეს წარმატებისკენ მიმავალ გზას ადვილად მიაგნებთ. თამამად იმოქმედეთ, არანაირი საფრთხე არ გემუქრებათ. ყველაფერს სწრაფად მოაგვარებთ. მთავარია, ახალი იდეებისთვისაც დაგრჩეთ დრო.

**თხის რქა** — ერთი შეხედვით, უმნიშვნელო მოვლენამ, შესაძლოა, მთელი გეგმები თავდაყირა დააყენოს. ამ დროს მთავარია, სიმშვიდე შეინარჩუნოთ და ყველაფერი აკონტროლოთ.

**მერწყული** — უამრავი პასუხგაუცემელი კითხვა დაგიგროვდათ, სწორად ჩამოაყალიბეთ კითხვები და კომპეტენტურ ადამიანებს მიმართეთ. დრო საკუთარ თავსაც დაუთმეთ და ჯანმრთელობას მეტი ყურადღება მიაქციეთ.

**თევზები** — დღეს, პრაქტიკულად, უსაქმოდ იქნებით, თუმცა ეცადეთ დრო ფუჭად არ დაკარგოთ, საღამოს კი კარგი იქნება, მეგობრებს თუ მოინახულებთ, ისინი თქვენთან შეხვედრას დიდი ხანია ელიან.

# მექანიკური გულით ექვსი თვე იცხოვრა




37 წლის ჩეხი მამაკაცი, ყოფილი მეხანძრე იაკუბ ჰალიკი, რომელსაც ექიმებმა გულზე ავთვისებიანი სიმსივნე დაუდგინეს, იძულებული იყო, გულის გარეშე ეცხოვრა. მან თითქმის 150 დღე გაძლო, მისი სიცოცხლე ელემენტის მუშაობაზე იყო დამოკიდებული. მედიკოსებმა კონსილიუმის შედეგად გადაწყვიტეს, რომ პაციენტისთვის გული ამოეღოთ და ის ხელოვნური აპარატით შეეცვალათ, ვიდრე მისთვის დონორი მოიძებნებოდა. ოპერაციის შემდეგ ჰალიკი თავს კარგად გრძნობდა, მხოლოდ ფიზიკური დატვირთვა და სპორტული ვარჯიში ეკრძალებოდა. რაც შეეხება ელემენტს, პაციენტი მას სპეციალური ჩანთით ატარებდა. ნებისმიერი ნორმალური ადამიანივით ვცხოვრობ და ვერც კი ვგრძნობ, რომ მკერდში გული არ ფეთქავს და პულსიც არ მაქვს, — ამბობდა იაკუბ ჰალიკი, თუმცა ყოფილმა მეხანძრემ მაინც ვერ მიაღწია იმ დღემდე, როცა გადანერგვის ოპერაციას გაუკეთებდნენ, მას ღვიძლმა უღალატა. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე წლის წინ, მსგავსი ოპერაცია ამერიკელმა სპეციალისტებმაც ჩაატარეს, თუმცა, ტეხასელმა პაციენტმა მხოლოდ ერთი კვირა იცოცხლა.

# მონსერატ კაბალიე – პერსონა ნონ გრატა

ახლახან ცნობილი გახდა, რომ ესპანელი დივა მონსერატ კაბალიე პერსონა ნონ გრატად გამოაცხადეს აზერბაიჯანში. ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამის მიზეზად საოპერო მომღერლის მთიან ყარაბაღში სტუმრობა დაასახელა. ცნობილმა ესპანელმა ეს არაღიარებული რესპუბლიკა ერევანში კონცერტის წინ მოინახულა, იქ კაბალიეს ეგრეთ წოდებულმა პრეზიდენტმაც უმასპინძლა. მას შემდეგ, რაც ამ ინფორმაციამ მედიაში გაჟონა, აზერბაიჯანის საგარეო უწყებამ განცხადება გაავრცელა. ესპანურმა მხარემ საპროტესტო ნოტა მიიღო განმარტებით, რატომ გამოაცხადეს მონსერატ კაბალიე მათთვის მიუღებელ სტუმრად. ჯერჯერობით უცნობია, თავად მომღერლისა და მისი მენეჯერების რეაქცია მომხდარზე. სხვათა შორის, ამ ოკუპირებულ ტერიტორიაზე სტუმრობის გამო, აზერბაიჯანის „შავ სიაში“ დაახლოებით, 10 ათასი ადამიანი მოხვდა, მათ შორის სოსო პავლიაშვილიც.




# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 4 | 3 | 2 | 9 | 1 | 7 | 6 | 5 |
| 2 | 5 | 7 | 8 | 6 | 4 | 3 | 1 | 9 |
| 1 | 9 | 6 | 7 | 5 | 3 | 4 | 2 | 8 |
| 4 | 3 | 5 | 1 | 2 | 9 | 6 | 8 | 7 |
| 6 | 2 | 9 | 5 | 8 | 7 | 1 | 4 | 3 |
| 7 | 1 | 8 | 4 | 3 | 6 | 5 | 9 | 2 |
| 5 | 8 | 1 | 6 | 7 | 2 | 9 | 3 | 4 |
| 3 | 7 | 4 | 9 | 1 | 8 | 2 | 5 | 6 |
| 9 | 6 | 2 | 3 | 4 | 5 | 8 | 7 | 1 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 2 | 5 | 1 | 9 | 8 | 7 | 6 | 4 |
| 1 | 9 | 8 | 4 | 7 | 6 | 5 | 3 | 2 |
| 4 | 7 | 6 | 5 | 3 | 2 | 1 | 9 | 8 |
| 5 | 6 | 7 | 2 | 4 | 3 | 9 | 8 | 1 |
| 8 | 4 | 1 | 9 | 6 | 7 | 3 | 2 | 5 |
| 9 | 3 | 2 | 8 | 5 | 1 | 4 | 7 | 6 |
| 6 | 1 | 3 | 7 | 8 | 5 | 2 | 4 | 9 |
| 7 | 5 | 9 | 6 | 2 | 4 | 8 | 1 | 3 |
| 2 | 8 | 4 | 3 | 1 | 9 | 6 | 5 | 7 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 3 | 8 | 4 | 2 | 7 | 5 | 1 | 6 |
| 7 | 6 | 5 | 1 | 9 | 3 | 4 | 2 | 8 |
| 4 | 2 | 1 | 5 | 8 | 6 | 3 | 7 | 9 |
| 1 | 5 | 6 | 3 | 7 | 8 | 2 | 9 | 4 |
| 3 | 9 | 2 | 6 | 5 | 4 | 7 | 8 | 1 |
| 8 | 7 | 4 | 2 | 1 | 9 | 6 | 5 | 3 |
| 2 | 1 | 3 | 9 | 6 | 5 | 8 | 4 | 7 |
| 6 | 8 | 9 | 7 | 4 | 2 | 1 | 3 | 5 |
| 5 | 4 | 7 | 8 | 3 | 1 | 9 | 6 | 2 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 5 | 2 | 4 | 6 | 1 | 9 | 8 | 7 |
| 9 | 1 | 8 | 3 | 2 | 7 | 6 | 5 | 4 |
| 7 | 6 | 4 | 9 | 5 | 8 | 3 | 2 | 1 |
| 8 | 9 | 1 | 5 | 3 | 6 | 7 | 4 | 2 |
| 2 | 7 | 6 | 1 | 9 | 4 | 8 | 3 | 5 |
| 5 | 4 | 3 | 7 | 8 | 2 | 1 | 9 | 6 |
| 6 | 8 | 5 | 2 | 7 | 3 | 4 | 1 | 9 |
| 4 | 3 | 9 | 6 | 1 | 5 | 2 | 7 | 8 |
| 1 | 2 | 7 | 8 | 4 | 9 | 5 | 6 | 3 |

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 6 | 5 | 8 | 4 | 3 | 2 | 9 | 7 |
| 7 | 3 | 2 | 1 | 9 | 6 | 5 | 8 | 4 |
| 4 | 9 | 8 | 5 | 7 | 2 | 6 | 3 | 1 |
| 8 | 5 | 9 | 7 | 3 | 4 | 1 | 6 | 2 |
| 6 | 4 | 3 | 2 | 1 | 8 | 9 | 7 | 5 |
| 2 | 7 | 1 | 9 | 6 | 5 | 8 | 4 | 3 |
| 3 | 2 | 4 | 6 | 8 | 1 | 7 | 5 | 9 |
| 5 | 8 | 7 | 4 | 2 | 9 | 3 | 1 | 6 |
| 9 | 1 | 6 | 3 | 5 | 7 | 4 | 2 | 8 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 9 | 8 | 1 | 6 | 7 | 3 | 5 | 4 |
| 5 | 7 | 6 | 4 | 9 | 3 | 2 | 1 | 8 |
| 4 | 1 | 3 | 5 | 2 | 8 | 7 | 6 | 9 |
| 3 | 4 | 7 | 9 | 1 | 2 | 6 | 8 | 5 |
| 9 | 8 | 2 | 3 | 5 | 6 | 4 | 7 | 1 |
| 6 | 5 | 1 | 8 | 7 | 4 | 9 | 3 | 2 |
| 1 | 6 | 4 | 2 | 3 | 5 | 8 | 9 | 7 |
| 8 | 3 | 9 | 7 | 4 | 1 | 5 | 2 | 6 |
| 7 | 2 | 5 | 6 | 8 | 9 | 1 | 4 | 3 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 4 | 3 | 9 | 6 | 2 | 1 | 8 | 7 |
| 2 | 1 | 6 | 3 | 8 | 7 | 9 | 5 | 4 |
| 9 | 8 | 7 | 4 | 5 | 1 | 6 | 3 | 2 |
| 8 | 7 | 2 | 5 | 4 | 9 | 3 | 1 | 6 |
| 3 | 9 | 5 | 2 | 1 | 6 | 7 | 4 | 8 |
| 1 | 6 | 4 | 8 | 7 | 3 | 2 | 9 | 5 |
| 7 | 5 | 1 | 6 | 9 | 8 | 4 | 2 | 3 |
| 4 | 3 | 9 | 7 | 2 | 5 | 8 | 6 | 1 |
| 6 | 2 | 8 | 1 | 3 | 4 | 5 | 7 | 9 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 8 | 6 | 5 | 4 | 3 | 2 | 1 | 9 |
| 1 | 5 | 2 | 6 | 9 | 8 | 4 | 7 | 3 |
| 9 | 4 | 3 | 7 | 2 | 1 | 8 | 6 | 5 |
| 8 | 3 | 1 | 4 | 7 | 2 | 9 | 5 | 6 |
| 6 | 2 | 5 | 1 | 3 | 9 | 7 | 8 | 4 |
| 4 | 9 | 7 | 8 | 5 | 6 | 3 | 2 | 1 |
| 5 | 1 | 4 | 3 | 8 | 7 | 6 | 9 | 2 |
| 3 | 7 | 9 | 2 | 6 | 5 | 1 | 4 | 8 |
| 2 | 6 | 8 | 9 | 1 | 4 | 5 | 3 | 7 |

მე-12 გვერდი: 1. აფსუს; 2. ორბი; 3. ბლოკბასტერი; 4. სეკრეტერი; 5. სტარტი; 6. აკუპუნქტურა; 7. ფრისტაილი; 8. რავიოლი; 9. საირა; 10. „აკადემია“; 11. ლივინგსტონი; 12. ორესტე; 13. კიანუ რივზი; 14. როიალი; 15. სილოსი; 16. ელი; 17. როდ; 18. დაკა; 19. ლავრა; 20. ირი; 21. ესტრუსი; 22. ოლქი; 23. იშხანი; 24. მე; 25. კანბერა; 26. იონი; 27. ირისი; 28. სია; 29. გალათეა; 30. ავენტინი; 31. რუბატო; 32. ალაფი; 33. იშტა; 34. ტროა; 35. გიტა; 36. ლუსაკა; 37. ხე; 38. აომინი; 39. „ლეკური“; 40. ლეია; 41. ნიკე; 42. ტაო; 43. ალსუ; 44. იზეო; 45. ნოე; 46. გვირილა; 47. ჰაე; 48. აკვანი; 49. მი; 50. ატლანტი; 51. ტაიბეი; 52. ეფა; 53. ლიზლი; 54. პი; 55. ბაკულა; 56. „ავეო;“; 57. სამი; 58. ნიკ; 59. პკე; 60. ინი; 61. კოალა; 62. მაკაკი; 63. კურო; 64. იკერ.

მე-13 გვერდი: 1. პლანშე; 2. ლავა; 3. ნუნისი; 4. ლატვია; 5. აბრაგი; 6. ვაისმიულერი; 7. ავანგი; 8. ასანიძე; 9. იორამი; 10. ბრაილი; 11. ანემია; 12. „იარისი“; 13. კატანა; 14. ასია; 15. ანიმე; 16. აგამია; 17. ამირა; 18. კასიო; 19. გავროში; 20. კომლი; 21. ინია; 22. იალტა; 23. აბრა; 24. არუე; 25. ტონგა; 26. ლევენჰუკი; 27. რევიუ; 28. კიარა; 29. სეიფი; 30. მამაი; 31. გვარნერი; 32. ფო; 33. ნაძვი; 34. რე; 35. რაი; 36. უმი; 37. ტიბალდი; 38. აგრა; 39. არია; 40. ანგლეზი; 41. კრიშნა; 42. ორმო; 43. ონტარიო; 44. რონა; 45. ლარვა; 46. რიელი; 47. ვანი; 48. გოა; 49. აკოლადა; 50. ალაჰი; 51. ზანა; 52. კანკელი; 53. იაკი; 54. კოშკი; 55. კუბრიკი; 56. როდეო; 57. დანა; 58. გორგონა; 59. იკაო; 60. უმანკო; 61. ლი; 62. ნეკნი; 63. ტრაპი; 64. მელისა; 65. ზოლა; 66. აზოვი; 67. ავა; 68. ზმა; 69. რკო; 70. ოლდ; 71. „იზა“; 72. ისაევი; 73. შიიტი; 74. ალტი; 75. შალი; 76. ავიზო; 77. ავარა; 78. კაკაპო; 79. ტერ; 80. პოლტავა; 81. ბატი; 82. ანატოლია; 83. ვო; 84. ტრეკი; 85. „არმინია“; 86. ატი; 87. ორბი.

თამარ ლომსაძე
568-34-44-94

# „ჩვენ არასოდეს დაგივიწყებთ!“

**ფერიები, ჩექმებიანი კატა, წითელქუდა, ფიფქია, კონკია. კომბლე, ნაცარქექია, ბარონი მიუნჰაუზენი.... 156-ე საჯარო სკოლის დარბაზში თითქმის ყველა ზღაპრის გმირი შეკრებილა. მეორეკლასელმა პატარებმა ერთი ჩვეულებრივი ღონისძიება ნამდვილ დღესასწაულად აქციეს და ის გლდანის კრიზისული ცენტრის აღსაზრდელებს მიუძღვნეს...**



156-ე სკოლის მეორეკლასელებმა მზრუნველობამოკლებული მოზარდებისთვის საქველმოქმედო სპექტაკლი დადგეს

ბავშვები სცენიდან სიკეთეს უმღერდნენ და ნელ-ნელა აცნობიერებდნენ, რომ რთული არაა, ბედნიერების წუთები აჩუქო მათ, ვინც სითბოსა და სიყვარულსაა მოკლებული. პატარა მსახიობები არც იმას შეუშინდნენ, რომ თავიდან, სტუმრები ცოტა დაძაბულები იყვნენ — მზრუნველობამოკლებული მოზარდები საბავშვო წარმოდგენას ცოტა სკეპტიკურად შეხვდნენ, მაგრამ, როდესაც მერი პოპინსმა წაიღიღინა, რომ „ბავშვობა სასწაულს ჰგავს“, ბარონი მიუნჰაუზენი ნაცარქექიამ გაკიცხა ტყუილების გამო, პეპიმ სიცოცხლის ხალისი შემოიტანა და სცენიდან დარბაზში უამრავი კანფეტი გადაყარა, ფიფქიამ და ჯუჯებმა, კონკიამ, წითელქუდამ და ჩექმებიანმა კატამ სიკეთესა და სილამაზეზე იმღერეს, ხოლო ბოროტმა დედინაცვალმა გადაწყვიტა, კეთილი გამხდარიყო, ყინული ნელ-ნელა გალღვა. ბავშვები მონდომებით უკრავდნენ ტაშს პატარა მსახიობებს, საჩუქრების დარიგებისას კი, დარბაზში ველარ გაჩერდნენ — სცენაზე ავიდნენ და ერთობლივი ფოტოს გადაღების ნებართვა ითხოვეს... ლამაზად მორთული დარბაზი წამში დაცარიელდა და ბუშტების გახეთქვის ხმამ გააყრუა იქაურობა.

ისინი ბედნიერები იყვნენ!



უფროსები ცრემლებს ვერ იკავებდნენ, სკოლის დირექტორმა ქეთევან ხახუბიამ, პირველ რიგში, კლასის დამრიგებელს ანი შეყელაძესა და ყველა მშობელს მადლობა გადაუხადა ასეთი საოცარი დღისთვის... განსაკუთრებით მადლიერები კი არასამთავრობო ორგანიზაცია „ლაივ ჩანსის“ მიმართ იყვნენ, რადგან, რომ არა მათი წარმომადგენელი ზაქარია ჭელიძე და მომღერალი გიორგი სუხიტაშვილი, ალბათ, ეს შეხვედრა ვერც შედგებოდა.

ზაქარიამ მადლობა გადაუხადა პატარებს ასეთი გულისხმიერი მასპინძლობისთვის, თუმცა ეს ყველაფერი არ იყო — სტუმრებმა გადაწყვიტეს, რომ სკოლა დაეთვალიერებინათ და პატარა ექსკურსიაც მოაწყვეს, ცოტა ხანში კი, ეზოში ქოთანში ჩარგული გვიმრით გამოვიდნენ — ამ ყვავილს ჩვენ წავიღებთ სამახსოვროდ, მოვუვლით და „მძევლად“ დავიტოვებთ მანამ, სანამ ეს ბავშვები გლდანში არ გვესტუმრებიანო. კმაყოფილები იყვნენ... მათ ძალიან დიდი სითბო დატოვეს და სანაცვლოდაც უდიდესი სიყვარული წაიღეს იმ პაწაწუნებისა, რომლებიც დაპირდნენ, რომ მათ სანახავად აუცილებლად მივიდოდნენ... ჩვენ კი, უფროსებმა, იმედი დავიტოვეთ, რომ წლების შემდეგაც, როცა ყველა თავის ცხოვრების გზას იპოვის, გვიმრა გლდანის კრიზისულ ცენტრში კვლავ იქნება, როგორც სიყვარულის სიმბოლო და დაპირება — ჩვენ არასოდეს დაგივიწყებთ!

## შენდემა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დარეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

**ზარის ღირებულება 1 ლარი**

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

**უფალმა შეგიწყალოთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!**

**Appraisal.llc**

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

**უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას**

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

## ჰამბურგერი სინჯარაში „გამოიყვანეს“

მეცნიერებმა ლაბორატორიულ პირობებში შეძლეს ჰამბურგერის პროტოტიპის შექმნა კუნთის ქსოვილისგან. სიახლე ეკოლოგიურად სუფთაა, ცხოველების ტანჯვასაც შეამცირებს და სასურსათო კრიზისის პრობლემასაც მოაგვარებს, რომელიც პლანეტის მოსახლეობას უახლოეს ათწლეულებში ელოდება, თუმცა მოინდომებენ თუ არა ადამიანები ხელოვნურად გამოყვანილი ხორცის მირთმევას, ეს უკვე სხვა საკითხია. ხელოვნური ხორცი ჰოლანდიელმა სწავლულებმა გამოიყვანეს მაასტრიხტის უნივერსიტეტიდან. საქონლის ხორცის კუნთოვანი ქსოვილიდან აღებულ ბოჭკოებზე აგებული ჰამბურგერი 20 ათასი თხელი ქსოვილის ზოლისგან შედგება. ვინც ახალი პროდუქტი გასინჯა, აცხადებს, რომ გემოთი ის საკმაოდ კარგია, გარდა ამისა, არ შეიცავს ცხიმს.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია,
დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.